

საქართველოს საპატრიარქოს  
წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)

სვეტლანა ადამია

ორპირიან და ორვალენტიან ზმნურ ფორმათა  
სრული პარადიგმა  
(სამწიგნობრო ქართულსა და ქართველურ დიალექტებში)

სადოქტორო პროგრამა: ქართველური ენათმეცნიერება

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

*სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტარიელ ფუტყარაძე,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

თბილისი

2015

# შინაარსი

ანოტაცია .....	4
Annotation .....	6
წინასიტყვაობა .....	8
<b>I თავი – ქართული ზმნური ფორმების კლასიფიკაციის პრინციპები .....</b>	<b>15</b>
1.1. ზმნური ფორმების შესწავლის ისტორია .....	15
1.1.1. გვარის კატეგორიის კრიტიკული ანალიზი .....	15
1.1.2. ქცევის კატეგორიის კრიტიკული ანალიზი .....	31
1.1.3. კაუზატივის კატეგორიის კრიტიკული ანალიზი .....	34
1.2. ხმოვანი პრეფიქსები - ზმნური ყალიბების მაწარმოებლები .....	38
1.3. ზმნის პირიანობა, ვალენტობა, ადგილიანობა .....	45
1.4. ზმნის პირისა და რიცხვის ფორმები .....	54
1.5. ზმნის მწკრივის ფორმები .....	62
1.6. ზმნურ ყალიბთა სახეები ქართულში. ზმნური ლექსიკური ერთეულების დაჯგუფება ყალიბების წარმოების თავისებურებების გათვალისწინებით .....	69
1.6.1. ზმნის მოდელირების პრობლემა .....	69
1.6.2. ქართული ზმნის უღლების ტიპები .....	71
1.6.3. I ჯგუფის ზმნები .....	83
1.6.4. II ჯგუფის ზმნები .....	86
1.6.5. III ჯგუფის ზმნები .....	87
1.6.6. IV ჯგუფის ზმნები .....	92
<b>II თავი – ორპირიან და ორვალენტოვანი</b>	
<b>ზმნურ ყალიბთა ფორმაწარმოება.....</b>	<b>94</b>
2.1. ორპირიანი და ორვალენტოვანი ზმნური ყალიბები სამწიგნობრო ქართულში .....	96
2.1.1. ორპირიან და ორვალენტოვანი ზმნურ ყალიბთა მწკრივის ფორმები .....	99

2.1.2. ორპირიან და ორვალენტური ზმნურ ყალიბთა პირისა და რიცხვის ფორმები .....	103
2.2. ზმნურ ყალიბთა ფორმაწარმოება იმერულ კილოში (განსხვავებული ყალიბები) .....	104
2.3. ზმნურ ყალიბთა ფორმაწარმოება მეგრულ კილოში (განსხვავებული ყალიბები) .....	109
<b>III თავი - ზმნური ფორმების სემანტიკა /საცდელი ვარიანტი კომპიუტერული პროგრამირებისათვის/ .....</b>	<b>113</b>
3.1. ზმნური ყალიბების სემანტიკა (წინასწარი ცდა) .....	114
3.2. მწკრივის ფორმათა სემანტიკა .....	116
3.3. პირისა და რიცხვის ფორმათა სემანტიკა (სემანტიკით განსხვავებული ერთნაირი ფორმების პრობლემა) .....	118
<b>ძირითადი დასკვნები .....</b>	<b>161</b>
<b>დამოწმებული ლიტერატურა .....</b>	<b>169</b>
<b>დანართი: ორპირიანი და ორვალენტური ზმნური ფორმის უღლება</b>	
სალიტერატურო ქართულში (ყალიბი >> მწკრივები >> პირის ფორმები) .....	178

## ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი - „ორპირიან და ორვალენტიან ზმნურ ფორმათა სრული პარადიგმა (სამწიგნობრო ქართულსა და ქართველურ დიალექტებში)“ - არის ცდა, აიგოს ქართული ზმნის ისეთი სრული პარადიგმა, რომელიც გააიოლებს ქართული ზმნის კომპიუტერულ მოდელირებას.

ნაშრომის პირველ თავში წარმოდგენილია ქართული ზმნური ყალიბების (ფორმების) შესწავლის ისტორია და კრიტიკული ანალიზი. აქვეა განხილული ხმოვანპრეფიქსთა კვალიფიკაციის პრობლემაც, რამდენადაც ზმნურ ფორმებთან უშუალოდაა დაკავშირებული ზმნური ხმოვანი პრეფიქსების კვალიფიკაცია. ზმნური ფორმაწარმოების კონტექსტში განხილულია მწკრივების გამოყოფის პრინციპები ზმნის პირისა და რიცხვის ფორმების ისტორიის გათვალისწინებით. ამავე თავში ზმნები დაჯგუფებულია ყალიბების წარმოების მიხედვით.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში მოცემულია ორპირიან და ორვალენტიან ზმნურ ყალიბთა ფორმაწარმოება სალიტერატურო ქართულისა და იმერული და მეგრული კილოების მონაცემების მიხედვით; კერძოდ:

განხილულია ქართული ზმნის ორპირიანი და ორვალენტიანი ყალიბები. ნაჩვენებია თუ რამდენი ორპირიანი და ორვალენტიანი ყალიბი აქვს ზმნას და გარკვეულია ამ ყალიბთა აგებულებაც. ასევე, განვიხილავთ ორპირიან და ორვალენტიან ზმნურ ყალიბთა მწკრივის ფორმებსა და ორპირიან და ორვალენტიან ზმნურ ყალიბთა პირისა და რიცხვის ფორმებს. ამ თავშია წარმოდგენილი იმერული და მეგრული დიალექტების განსხვავებული მონაცემებიც.

მესამე თავში წარმოდგენილია ორპირიანი და ორვალენტიანი ზმნური ყალიბების, მათი მწკრივებისა და პირისა და რიცხვის ფორმების სემანტიკური დახასიათება.

დანართში მოცემულია სალიტერატურო ქართული ენის ერთი ზმნის ორპირიანი და ორვალენტიანი ყალიბის უღლება (მოიცავს 700 ფორმას).

ვფიქრობთ, ნაშრომი გარკვეულწილად გააიოლებს ქართული ზმნის სწავლებას /ბავშვებისა და უცხოელებისათვის/ და, რაც მთავარია, ხელს შეუწყობს ქართული ენის ტექნოლოგიზებას; კერძოდ: ენაში არსებული ყველა ზმნური ფორმის აღნუსხვა და თითოეული მათგანის სემანტიკის განსაზღვრა საშუალებას მოგვცემს, ავაგოთ ქართული ენის ზმნის მოდელირებისთვის საჭირო ალგორითმი.

## Annotation

PhD thesis – Full Paradigm of Bipersonal and Divalent Verbs in the Georgian Literary Language and Dialects – is an attempt to build a complete Georgian verb paradigm, which is expected to promote and simplify Georgian verb computer modeling process.

The **first chapter** of the thesis represents a historical review and a critical analysis of the studies devoted to the Georgian verb molds. We will discuss a problem concerning verbs with vowel prefixes as long as this kind of qualification is directly related to the verb forms. Within the context of verb structure, we will deal with the issues of personal agreement, valency and principles of screeve formation of the Georgian verbs in connection with person and number of arguments. Our attempt of dividing verbs in two groups – verbs with and without molds – is also included in this chapter.

The **second chapter** covers the process of formation of bipersonal and divalent verbs according to the literary Georgian language and Imeretian and Megrelian dialects:

We will present molds of bipersonal and divalent Georgian verbs. The chapter shows how many molds and what kind of structure bipersonal and divalent verbs have. The chapter also describes screeves of bipersonal and divalent verbs as well as person and number of the bipersonal and divalent verb molds. Materials from Imeretian and Megrelian dialects are also analyzed in this chapter. We focus our attention on the verb forms characteristic for these dialects, which differentiate them from the Georgian literary language.

The **third chapter** is interesting in terms of computer modeling as it presents semantics of certain bipersonal and divalent verb forms. Each semantic characteristic of the forms of the mold has to be taken into consideration. Complete paradigm (general scheme) of bipersonal and divalent verbs of Georgian language is given in the appendix.

We think that the thesis will to some extent simplify teaching process of the Georgian verb (to children and foreigners) and, most importantly, it will promote the technologization process of the Georgian language. Describing forms and defining semantics of each verb will enable us to build an appropriate algorithm for modeling Georgian verbs. After collaboration with computer programmers, the results of our research will become attractive for practical purposes.

# წინასიტყვაობა

## თემის აქტუალობა

თანამედროვე სამყაროსთვის აქტუალური ავტომატური (მანქანური) თარგმანი დღის წესრიგში აყენებს, აიგოს სახელური და ზმნური ფორმების ლოგიკური პარადიგმები და თითოეული ფორმისათვის განისაზღვროს სემანტიკურ კომპონენტთა სპექტრი. ქართველური ზმნის აგებულება კარგადაა შესწავლილი ქართველ და უცხოელ მკვლევართა სამეცნიერო პუბლიკაციებში, მაგრამ დისკუსიის საგანია ზმნური პარადიგმა; კერძოდ, ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისებია ზმნური კატეგორიებისა თუ ზმნური ფორმების კვალიფიკაციის შესახებ. პირველ რიგში წინააღმდეგობრივია გვარის კატეგორიის გააზრება; მაგ., როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ 58 წლის წინ თ. უთურგაიძის მიერ აღინიშნა, გვართ განსხვავებული ზმნური ფორმები არ უნდა ჩაითვალოს სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულებად (სხვადასხვა ზმნებად). დ. მელიქიშვილმა საერთოდ უარყო გვარი, როგორც მორფოლოგიური კატეგორია და ქართული ზმნები დააჯგუფა დიათეზების მიხედვით; მისი განმარტებით, დიათეზა ეს არის მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ჯამი და, შესაბამისად, უფრო ფართო კატეგორია, ვიდრე გვარი. მკვლევარი თითოეული დიათეზის შიგნით ზმნურ ფორმებს აჯგუფებს გვარის, როგორც სემანტიკური კატეგორიის, მიხედვით. ტ. ფუტკარაძის აზრით, ქართული ზმნის სრული შესაძლებლობის წარმოსადგენად უფრო ლოგიკურია არა ე. წ. გვარის კატეგორია, არამედ ზმნური ფორმების დალაგება სამსაფეხუროვან იერარქიად: I დონე - ყალიბების პარადიგმა, II დონე - მწკრივების პარადიგმა, III დონე - პირისა და რიცხვის ფორმების პარადიგმა.

ენის მოდელირებისას მნიშვნელოვანი წილი სწორედ ზმნის მოდელირებაზე მოდის, შესაბამისად, ზმნურ ლექსიკურ ერთეულთა ჯგუფების გამოყოფა, თითოეული ჯგუფის ყალიბთა აღნუსხვა, დალაგება, ამ ყალიბებისთვის სემანტიკური კომპონენტების განსაზღვრა, ზმნის პროგრამირების მიმართულებით ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.



## კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები:

### სადოქტორო ნაშრომის მიზანია:

- შევისწავლოთ ქართული ზმნური ფორმების დაჯგუფების ისტორია, მათი კვალიფიკაციისა და კლასიფიკაციის პრინციპები;
- მოვახდინოთ ზმნურ ლექსიკურ ერთეულთა დაჯგუფება ყალიბების წარმოების მიხედვით;
- აღვწეროთ ქართული ზმნის ორპირიანი და ორვალენტიანი ზმნური ყალიბების ვარიანტები და წარმოვადგინოთ მათი სრული პარადიგმა. მნიშვნელოვანია ზმნური პარადიგმა გავიაზროთ არა მხოლოდ სალიტერატურო ენის მონაცემების მიხედვით, არამედ გავითვალისწინოთ დიალექტების მონაცემებიც;
- გავარკვიოთ ზმნური ფორმების სემანტიკა, რაც გააადვილებს ქართული ზმნის კომპიუტერულ მოდელირებას.

### კვლევის მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა ამოცანებიც:

- ქართული ზმნური ფორმების კლასიფიკაციის პრინციპების კრიტიკული ანალიზი; სამეცნიერო ველში არსებული თვალსაზრისების გათვალისწინებით სადოქტორო ნაშრომის ავტორის მიდგომის ჩამოყალიბება;
- ზმნასთან დაკავშირებულ ხმოვანპრეფიქსთა ფუნქციის განსაზღვრა;
- პირიანობის, ვალენტობისა და ადგილიანობის ცნებათა დაკავშირება ქართულ ზმნასთან;
- მწკრივთა გამოყოფის პრინციპების ანალიზი ზმნის პირისა და რიცხვის ფორმათა ისტორიის გათვალისწინებით;

- ქართული ზმნურ ლექსიკურ ერთეულთა ჯგუფების გამოყოფა ყალიბების წარმოების მიხედვით;
- ქართული ზმნის უღლების ტიპების წარმოდგენა და კრიტიკული ანალიზი;
- ორპირიან და ორვალენტიან ზმნურ ყალიბთა ანალიზი და ფორმაწარმოება სალიტერატურო ქართულსა და ქართველურ კილოებში (იმერულსა და მეგრულში);
- ქართული ზმნური ფორმების (ყალიბების, მწკრივებისა და პირის და რიცხვის ფორმების) სემანტიკური ანალიზი.

## ნაშრომის მეცნიერული სიახლე

### სადოქტორო ნაშრომში:

- კრიტიკულადაა გააზრებული ქართული ზმნური ფორმების სხვადასხვაგვარი დაჯგუფება;
- ქართული ზმნის პროგრამირების მიზნით გამოყოფილია ზმნურ ლექსიკურ ერთეულთა ჯგუფები, ვინაიდან ავტორი იზიარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ზმნის მოდელირებისთვის უფრო გამოსადეგია ისეთი ზმნური პარადიგმის აგება, რომელიც ორიენტირებულია ზმნურ ლექსიკურ ერთეულზე და არა ერთი ზმნური ერთეულის ყალიბების განაწილებაზე აქამდე ნაცადი გვარისა თუ დიათეზის კატეგორიების მიხედვით. შესაბამისად, ქართული ენის ზმნები (ზმნური ლექსიკური ერთეულები) დაჯგუფებულია ყალიბების წარმოების მიხედვით, გამოყოფილია ოთხი ჯგუფის ზმნები, ჯგუფებს შიგნით წარმოდგენილია ქვეჯგუფები; კერძოდ:

### **I ჯგუფის ზმნები:**

ზმნები, რომელთაც ორპირიანი და ორვალენტიანი ყალიბი ეწარმოებათ „ა- — -ებ“ კონფიქსით (პ.ნ. + ხმ. პრ. + R + ებ), ხოლო ერთპირიანი და ერთვალენტიანი ყალიბი -დ სუფიქსით.

### **II ჯგუფის ზმნები:**

ზმნები, რომელთაც ეწარმოება ერთპირიანი და ერთვალენტიანი უნიშნო (უპრეფიქსო და უსუფიქსო) ყალიბი, მათი ორპირიანი და ორვალენტიანი ყალიბი ა- — -ობ ან ა- — -ენ კონფიქსითაა ნაწარმოები.

### **III ჯგუფის ზმნები:**

ზმნები, რომელთაც ერთპირიანი და ერთვალენტიანი ყალიბი ეწარმოებათ ი- ხმოვანი პრეფიქსით.

### **IV ჯგუფის ზმნები:**

გრძნობა-აღქმის ზმნები; სხვა ჯგუფის ზმნებს ისინი ყალიბთა სიმცირით უპირისპირდებიან.

- გამოყოფილია ქართული ზმნის ორპირიანი და ორვალენტიანი ყალიბები; ქართულში ორპირიან და ორვალენტიან ზმნურ ყალიბთა შემდეგი ტიპები გვაქვს: უხმოვანპრეფიქსო, ა-, ი-, ე-, უ- ხმოვანპრეფიქსიანი და უ- \_ -დ კონფიქსიანი ფორმები. ცალკე განვიხილავთ გაუკეთებია ტიპის ფორმებს /ზმნისწინიანი ვარიანტებით/ (თუ ზმნისწინი სემანტიკას არ უცვლის ზმნას);
- ქართული ზმნის ორპირიანი და ორვალენტიანი ყალიბები გაანალიზებულია აგებულების მიხედვით; ორპირიანი და ორვალენტიანი ზმნური ყალიბების აგებაში მონაწილეობს როგორც მოქმედი და აღმქმელი პირის ნიშნები, ისე ხმოვანი პრეფიქსები, ძირი, სუფიქსები და არაიშვიათად ზმნისწინიც კი. ამგვარი ყალიბების აგებულებაში მონაწილეობენ - პირის ნიშნები, ხმოვანი პრეფიქსები და სუფიქსები;
- წარმოდგენილია ორპირიანი და ორვალენტიანი ყალიბების ფორმაწარმოება;

- კომპიუტერული პროგრამირების მიზნებიდან გამომდინარე, დადგენილია თითოეული ზმნური ფორმის კონკრეტული სემანტიკა.

## **დისერტაციის პრაქტიკული ღირებულება:**

სადოქტორო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ქართული ზმნის ფორმაწარმოების თავისებურებების შესწავლასა და ლოგიკური პარადიგმის აგებას; ვფიქრობთ, ნაშრომი გარკვეულწილად გააიოლებს ქართული ზმნის სწავლებასა /ბავშვებისა და უცხოელებისათვის/ და კომპიუტერულ მოდელირებას.

## **კვლევის მეთოდები:**

საკითხის შესწავლის პროცესში გამოყენებულია აღწერის, შედარება-შეპირისპირებისა და ანალიზის მეთოდები.

## **ნაშრომის სტრუქტურის აღწერა:**

კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისადაა გააზრებული სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა; კერძოდ: სადისერტაციო ნაშრომი შედგება წინასიტყვაობის, 3 თავის, ძირითადი დასკვნების, დამოწმებული სამეცნიერო ლიტერატურის სიისა და დანართისაგან.

**პირველი თავი** ეძღვნება ქართული ზმნური ფორმების კლასიფიკაციის პრინციპებს. წარმოდგენილია ზმნური ფორმების შესწავლის ისტორია, ამ კონტექსტშია განხილული გვარი, ქცევა და კაუზატივი. წარმოდგენილია ხმოვანი პრეფიქსების პრობლემა, პირიანობა-ვალენტობა-ადგილიანობასთან დაკავშირებული საკითხები. აქვე ზმნური ყალიბები განაწილებულია დონეების მიხედვით და შემოთავაზებულია ზმნის ლექსიკურ ერთეულთა ჯგუფები ყალიბების წარმოების მიხედვით. აქვე განვიხილავთ ზმნის მწკრივის გამოყოფისა და დაჯგუფების პრინციპებს ზმნის პირისა და რიცხვის ფორმების ისტორიის გათვალისწინებით.

**მეორე თავში** მოცემულია ორპირიანი და ორვალენტიანი ზმნურ ყალიბთა ფორმაწარმოება სალიტერატურო ქართულსა და ქართველურ კილოებში (იმერულსა და მეგრულში); კერძოდ, განხილულია ქართული ზმნის ორპირიანი და ორვალენტიანი ყალიბები. ნაჩვენებია, თუ რამდენი ორპირიანი და ორვალენტიანი ყალიბი აქვს ზმნას; გარკვეულია ამ ყალიბთა სტრუქტურაც. ასევე, განვიხილავთ ორპირიან და ორვალენტიან ზმნურ ყალიბთა მწკრივის ფორმებსა და პირის და რიცხვის ფორმებს. ამავე თავში ყურადღება გამახვილებულია იმერული და მეგრული კილოებისთვის დამახასიათებელ ისეთი ზმნურ ფორმებზე, რომლებიც სპეციფიკურია ამ დიალექტებისთვის (სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული ფორმები).

**მესამე თავში** განვიხილავთ ორპირიანი და ორვალენტიანი ზმნური ყალიბების სემანტიკას. აქვე გაანალიზებულია ერთი ყალიბის ყველა მწკრივის ყველა ფორმა სემანტიკური მახასიათებლებით, რაც კომპიუტერული პროგრამირების კონტექსტითაა შეპირობებული.

**დანართში** წარმოვადგენთ სალიტერატურო ქართული ენის ერთი ზმნის ორპირიანი და ორვალენტიანი ყალიბის ყველა მწკრივის პირისა და რიცხვის ფორმას.

### **ნაშრომის აპრობაცია:**

კვლევის თემატიკა, მიმდინარეობა, ძირითადი შედეგების ნაწილი ეტაპობრივად აისახა სამეცნიერო მოხსენებებსა თუ სტატიებში; სადისერტაციო ნაშრომის თემასთან დაკავშირებით გამოვაქვეყნეთ შემდეგი სტატიები:

1. **სვეტლანა ადამია - ვალენტობისა და პირიანობის გამიჯვნისთვის ქართულ ზმნაში, საქართველოს საკატორიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2011, გვ. 384-388;**
2. **სვეტლანა ადამია - ზმნური ხმოვანი პრეფიქსების ფუნქციათა შესწავლის ისტორიისათვის, კრებ. ქართველური მემკვიდრეობა, XVI, ქუთაისი, 2012, გვ. 9-15;**

3. სვეტლანა ადამია - ა-ებ ზმნური კონფიქსიდა ქართული ზმნის კაუზატივი, ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის ეროვნული ბიბლიოთეკის წელიწდეული, V, 2013, გვ. 11-16;
4. სვეტლანა ადამია - ქართული ენის ზმნის ე.წ. გვარისა და ქცევის ფორმების კვალიფიკაციის ისტორიისათვის, კრებ. ქართველური მემკვიდრეობა, XVIII, ქუთაისი, 2014, გვ. 12-20.

# I თავი

## ქართული ზმნური ფორმების კლასიფიკაციის პრინციპები

### 1.1. ზმნური ფორმების შესწავლის ისტორია

ქართულ გრამატიკულ აზროვნებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ენათმეცნიერული საკითხებით ქართველთა დაინტერესება პირველად „სახარებისა“ და „დავითნის“ ქართულად თარგმნის პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს, რადგან, როგორც ცნობილია, ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმანება საკმაოდ რთული პროცესია და ის აუცილებლად მოითხოვს ენის თავისებურებებში გარკვევას. ადრეული პერიოდის ძეგლებზე დაკვირვება კ. დანელიას საინტერესო დასკვნის გაკეთების საშუალებას აძლევს ის შენიშნავდა: „მართალია, ქართულ ენაზე გრამატიკული თხზულება (ნათარგმნი თუ ორიგინალური) ადრეული საუკუნეებისა არ შემოგვრჩენია, მაგრამ V-X საუკუნეთა ქართული წერილობითი ძეგლები (ეპიგრაფიკული თუ ხელნაწერი) ენობრივი ნორმების თვალსაზრისით ისეთ სისტემურ სტაბილურობას ავლენენ, რომ ძველ საქართველოში მწყობრი გრამატიკული ცოდნის არსებობას აუცილებლად გვაპარაუდებინებს“ (დანელია 1990: 100).

ადრეული პერიოდის გრამატიკული ტრაქტატებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია „სიტყუად ართრონთათვს“, რომლის ავტორად სამეცნიერო ლიტერატურაში მოხსენიებულია არსენ იყალთოელი (ამ ტრაქტატის ავტორად ზოგი მკვლევარი ეფრემ მცირეს მიიჩნევს). ტრაქტატის შესახებ მსჯელობის დროს მზ. შანიძე აღნიშნავს, რომ ნაშრომს იცნობდა სულხან-საბა ორბელიანი და XVII-XVIII საუკუნეების სხვა მწიგნობარნი. მისი განცხადებით: „სიტყუად ართრონთათვს“ არის უტყუარი საბუთი იმისა, რომ ქართველებს XI-XII საუკუნეებში მართლაც ჰქონდათ **გრამატიკული ლიტერატურა**, ეს იმასაც მოწმობს, რომ მოგვიანო ეპოქაში მწიგნობართ წინ დაუხვდათ ენათმეცნიერული კვლევის ხანგრძლივი ტრადიციები“ (შანიძე 1968: 14).

აღნიშნული ნაშრომის შესახებ მზ. შანიძის გამოცემის წინა სიტყვაში ა. შანიძე აღნიშნავს, რომ „...ეს არის ჩინებული საენათმეცნიერო თხზულება: იგი მოწმობს, რომ ძველი მწიგნობრები კარგად ერკვეოდნენ ენის საკითხებში, იცნობდნენ ბერძნულ

გრამატიკას და ამასთან ერთად ცდილობდნენ ქართული ენის ბუნებისა და გრამატიკული წესების შესწავლასაც...“ ( შანიძე 1990: 6).

მიუხედავად აღნიშნულისა, შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის ქართული გრამატიკული ტრაქტატები კონკრეტული ხასიათისა არაა და, შესაბამისად, არც გრამატიკის დარგებია ცალკე გამოყოფილი.

XVII- XVIII საუკუნეებიდან საქართველოში განახლდა ქართული ენის შესწავლა, რაც იტალიელი მისიონერების სახელთანაა დაკავშირებული. ისინი ძირითადად ლექსიკოგრაფიულ საქმიანობას ეწეოდნენ, თუმცა გრამატიკულ საკითხებსაც დიდ ყურადღებას უთმობდნენ. სწორედ ქართული გრამატიკული ტრადიციისა და უცხოეთიდან შემოტანილ სიახლეებზე არის დაფუძნებული დიდი ქართველი გრამატიკოსების — სულხან-საბა ორბელიანის, ზურაბ შანშოვანის, ანტონ პირველისა და სხვათა ენათმეცნიერული ნააზრევნი, რომელიც გახდა საფუძველი შემდგომი საუკუნეების გრამატიკებისა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ევროპული ენების გრამატიკების გავლენით ქართული ენის გრამატიკებში ბევრ პოზიტიურ სიახლესთან ერთად დამკვიდრდა ზოგი ისეთი გრამატიკული კატეგორიაც, რომელიც ხელოვნურია ქართული ენისათვის.

### 1.1.1. გვარის კატეგორიის კრიტიკული ანალიზი

პირველი ქართული ენის გრამატიკა ფრანჩესკო-მარიო მაჯოს მიერ დაიბეჭდა იტალიაში 1643 წელს. მაჯოს გრამატიკა, ისე როგორც შემდგომი დროის (პირველი ქართული) გრამატიკები, შესწავლილი აქვს თ. უთურგაიძეს „ქართული ენის შესწავლის ისტორიაში“. მაჯომ ზმნები დაალაგა კილოსა და დროის განსხვავებული კომბინაციების მიხედვით. ზმნის უღლებისას წარმოდგენილია 11 მწკრივი. „მწკრივთა რაოდენობა და ფუნქციები ტრადიციულია ლათინური გრამატიკებისათვის. რაციონალიზმის პრინციპის დაცვით მაჯო ცდილობს ქართული ზმნის ფორმები მთარგოს ლათინური ზმნის სქემებს...“ (უთურგაიძე 1999: 56).



ზმნური ფორმები აქტივი-პასივის მიხედვითაა დალაგებული იტალიელი მისიონერების მიერ შედგენილ იტალიურ-ქართულ ლექსიკონის წინასიტყვაობაში. აქვეა წარმოდგენილი „მიყვარს“ ზმნის პარადიგმა (როგორც წესი, შუა საუკუნეებში საანალიზოდ განიხილავდნენ ამ ზმნას).

სულხან-საბა ორბელიანმა თავისი ლექსიკონის დანართში განიხილა ქართული ენის საკითხები. აქ წარმოდგენილი ანალიზი არის ახალი ეტაპი ქართული ლინგვისტური აზრის განვითარებაში. მსგავსად იტალიელი მისიონერებისა, სულხან-საბაც წარმოადგენს „მიყვარს“ ზმნის ფორმების უღლებას, რომელიც ზუსტად ემყარება იტალიელი მისიონერების პარადიგმას, მაგრამ საბას მწკრივებისთვის იტალიური სახელწოდებების ნაცვლად ქართული სახელები დაურქმევია (ძირითადად დროის მიხედვით), ესენია: ქმნა, ნაქმნარი, ქმნილი, საქნელი, ქმენ...(იხ. უთურგაიძე 1999: 99).

სულხან-საბა ორბელიანს ზმნური ფორმების დაჯგუფებაც უცდია, მას ზმნის „ინიანი“ ფორმები ცალკე გამოუყვია, ცალკე აქვს გამოყოფილი უ- და ე- ართრონიანი ზმნები, როგორც თავად უწოდებს მათ<sup>1</sup>, თუმცა აქ ცალ-ცალკე გარჩეული არა აქვს მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი გვარის ფორმები, ყველა ეს ფორმა ერთადაა მოცემული. ამის მიზეზად თ. უთურგაიძე მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ „ლექსიკონში გამოტანილი იანგარიშა, იბარტყა... იდვა, იზარდა... იძმო და იწდივა... - ყველა საერთო ი- ართრონის მქონედ არის სავარაუდებელი“ ( უთურგაიძე 1999: 106).

შემდეგია ზ. შანშოვანის გრამატიკა, რომელიც, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ქართულად დაწერილი პირველი გრამატიკაა. შესაბამისად, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ქართული ენის პირველ გრამატიკაში თუ როგორაა განმარტებული ზმნა და ზმნის კატეგორიები, როგორაა დაჯგუფებული ზმნის მრავალრიცხოვანი ფორმები.

ზ. შანშოვანი ზმნას განმარტავს, როგორც ცვალებად სიტყვას; „ზმნა არს ლექსი სასრბოლო, რომელ მყოფასა რადმესა ანუ ქმნასა ანუ ვნებასა დანიშნავს ჟამითურთ და პირითურთ, ვითარცა: განვადო“ (შანშოვანი 1881: 20). აქვეა გამოყოფილი ზმნის „მდევარი“ კატეგორიები. ესენია:

„1. ნათესავნი ოთხნი: სამოქმედო (განვადო), სავნებო (განვიდო), საშუალო (დავემკვიდრო), ზიარი (ვშვა);

<sup>1</sup>ამის შესახებ დაწვრილებით ხმოვანპრეფიქსთა ანალიზის დროს.

2. ნაკუჭთი სამი: მარტივი (ვიგონო, ყრილი (მოვიგონო), ზეყრილი (ზემოვიგონო);

3. სახენი: პირველსამგზავსო (მოვიხსენო) და გამომჭირვალო (მოვახსენებინო).

4. რიცხვნი: სამხოლოო და სამრავლო;

5. პირი სამი: პირველი, რომლისაგან არს სიტყვა (ვიტვირთო); მეორისა, რომლისა მიერ არს სიტყვა (იტვირთო); მესამე, რომლისათჳს არს სიტყვა: იტვირთოს;

6. ჟამი სამი: მყოფი, ყოფილი, მყოფადი. ყოფილის „სხჳობანი“ არიან ოთხნი: უსრული (გჳბანდი), სრული (დავბანე), მარადისრული (დამიბანია), ზესრული (დამებანა);

7. ვითარნი - ანუ „სხვაობა მეტყველებისა ხუთი: სასამძღრო, საბრძანებო, სანეტარძო, საქუჭდასო და უჩინო;

8. სქესი ოთხი: დამახასიათებელი ხმოვნებით: ა, ე, ო, ი, პირველი სამი (ა, ე, ო ბოლო მარცვალში) სამოქმედოსია (ვთქვა, მივსცე, განვადო), ი - სავნებოსია ( ითქვას, განიღოს)“ (იქვე).

იბერიულ კავკასიური ენების შესწავლის ისტორიაში არნ. ჩიქობავა საგანგებოდ ჩერდება შანშოვანის მოკლე გრამატიკაზე; მიმოიხილავს ამ გრამატიკას სრულად და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ავტორის დამსახურებაზე, რომ შანშოვანს ზმნის ანალიზის დროს შეუმჩნეველი არ დარჩენია ე. წ. ობიექტური უღლება, კერძოდ, ის წერს: „უღვლილება სუბიექტის ცვლას უწევს ანგარიშს: ნიმუშად აღებული გრამატიკები ობიექტურ უღვლილებას არ იცნობდნენ. ქართულის თავისებურებას მაინც მიუქცევია შანშოვანის ყურადღება: „საჳმარ არს ცნობად რამეთუ ზმნანი რომელნიმე ქართულისა ენითა სახელდართულითა (ე. ი. ნაცვალსახელით - ა. ჩ.) ითქმიან ანუ სახელდართულის მაგიერ თჳთოს ასოსა ჩართვითა ითქმიან, ვითარცა: გბან, მბან, ვბან, გბანს, ანუ: დამბანა, დავბანე, დამბანე, დავბანე, დავბანა, დაჳბანე და ესე ვითარნი, ვითამცა: მე შენ გბან, შენ მე მბან, მე მას ვბან, ეს მე მბანს, მე პეტრემ დამბანა, მე პავლეს დავბანე და ესრეთ სხუანიცა... დამბანე... დავბანე, მანი ვინის ალაგს არს. ესრეთ ყოველი ზმნა, რომელიმე სახელდართულით ითქმოდეს, არღარა უნდა სხვა სქესი (ე. ი. უღვლილება - ა. ჩ.), არამედ თჳსავე სქესში ისრბოლვის... ერთი სიტყვით, ზმნის თავკიდური ასოები სახელს და ნაცვალსახელს (პირს) ცხადყოფენ...“ (ჩიქობავა 1979: 85-86).

ზ. შანშოვანს, როგორც ეს არნ. ჩიქობავას აქვს აღნიშნული, შეუმჩნეველი არ დარჩენია ის გარემოება, რომ ქართულში ზმნის უღვლილებისას ანგარიში უნდა გაეწიოს არა მხოლოდ სუბიექტის ცვლას, არამედ ობიექტის ცვლასაც. მართალია, ტერმინ „გვარს“ შანშოვანი არ იყენებს, მაგრამ მის მიერ გამოყოფილ „ნათესავნი ოთხნი“ სავარაუდოდ დაკავშირებული უნდა იყოს სწორედ ზმნის იმ ფორმებთან, რომლებსაც შემდგომში გვარისა და ქცევის კატეგორიების ქვეშ ათავსებდნენ. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ გრამატიკაში ზმნური ფორმების გვარისა და ქცევის მიხედვით დაჯგუფება პირველი გრამატიკის ავტორებიდან მოდის, რისი საფუძველიც, რა თქმა უნდა, არაქართული (ლათინური) სინამდვილე გახლდათ.

განსაკუთრებით საინტერესოა ანტონ კათალიკოსის „ქართული დრამმატიკა“, რომელიც ბეჭდურად გამოიცა 1885 წელს. მასში ზმნის კატეგორიების ნაწილი იმავე ტერმინოლოგიითაა აღწერილი, რომელსაც ზ. შანშოვანი იყენებდა.

„სქესი“ იგივეა რაც თანამედროვე „კილოს“ კატეგორია. სქესი ოთხი სახისაა; პირი სამია; ცალკეა გამოყოფილი თანამედროვე „მწკრივის“ კატეგორია, რომელიც სხვადასხვა სქესთან (კილოსთან) სხვადასხვაგვარია, კერძოდ, ნატვრითი კილო სხვაგვარადაა ნაწარმოები: „ვაშათჳვიყო“... „ვაშათუ ვიყოფოდი“... „ვაშათუ ყოფილვარ“... „ვაშათუ ყოფილ-ვიყავ“...(ანტონი 1985: 21).

მოქმედებითი გვარის ზმნები გვხვდება ტერმინით: „შემოქმედებითი“. ამ ჯგუფის ზმნებში რვა ტიპის უღლებას გამოყოფს ავტორი; ამ ტიპებს აწმყოში ხმოვნების პოზიციებით განარჩევს ერთმანეთისგან: „უღლზლებანი უკუღ შემოქმედებითთა ზმნათანი არიან რჳა, რომელთა გაუღლებულნი ხუთნი არიან ჳმოვანნი და ერთი მოკლ-ჳმოვანი და ორნი საშუალ-ჳმოვანნი, ესე იგი: ა, ე, ი, უ, ო, არიან ჳმოვანნი. ხოლო მოკლ-ჳმოვანი არს ჳ და საშუალ-ჳმოვანი არიან ჩ... პირველსა შინა პირსა საზღურებითისა აწ-მყოფსასა ი მიერ ივნებითდებიან. ხოლო პირველსა შინა პირსა იქმნების ვნებითი. მაგალითებრ: ვიესუები, ვირწმუნები, განვიხდები, ვიქმნები...“ (ანტონ 1985: 23).

ე. წ. „გვარის“ ფორმები, როგორც ვხედავთ, უკვე ანტონთან გამოყოფილია. კარგადაა გარჩეული მოქმედებითი და ვნებითი გვარი, თუმცა ზოგი საშუალი გვარის ზმნა აქტივად არის გაგებული.

**შენიშვნა:** გვარის კატეგორიის შესახებ თ. უთურგაიძე წერს: „ეს კატეგორია თავიდანვე შევიდა გრამატიკულ ტრაქტატებსა და სახელმძღვანელოებში.“

დიონისე თრაკიელი გვარს განმარტავს თვით ზმნის განმარტებასთან კავშირში: „ზმნა არის მოქმედებისა და ვნების გამომხატველი მეტყველების ნაწილი; აქედან ამოსვლით გვარიც არის მოქმედებითი და ვნებითი, ხოლო რაც მათ შორის დგას, შუალედურია, ანუ საშუალო გვარია“ (უთურგაიძე 1999: 202).

ანტონი განიხილავს კაუზატივის ფორმებსაც და მათ უწოდებს „სხმი-გარდასლვოს“.

მამასადაძმე, ანტონის მიერ ზმნის ფორმები დაჯგუფებულია: გვარის, კაუზატივის, კილოს, პირისა და რიცხვის ფორმებად. შეიძლება ითქვას, რომ ანტონთან ზმნური ფორმების საკლასიფიკაციო ნიშანი არის გვარი.

შემდგომი პერიოდის გრამატიკები ანტონის გრამატიკაზე დაყრდნობით იქმნებოდა და, შესაბამისად, არ ხდებოდა ძიება ქართული ენის წიაღში არსებული სხვა ზმნური კატეგორიებისა, რომელიც მხოლოდ ქართულისათვის არის დამახასიათებელი.

საგანგებოდ განვიხილავთ გაიოზ რექტორის „ქართულ გრამატიკას“. გაიოზ რექტორის „ქართული ღრამმატიკაში“ (გამოცემულია 1970 წელს ელენე ნიკოლაიშვილის მიერ) ზმნა ასეა განმარტებული: „ზმნა არს სიტყვსა, რომელიცა ჰნიშნავს ანუ ყოფასა, ანუ მოქმედებასა არსისასა; მაგალ. ვარ, ვჰმყოფობ, ვჰსწერ, ვჰმართებ და სხუანი“ (გ. რექტორი, 1970: 66). აქ ზმნები დაყოფილია არსებითად და შემოქმედებითად, პიროვნად და პირნაკლად, კანონიერად და უკანონოდ. აქვეა გამოყოფილი „მდევარნი უკუტჷ ზმნისა“ ანუ ზმნის კატეგორიები, რომლებშიც ზმნის ფორმებია დაჯგუფებული; ასეთი კატეგორია სულ რვაა: „ნათესავი, ნაკუტჷთი, სახე, რიცხვ, პირი, ჟამი, სქესი და უღვლილება“ (იქვე). ტერმინი „ნათესავი“ გამოყენებულია თანამედროვე გვარის აღსანიშნავად, რომელიც სამია: შემოქმედებითი, ვნებითი და უმეშტჷობითი. სქოლიოში წარმოდგენილია განმარტება: „რამეთუ ყოველი ზმნა, ოდესცა ჰნიშნავს მოქმედებასა რადსამე ვნებულთურთ, ესე იგი არს ნამოქმედებით, იწოდების შემოქმედებითად; მაგალ. ვჰსწერ, ვჰსჷრი და სხუანი. რამეთუ ოდეს გავიგონებ ჰმასა ამას **ვჰსჷრი**, მყისჷტჷ წარმოვიდგენ გონებასა შინა, ვითარმედ მეტყჷლლი ამისი მოქმედებს ჰრასა და ჰსჷრის რადმესა, სადაცა ცხად-იქმნების მოქმედება ჰრისა გაჷრილითურთ, ესე იგი არს ვნებულთურთ, ანუ ნამოქმედებით. ესრეთჷტჷ ყოველი ზმნა, ოდესცა ჰნიშნავს ვნებასა რადსამე მოქმედებითურთ, ითქმის

ვნებითად; მაგალ. *ვიჭრები*, რომელსაცა შინა ჰსჩანს მოქმედიცა, ვითარმედ იჭრების ვისგანმე, ხოლო უმეშჸობითი ზმნა იგი არს, ოდესცა ჰჩნდეს მოქმედება და ვნებული არასადა, ანუ - ვნება და მოქმედი არა; მაგალ. *ვალ*, რომელსაცა შინა თუმცა ჰსჩანს მოქმედება, გარნა ვნებული - არა, ესრეთუჸ ჰვსტირი, რომელსაცა შინა თუმცა ჰსჩანს ვნება, გარნა მოქმედი არა...“ აქვეა გამოყოფილი „ხატ-შემოქმედებითი“ და „ხატ-ვნებითი“ (რექტორი 1970: 68). კაუზატივის კატეგორია ანტონის მსგავსადაა წარმოდგენილი, ასევე: რიცხვი, პირი, დრო და კილო.

XIX საუკუნეში გრამატიკის სახელმძღვანელოები, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, პრაქტიკული მიზნებისთვის იქმნებოდა. ამ მხრივ ერთ-ერთი საინტერესო ავტორია სოლომონ დოდაშვილი, რომლის გრამატიკაშიც უკვე სრულყოფილადაა განმარტებული ზმნა და მისი კატეგორიები; კერძოდ, ზმნის ფორმები ოთხად განიყოფებიან: „1) არსებითად, 2) მოქმედებითად, 3) ვნებითად, 4) უმეშვეობითად.

1. არსებითი ზმნა არს იგი, რომელიცა აჩვენებს ყოფასა საგნისასა, მაგ., ვარ, ვჰმყოფობ.

2. მოქმედებითი ზმნა არს იგი, რომელიცა აღნიშნავს მოქმედებასა სხვასა საგანსა ზედა გარდასრულსა. მაგალ., მოწაფე კითხულობს წიგნსა, ცოდვამან დასაჯა პირველი კაცი.

3. ვნებითი ზმნა არს იგი, რომელიცა აღნიშნავს ვნებასა საგნისასა, სხვისა საგნისაგან წარმოებულსა. მაგალ., ბოროტი დაისჯების, მართალი შეიყვარების და სხვანი.

4. უმეშვეობითი ზმნა არს იგი, რომელიცა აჩვენებს ანუ მოქმედებასა და არა სადა ვნებასა. მაგალ., ვალ, მრწამს, მიყვარს, მაქვს და სხვანი; ანუ ვნებასა და არა მოქმედებისაგან წარმოებულსა: ვჰსტირი, ვიცინი და სხვანი. ამის გამო უმეშვეობითი ზმნა იქმნების ხატმოქმედებითნი და ხატვნებითნი“ (დოდაშვილი 1951: 112-113).

ს. დოდაშვილი აქვე გამოყოფს ზმნის სხვა კატეგორიებს: ნაკვთი, სახე, რიცხვი, პირი, დრო, სქესი და უღვლილება. მარტივი ნაკვთით ის აღნიშნავს ზმნის უზმნისწინო ფორმას, ხოლო რთული ნაკვთით ზმნისწინიანს, აგრეთვე - კეთილს-ვმსიტყველობ.

ს. დოდაშვილი კაუზატივის (კონტაქტის) კატეგორიას „სახეს“ უწოდებს. კაუზატივის სახეები აქაც ისევეა წარმოდგენილი, როგორც ანტოთან: „პირველ-სახე, სხმით-გარდასვლითი და მრჩობლ-სხმით-გარდასვლითი“ (იქვე).

დრო არის იგივე მწკრივი (გამოყოფილი აქვს 6 მწკრივი), ხოლო სქესი არის კილო.

ს. დოდაშვილს ცალ-ცალკე აქვს ნაუღლები მოქმედებითი და ვნებითი ზმნები; კერძოდ, მისი აზრით: „**უღვლილებანი ზმნისანი არიან ორნი:**

ა) ზმნანი პირველისა უღვლილებისანი არიან იგინი, რომელნიცა აწმყოს შინა დროსა პირველსა პირსა შინა განპიროვნდებიან ასოთა ამით ვ; ხოლო მეორისა შინა პირსა შემდგომითა მისითა ასოითა ანუ ა, ანუ ე, ანუ ი, ანუ უ, და ანუ ჰ, და მესამესა შინა პირსა ბოლოს ლექსისა მოეკიდების ასო ესე ს; ამის გამო ზმნანი პირველისა უღვლილებისანი იქმნებიან ხუთ ხატად, მაგალ., ვაქებ, აქებ, აქებს; ვესვრი, ესვრი, ესვრის; ვიქმ, იქმ, იქმს; ვუზნობ, უზნობ, უზნობს; ვჰსწერ, ჰსწერ, ჰსწერს და სხ.

ბ) ზმნანი მეორისა უღვლილებისანი არიან იგინი, რომელნიცა აწმყოს შინა დროსა მხოლოდობითისა რიცხვისასა პირველისა შინა პირსა განპიროვნდებიან ასოითა ამით მ; მეორესა შინა პირსა ასოითა ამით გ; ხოლო მესამესა შინა პირსა ანუ ჰ, ანუ უ და ანუ მეორისა პირისა მაპიროვნებელის გ-ის შემდგომითა ასოითა, მაგალ., მრწამს, გრწამს, ჰრწამს; მიყვარს, გიყვარს, უყვარს; მაქვს, გაქვს, აქვს და სხვანი“ (დოდაშვილი 1951: 115). როგორც ვხედავთ, ზმნები (და არა ზმნის ფორმები) აქ დაყოფილია აწმყოში გამოვლენილი პირის ნიშნების მიხედვით. ზმნათა უკანასკნელი ჯგუფი მოგვიანებით ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში იწოდა ინვერსიულ ზმნებად.

ქართული ზმნური ფორმების შესწავლის მხრივ მნიშვნელოვანია განვიხილოთ პლატონ იოსელიანის გრამატიკა, რომელშიც ზმნები დაყოფილია ორ ნაწილად: „მარტივი ზმნა არს იგი რომელიცა მდგომარეობს თვინიერ მარცუალთა ანუ ლექსთა მოღებულთა სხვისა სიტყვისა ნაწილისაგან, მაგ. **ვხედავ, ვალ, ვჭკვრეტ...** ჰართული ზმნა არს იგი, რომელსაცა მიემატების ლექსი ანუ მარცუალი სხვისი სიტყვისა ნაწილისაგან მიღებული, მაგ. **კეთილ-ვდღეობ, ხელს-ვიქნევ და სხუა**“ (იოსელიანი 1863: 36).

პ. იოსელიანი მწკრივს დროს უწოდებს, შესაბამისად მასთან „დრონი ზმნისანი არიან ხუთნი“, განარჩევს სამ პირს, პიროვანსა და უპირო ზმნებს. საურთიერთო კატეგორია მასთან არის „მიჩემებითი“, რომელსაც პირების მიხედვით გაარჩევს. სქესი

ეწოდება კილოს კატეგორიას. პ. იოსელიანი, როგორც თვითონ ამბობს, „ენასა შინა ქართულსა იპოვებიან ზმნანი, რომელნიცა აღნიშნენ პირისა ვნებულისა თვით-ვნებასა, მაგ. მოქ. და ვნ. ვაბამ, ვიბმი, თვითვნებითად ითქმის ვებმი და სხ“ (იქვე: 28).

პ. იოსელიანის დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ზმნისწინის დართვისაგან ახალი ზმნის მიღებაა შესაძლებელი, რაზეც მიუთითებს კიდევ სქოლიოში (რაც შეეხება ზმნისწინთან დაკავშირებულ გეზსა და ორიენტაციას, ავტორი საგანგებოდ არ მსჯელობს ამ საკითხებზე, მათზე მსჯელობა ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანის ნაწერებში გვხვდება).

პ. იოსელიანის აზრით „ქართულისა ენისა ზმნანი ყოველნი არიან უკანონონი; თვთოეულსა ზმნასა აქუს თვსება გარდაკეთებისა სხუად ზმნად მიმატებითა რომელთამე მარცჳალთა; მრავალთა სხუათა სიტყვსა ნაწილთა ძალ-უმსთ გარდაქცევა ზმნად; აქედამ გამოვალს სიმნელე კანონთა მოღებისა მათთვის და ვჰსცნობთ, რომელ თვსება ესე ენისა არს დიდი სიმდიდრე და უხუჭბა მისი“ ( იოსელიანი 1863: 43).

განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის დ. ყიფიანის „ახალი ქართული გრამატიკა“, რადგან ნაშრომში შემოთავაზებულია ზმნების დაჯგუფების ცდა. დ. ყიფიანმა ნაშრომის მესამე თავი ეძღვნება ზმნას. აქ პირველადაა წარმოდგენილი ზმნათა სხვაგვარი კლასიფიკაცია, განსხვავებით სხვა გრამატიკოსთაგან, „ზმნა იმ სიტყვასა ჰქვია, რომლითაც ან მოქმედება გამოითქმის რამე, ან მდგომარეობა - ვაშენებ, მძინავს“ (იხ. ყიფიანი 1882: 64). დ. ყიფიანი ქართული ზმნის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაზეც წერს, კერძოდ, აღნიშნავს რომ სახელი შეიძლება გადაიქცეს ზმნად (ქვა - ვაქვავებ) და პირუკუ, ყოველი ზმნისაგან შეიძლება ვაწარმოთ სახელი (ვწერ - წერა, ვაშენებ - შენება). აქვე დიმიტრი ყიფიანი ძველ გრამატიკოსებთან განიხილავს ზმნის კატეგორიებს და უდარებს მათ ევროპულ და რუსულ ზმნას და აღწერს, თუ რა თავისებურებები აქვს ქართულ ზმნას.

დ. ყიფიანს ზმნის უღლებაც აქვს წარმოდგენილი თავის გრამატიკაში, თუმცა წერს, რომ საჭიროა ზმნის უღლება შემოკლდეს, ვინაიდან, მისი აზრით, ახალ მოსწავლეს შეაშინებს სიმრავლე ზმნის ფორმათა. როგორც ლ. ლეჟავა წერს, „ავტორი ქართული ზმნის უღვლილების შემდეგ კატეგორიებს გამოყოფს: 1. პირი, 2. რიცხვი, 3. დრო, 4. „დახრა“ = კილო, 5. „ხმა“ = გვარი (თუმცა გვარში დინამიკა-სტატიკა იგულისხმება - ს. ა.), 6. „სახე“ = ასპექტი, 7. „სახე“ =კაუზატივი, 8. სამში ტრიალი ანუ

ურთიერთარსობა (= რელატიური ფორმები)“ (ლეჟავა 1986: 70). საინტერესოა დ. ყიფიანის მოსაზრება პირის კატეგორიის შესახებ. ამ მხრივ ავტორი ქართული ზმნას ადარებს ევროპული ენების ზმნას და აღნიშნავს, რომ „ევროპიულს ენებში არ არის ისეთი სახე ზმნისა ერთი პირის მოქმედება სხვასაც ბევრს მიემართებოდეს და სხვა მრავალი პირისა ერთსა... ქართულ ზმნას ყოველგან და ყოველთვის თავისი საკუთარი ნიშნები აქვს, რომლითაც პირი და პიცხვი მაშინვე გაირჩევა...“ (ყიფიანი 1882: 74).

ზმნური ფორმების მრავალფეროვნება შეუმჩნეველი არ დარჩენია პ. კვიციანიძეს, რომელიც მოღვაწეობდა XIX საუკუნის მიწურულს. მისი „ქართული სწორმეტყველება“ გამოსცა ზ. ჭიჭინაძემ 1888 წელს. აღნიშნულ ნაშრომში ავტორი ჩვენთვის საინტერესო ქართული ზმნის საკითხებზე ასე მსჯელობს: „თავსართი და ნაბოლარი ერთისა და მასვე ზმნას სულ სხვადასხვა მნიშვნელობას აძლევენ. - თუ რამდენი მნიშვნელობა შეიძლება მიეცეს ერთსა და მასვე ზმნას ეს არის დამოკიდებული მაზედ, რამდენნაირი გავლენითი სახარი აქვს ზმნას და ამ სახარის პრეფიქსები. მაგ. ავილოთ ზმნის თემა „შენებ“. - ამაზე შეგვიძლია ავაგოთ შემდეგი გავლენითი სახარის ზმნები: იშენე. აიშენე, მოიშენე, გაიშენე, მიაშენე, დააშენე, წააშენე, ა(ლ)აშენე, შეაშენე, გააშენე და სხ. ესენი სულ სხვა და სხვა ცნების და მნიშვნელობის შემცველნი არიან, რაც დამოკიდებულია თავსართთა სხვა და სხვა სხვაობაზე, თორემ მიმოხრით ერთი და იგივენი არიან ყოველს თანამყოლში“ (კვიციანიძე 1888: 132). საინტერესოა, აქ ზუსტად რას გულისხმობს ავტორი, როდესაც წერს, რომ ესენი (საუბარია ზმნის სხვადასხვა ფორმებზე - ს.ა.) სულ სხვა ცნებისა და მნიშვნელობის შემცველნი არიან.

მოსე ჯანაშილის „ქართული გრამატიკაში“, რომელიც 1906 წელსაა გამოცემული, ცალკე თავადაა გამოყოფილი „ზმნათა შედგენილობა და წარმოება“, სადაც ორი ჯგუფის ზმნებია გამოყოფილი: პირველსახეობითნი, რომლებიც, როგორც ავტორი წერს, წარმოდგებიან პირდაპირ ფესვისაგან, მაგალ., მკა, გება, ღება, ტარება... და მეორესახეობითნი, წარმოსდგებიან ზმნისაგან და სხვა სახელთა მიმღეობათაგან მაგალ., ვკითხულობ (კითხვა), ვცდილობ (ცდა), ვაწერინებ (წერა)... (ჯანაშილი 1906: 62). ჯანაშილის გრამატიკა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ აქ ერთმანეთის გვერდით არის განხილული მეგრულისა და სვანურის ნიმუშები. ასევე წარმოდგენილია ზმნურ ფუძეთა ეტიმოლოგიები. ზმნაში გამოყოფილია ფუძე („საფუძველი“), რაც ავტორის აზრით, „ჰქვიან სიტყვის იმ ნაწილს, რომელიც არ იცვლება თითოეულს გრამატიკულს



ფორმაში. მაგალითები: კეთება - კეთებ(აწმყოს დროის საფუძველია), კეთებდ - (ნ. უსრულისა), კეთ - აორისტისა (იქვე) (ზმნის სერიებად დაყოფის საფუძველი, შეიძლება, სწორედ, მ. ჯანაშვილის ამ მსჯელობაში იყოს - ხაზგასმა ჩვენია). ცალკე თავია „ზმნათა ნიშნები“, სადაც ცალ-ცალკეა გამოყოფილი მოქმედებითი, ვნებითი და მეშვეობითი ზმნები თავიანთი ნიშნებით. ნიშნების შესახებ მ. ჯანაშვილი წერს: „მოქმედებითი ზმნის ნიშანი უმთავრესად არის ება, მეშვეობითისა ობა, ოვა, შეადარე: ვ-ა-ხარებ - ვ-ხარობ...“ (ჯანაშვილი 1906: 65). აქვეა მსჯელობა ზმნის ხმოვანპრეფიქსთა<sup>2</sup>, აგრეთვე ზმნის თავსართებისა (ამ თავში განხილულია ზმნისწინები) და უღვლილების „ტაბულების“ შესახებ. უღვლებისას ეს „საურთიერთო ტაბულები“, ავტორის ტერმინით რომ ვთქვათ, გამოყოფილია სწორედ ხმოვანი პრეფიქსებისა და პირის ნიშანთა პოვნირების მიხედვით, სულ 4 ტაბულა აქვს წარმოდგენილი და ამ ტაბულების მიხედვითაა ზმნები ნაუღვლები. უღვლების ბოლოს შენიშნავს, რომ „ყველა დროს აქვს აღნიშნული ოთხი ტაბულა თავსართის დაბოლოებით“ (იქვე: 67).

XX საუკუნეში უფრო ინტენსიურად გაგრძელდა ქართული ზმნის კვლევა; ამ პერიოდიდან ჩვენთვის საინტერესოა წინა თაობებთან შედარებით ახლებურად დანახული გვარის კატეგორია; სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ახალი ეტაპი ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე კამათია ქართული ენის ზმნაში გვარის მორფოლოგიური კატეგორიის არსებობის შესახებ; ასევე, ზოგი მეცნიერი გვარის ფორმებს თვლის **სიტყვაწარმოების** პროდუქტად - ახალ ზმნებად, ზოგი კი - მათ **ფორმაწარმოების** რანგში განიხილავს; კერძოდ:

ძველ გრამატიკოსთა მიერ შენიშნულ ზმნურ კატეგორიებს ა. შანიძე ზმნურ კატეგორიებს ყოფს უღვლებისა და წარმოქმნის კატეგორიებად; წარმოქმნის კატეგორიებში განიხილავს საქცევსაც. კერძოდ, მისი აზრით, "ზმნის ფორმა-ცვალება მწკრივებში პირისა და რიცხვის მიხედვით შეადგენს ზმნის მიმოხრის შინაარსს ანუ **უღვლების სისტემას**, ხოლო უღვლება ჩვეულებრივ მიმდინარეობს ამა თუ იმ გეზის, ორიენტაციის, ასპექტის, გვარის, ქცევის და კონტაქტის მიხედვით, რომლებიც

---

<sup>2</sup>რასაც უფრო კონკრეტულად ზმნური ხმოვანი პრეფიქსების ფუნქციათა შესწავლის ისტორიის მიმოხილვისას შევეხებით

წარმოქმნის კატეგორიება“ (შანიძე 1973: 163)<sup>3</sup>. წარმოქმნის კატეგორიებით ნაგულისხმები ზმნური ფორმები ა. შანიძისათვის **სხვადასხვა ზმნება**:

„...ერთპირიანი ზმნა რომ ორპირიანად გადავაკეთოთ, ან ორ-პირიანი სამიანად ვაქციოთ, მივიღებთ წარმოქმნილ ფორმას. მაგალითად: „დაიმალა“ ერთ-პირიანია, „დაემალა“ კი -ორპირიანი. **ესენი ერთი მეორის მიმართ სხვადასხვა ზმნებია** (ხაზი ჩვენია - ს.ა). სხვადასხვა ზმნებად უნდა მივიჩნიოთ, აგრეთვე, „დამალა“ და „დაუმალა“. ოთხივე ზმნა ერთი და იმავე ფუძისაგან არის გაკეთებული, მაგრამ სულ სხვადასხვა ზმნებია...სხვადასხვა ზმნებია: კვდება და უკვდება, დაკარგულა და დაჰკარგვია, რჩება და ჰრჩება...დაწერა და დააწერა, მოჭრა და მოსჭრა, წაიღო და წაუღო“ (შანიძე 1953: 245).

ანალოგიურად მსჯელობს არნ. ჩიქობავაც, კერძოდ, ის თვლის, რომ „ქცევა, გზა, გვარი **ახალ ლექსიკურ ერთეულებს** ქმნის; პირი, რიცხვი, დრო, კილო ახალ ლექსიკურ ერთეულებს არა ქმნის. ამგვარად: ცალკე ლექსიკური ერთეულებია: ზრდის, იზრდის, უზრდის, აზრდევინებს, იზრდება, ეზრდება... ცალკე ლექსიკურ ერთეულებად არ მიიჩნევა: ვზრდი, ზრდი... გზრდი, მზრდის, გვზრდიან, გზრდით, გვზრდით... მიზრდის, გიზრდის, გვიზრდის, უზრდის... აგრეთვე: ზრდიდა, ზრდიდეს, ზარდა, ზარდოს, უზრდია, ეზარდა, ეზარდოს... და სხვ. მისთანანი“ (ჩიქობავა 1950: 051).

სპეციალისტთა მომდევნო თაობის ერთი ნაწილი სამართლიანად თვლის, რომ გვარი, ისე როგორც ქცევა, კონტაქტი და სხვა (ხაზგასმა ჩვენია!) არ უნდა მივიჩნიოთ წარმოქმნის კატეგორიად, ფორმები კი - ახალ ლექსიკურ ერთეულებად; მაგ., თ. უთურგაიძე 1957 წელს საუბრობს რა შინაარსისა და ფორმის ურთიერთობაზე, აღნიშნავს:

"სიტყვის გრამატიკული და ლექსიკური შინაარსი ჩვეულებრივ მეტყველებაში წარმოდგენილია როგორც ერთი მთლიანი, მათ გამოვყოფთ მხოლოდ გრამატიკული ანალიზის შემთხვევაში; სანიმუშოდ ავიღოთ **უკეთებს** და **იკეთებს** ფორმები. მათი ლექსიკური განმარტებისას ვიღებთ „კეთება“ საწყისს და ორივე ფორმა ერთი

---

<sup>3</sup>შდრ., ასევე:

„უღლებისა კატეგორია, თუ ის ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას არ ცვლის და ამასთანავე ერთად აუცილებლად საჭიროა ამა თუ იმ მწკრივის საწარმოებლად. წარმოქმნისა კატეგორია, თუ ის მოდიფიკაციას უშვრება ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას და თანაც იმეორებს ძირეული ზმნის მწკრივებს, ყველას თუ არა, უმეტესობას მაინც“ (შანიძე 1980: 165).

განმარტებით გვევლინება ლექსიკონში, მაშინ როცა უკეთებს და იკეთებს ერთი მოქმედების სხვადასხვა სახეს აღნიშნავენ ამ სხვაობის უგულვებელყოფა გრამატიკულ შინაარსში არ შეიძლება, რამდენადაც ამ უკანასკნელის შედგენაში ქცევაც იღებს მონაწილეობას, უდავოდ ჩანს, რომ ასეთი ფორმების განმარტება ვერ იქნება სრული, თუ იგი მხოლოდ ლექსიკური მნიშვნელობით ამოიწურა და არ იქნა გათვალისწინებული სიტყვის გრამატიკული მნიშვნელობა“ (უთურგაიძე 1957: 150-152). **თ. უთურგაიძე მიიჩნევს, რომ გვარი (ქცევა და ა. შ.) არ წარმოადგენს წარმოქმნის კატეგორიას**, ის ცვლის არა ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას, არამედ მის გრამატიკულ შინაარსს: „განვიხილოთ ვიშენებ და ვუშენებ. ორსავე შემთხვევაში მოქმედება ერთნაირია, რადგანაც I პირი „ვაშენებ“ ფორმაში იმასვე აკეთებს, რასაც „ვუშენებში“, მაგრამ ფორმები მაინც განსხვავებულია... პირველ შემთხვევაში მოქმედება ხდება თავისთვის, მეორე შემთხვევაში სხვისთვის, ე. ი. განსხვავებაა არა მოქმედების შინაარსში, არამედ დანიშნულებაში... მაშასადამე, ფორმები ლექსიკურად კი არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ გრამატიკულად, მართლაც, მათი ლექსიკური განმარტებისას საჭიროა მხოლოდ ერთი ფორმა - შენება, გრამატიკული განხილვისას კი ასეთ საერთო ფორმას ვერ მოვუძებნით მათ, რადგანაც ისინი განსხვავებულნი არიან გრამატიკული შინაარსით“ (უთურგაიძე 1957: 150-152).

**ა.შანიძისა და არნ. ჩიქობავას თვალსაზრისებს არ იზიარებს არც ბ. ჯორბენაძე:**

„ზმნური ფორმაწარმოება გულისხმობს ახალი გრამატიკული მნიშვნელობის მქონე ფუძის წარმოქმნას, რის საფუძველზეც გამოიყოფა **ზმნური ფორმაწარმოებითი კატეგორიები**; ანუ: ყველა ის კატეგორია, რომელიც გარკვეული გრამატიკული მნიშვნელობის გამოსახატავად საჭიროებს ახალი ფუძის წარმოებას, არის ფორმაწარმოებითი კატეგორია. **ფორმაწარმოებითი კატეგორიებია: გვარი, კაუზატივი, ქცევა, მიმართულება...** გვარი ეფუძნება დინამიკურობა-სტატიკურობის, გარდამავლობა-გარდაუვალობის და უკუქცევითობის გრამატიკულ მნიშვნელობებს. არსებით სხვაობას იძლევიან გვარის ფორმები სინტაქსური თვალსაზრისითაც. ამა თუ იმ გვარის ფორმა წარმართავს წინადადების სტრუქტურას. გვარის ფორმათა კლასიფიკაციაც წორედ ამ ნიშნის მიხედვით უნდა ხდებოდეს“ (ჯორბენაძე 1995: 74-75).

ვფიქრობთ, გარკვეულწილად წინააღმდეგობრივია ბ. ჯორბენაძის პოზიცია, რამდენადაც, ის **გრამატიკულ კატეგორიებად** თვლის მხოლოდ პირის, რიცხვის,

დროის, კილოსა და ასპექტის კატეგორიებს; კერძოდ, მისი აზრით, "ზმნის ფორმის ცვლილებას პირის, რიცხვის, დროის, კილოსა და ასპექტის გრამატიკული კატეგორიების მიხედვით ეწოდება უღვლილება. ცვლილ ფორმათა ერთობლიობა ქმნის უღვლილების პარადიგმას"; შდრ., ერთი მხრივ, პირის კატეგორია ნამდვილადაა მორფოლოგიური კატეგორია, მაგრამ "კილოს კატეგორია" არ არის პირის მსგავსად მორფემებით ფორმალიზებული კატეგორია; შდრ., ასევე:

მონოგრაფიაში „ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში“ ბ. ჯორბენაძე საუბრობს ქართული ზმნის თავისებურებაზე, რომ აგებულების მიხედვით ქართულში ხშირად არ ირჩევა მოქმედებითი, ვნებითი თუ საშუალო გვარის ფორმები (მაგ., განიხილავს ფორმებს: „ძევს“ და „ხევს“, იწერება წერილი და იწერება ის მას და სხვ.), მაგრამ ამის მიუხედავად არ უარყოფს ქართულში გვარის გრამატიკული კატეგორიის არსებობას და წერს:

„გვარი არის სინტაქსური ან სინტაქსურ-მორფოლოგიური კატეგორია. ზმნის გვარი თავისი შინაარსით აუცილებლად გულისხმობს წინადადების გარკვეულ კონსტრუქციას, სუბიექტის გარკვეულ დამოკიდებულებას ზმნით გადმოცემული მოქმედებისადმი. რაც შეეხება ამ სინტაქსური მოვლენის მორფოლოგიურ გამოხატვას, ეს ხდება მხოლოდ ენათა გარკვეულ ნაწილში... გვარის კატეგორიის განსაზღვრა, როგორც მორფოლოგიურ-სინტაქსური კატეგორიისა, რომელიც ზმნის გარკვეული ფორმით აღნიშნავს ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობას ქვემდებარის აქტიურ - პასიურობის თვალსაზრისით, ქართულისათვის ყოველთვის მისაღები არ არის“ (ჯორბენაძე 1975: 10, 83)<sup>4</sup>.

მ. დამენია გამოყოფს ზმნის შემდეგ გრამატიკულ კატეგორიებს: „პირი, რიცხვი, დრო, კილო, ასპექტი, აქტი, ჯერობა, გვარი, ქცევა, კონტაქტი, გეზი, ორიენტაცია...“ და აღნიშნავს, რომ ქართულ ზმნაში გრამატიკული მნიშვნელობების გამომხატველობით საშუალებას, მეტწილად, ფონემურად გამოხატული მორფემები წარმოადგენს - „აღნიშნულ კატეგორიათაგან ფორმალური მაჩვენებლებით (მორფემებით) აღინიშნება: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, პირი, რიცხვი, ქცევა, ვნებითი გვარი, კონტაქტი...( დამენია 1982: 73). სხვაგან მსჯელობას უფრო განავრცობს მ. დამენია და წერს, რომ „გვარი და

<sup>4</sup> შდრ., ბ. ჯორბენაძის აზრით, ქართულში გვარი მორფოლოგიურად არ გამოიხატება, მაგრამ გვარი, როგორც გრამატიკული (სინტაქსური) კატეგორია, მაინც არსებობს.

ქცევა სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიებია, მაგრამ ვნებითი გვარი სასუბიექტო ქცევასთან რელატიურ-იდენტურ მიმართებაშია" (იქვე: 106-107).

ტრადიციული გაგებით გვარის, მისი სახეების აქტივისა და პასივის გამოყოფა კრიტიკულად გააანალიზა დამანა მელიქიშვილმა; მან გამოყო დიათეზის გრამატიკული კატეგორია, გვარი კი დიათეზის სახედ მიიჩნია (მელიქიშვილი 2001: 173); კერძოდ, მისი აზრით, ქართულში გვარის კატეგორია არ არის მკვეთრად გამოყოფილი რეფლექსივისაგან. „... ა. შანიძემ თანამედროვე ქართული ზმნის სისტემაში წარმატებით მოახდინა დიფერენცირება გვარისა და ვერსიის (ქცევის) კატეგორიებისა, ვერც ფორმალური და ვერც სემანტიკური თვალსაზრისით, ვნებითი და საშუალო გვარის კატეგორიათა გამოყოფა ვერ აკმაყოფილებს გვარის კატეგორიის იმ გაგებას, რომელიც ზოგად ენათმეცნიერებაშია მიღებული და უნივერსალურადაა მიჩნეული“.

მართალია, ქართული ზმნისთვის დ. მელიქიშვილს შემოაქვს დიათეზის კატეგორია, მაგრამ მაინც არ უარყოფს ქართულში გვარის კატეგორიის არსებობას; კერძოდ, იგი გვარის კვალიფიკაციას აძლევს ისეთ ზმნურ ფორმებს, „რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან სემანტიკისა და სინტაქსის ერთეულებს შორის შესატყვისობის შებრუნების შემთხვევაში... გვარის კატეგორიის ასეთი გააზრებისა და განსაზღვრის შემთხვევაში ქართულში ამ კატეგორიის გარეთ რჩება დიდი რაოდენობის მთელი რიგი ზმნებისა, რომლებიც გამოხატავენ ადამიანის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას: წუხს, ტირის, უყვარს, უჭირს და სხვა (ამ ზმნებს მეცნიერთა ნაწილი ინვერსიულ ზმნებად მიიჩნევს): ამ ზმნების მოქმედების აგენსი იგივე პაციენსია (კანკალებს ის, წუხს ის). ამ მხრივ ისინი შინაარსობლივად ძალიან გვანან ისტორიულად უგვარო დინამიკურ ზმნებს, რომლებსაც დღეს უნიშნო ვნებითებს უწოდებენ...“ (იქვე).

დ. მელიქიშვილის აზრით, „პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ პასივის ცალკე გვარად გამოყოფის ზოგადად მიღებული სემანტიკური კრიტერიუმი, რომელიც ამ გვარის ზმნების სუბიექტის პასივობას გულისხმობს, ქართულში ყოველთვის - და შეიძლება ითქვას, უმეტეს შემთხვევაში ვერ მუშაობს. ვნებითი გვარის ერთპირიანი ზმნებიც კი სუბიექტს აქტიურად წარმოგვიდგენენ. ეს ყველაფერი კი ეწინააღმდეგება არსებულ კრიტერიუმებს: აქტიური- S, პასიური- O“ (მელიქიშვილი 2001: 62-64).

**თანამედროვე მკვლევრების ერთი ნაწილი მაინც აკ. შანიძის კვალს მიჰყვება;** კერძოდ, ზმნის ფორმებს ისევ გვარის, გარდამავლობისა და ქცევის ფორმების

მიხედვით აჯგუფებს და ამ კატეგორიების ნიშნებად მიიჩნევს ხმოვან პრეფიქსებს. მაგ., **გ. გოგოლაშვილის, მ. სუხიშვილის და სხვა ავტორთა** გამოკვლევაში: „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“ წერია, რომ „ქართულში, ზმნური კატეგორიების სისტემაში, გვარი, მიუხედავად გარკვეული არათანმიმდევრულობისა, ერთ-ერთი წარმართველი კატეგორიაა. აქტივ-პასივისა და საშუალი გვარის დაპირისპირება არსებითად მოიცავს ძირითად ზმნურ ლექსიკას, ყველა უღლებადი (და, - არაუღლებადი) ზმნური ფორმა გვარის კატეგორიის რომელიმე სახეობას განეკუთვნება...“ (გოგოლაშვილი... 2011: 424). შესაბამისად, უღვლილების ტიპებიც გვარის კატეგორიის მიხედვით აქვთ გამოყოფილი.

მ. ნიკოლაიშვილის აზრით, "გვარი ქართულში სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია, ზმნის კონსტრუქციებს კი გარდამავლობა განსაზღვრავს“ (ნიკოლაიშვილი 2012).

ტ. ფუტყარაძე აღნიშნავს, რომ „სპეციალისტთა მიერ გრამატიკული კატეგორიების შემოღება უნდა ემსახურებოდეს ზმნის ფორმათა პარადიგმის სრულყოფილ გააზრებას. ქართული ზმნური ფორმების სისტემურ გააზრებას ვერ აიოლებს დღემდე აქტიურად გამოყენებული გვარის, ე. წ. გარდამავლობისა თუ აკ. შანიძის მიერ შემოღებული ქცევის კატეგორიები, ვინაიდან ამ "ნიშნებით" კვალიფიკაციის დროს არსებობს მრავალი გამონაკლისი; ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია ფორმათა გამიჯვნა და, ამავე დროს, არალოგიკურია ფორმალური პარადიგმა; ეს ყველაფერი პროგრამისტის, სტუდენტისა თუ უცხოელისთვის მეტად ართულებს ქართული ზმნის ფორმაწარმოებითი შესაძლებლობების სისტემურ გააზრებას“ (ფუტყარაძე 2013: 303).

მიუხედავად იმისა, რომ გრამატიკული აზროვნება ანტონ კათალიკოსიდან დღემდე უწყვეტად ვითარდებოდა საქართველოში, ქართული ზმნის სირთულე მაინც დაუძლეველი აღმოჩნდა. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ დღემდე გრძელდება ძიება იმ კლიტესი, არისტო ქუთათელაძის სიტყვით რომ ვთქვათ, რომელიც ალებს ქართულ ზმნას და ეს გასაღები უნდა იყოს მორგებული არა ევროპულ ენების „კლიტეს“, არამედ საკუთრივ ქართულის. ამიტომ, პირველ რიგში, ქართული ენის წიაღიდან უნდა ამოვდიოდეთ, თუ გვინდა, რომ ეს „სირთულე“ დავძლიოთ.

ვფიქრობთ, სიტყვაწარმოებად არ უნდა ჩაითვალოს ე.წ. წარმოქმნის კატეგორიებში განხილული ზმნური ფორმები; შესაბამისად, ერთ დონეზე არ უნდა დადგეს, მაგ., ერთი მხრივ, ზრდის, იზრდის, უზრდის, აზრდევინებს, იზრდება, ეზრდება... ფორმები და მეორე მხრივ, ვჭამ, ვხატავ... ლექსემები (ფორმები). გარდა ამისა, აქვე აღვნიშნავთ, რომ, ნაკლებლოგიკურია ქართული ზმნური ფორმების დაჯგუფება ე. წ. გვარის მიხედვით.

### 1.1.2. ქცევის კატეგორიის კრიტიკული ანალიზი

ქცევა (იგივე ვერსია), როგორც ზმნის მორფოლოგიური კატეგორია, გამოყოფს აკაკი შანიძემ. თუმცა ძველ გრამატიკოსებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მოქმედების მიმართულების არსებობა ქართულ ზმნაში. XIX საუკუნის დასაწყისში ნ. ჩუბინაშვილი „ქართულ ლექსიკონში“ მსჯელობს რა ამგვარი ზმნური ფორმების შესახებ, წერს: „მ იხმარების კუალად პირნაკლთა ზმნათა შინა, ოდესცა მოქმედება მიეჩემების I პირსა მეორისაგან. მაგალითად: მიწერ, მიწერს, მიშენებ, მიშენებს და რაჟამს პირველისაგან მიეჩემების 2 პირსა, მაშინ იხმარების გ... ხოლო უკეთუ მოქმედება არს მესამისაგან პირისა, მაშინ არღარა არს პირნაკლი, არამედ მიეჩემების სამთავე და პირველისადმი იხმარების კუალადვე ასო მ, მეორისადმე კუალადვე გ, მესამისადმი უ. მაგალითად: მიწერს, გიწერს, უწერს, მიშენებს, გიშენებს, უშენებს. ანუ ვნებითად: მწერს, გწერს, ჰსწერს; მაშენებს, გაშენებს, აშენებს და სხ.“ (ჩუბინაშვილი 1812-1825: 86). როგორც ვხედავთ ნ. ჩუბინაშვილი გამოყოფს ე. წ. „მიჩემებითის“ გამომხატველ ფორმებს.

უფრო მოგვიანებით საინტერესო მსჯელობა გვხვდება პლატონ იოსელიანის ნაშრომში: „პიროვანნი ზმნანი დაიწყებიან ასოდთა ვ; ხოლო მიჩემებითა სხუათა პირთამდი, შეიცულებიან სხუადდა სხუად, რომელთაცა მნიშვნელობა სხუათა ენათა ზედა ცხად–იქმნების მხოლოდ შეწევნითა ნაცხად–სახელისა, მაგ., ოდეს მოქმედება მიეჩემება თვთ–მოქმედსა პირსა, ვიტყვთ: ვაშენებ, ვჰსწერ; ოდეს მოქმედება მიეჩემება პირუჭლსა პირსა და მისთვისვე არს მოქმედება, ითქმის, ვიშენებ, ვიწერ; ოდეს მოქმედება არს მესამისა პირისათვის ითქმის ვუშენებ, ვუწერ. მჰსგავსადვე ვნებითნი ზმნანი იხმარებიან სამთავე პირთა შინა მიჩემებითა რომლისადმი მათგანისა, მაგ.

მიშენებდების, გიშენებდების, უშენებდების და სხ“ (ოსელიანი 1863: 37). მაშასადამე, როგორც ვხედავთ, პირველად ე. წ. ქცევის კატეგორიის შესახებ მსჯელობა წარმოდგენილია ნ. ჩუბინაშვილისა და პ. ოსელიანის შრომებში და მას „მიჩემებითი“ ეწოდება.

უკვე XX საუკუნის დასაწყისში „მიჩემებითი“ აკ. შანიძის მიერ კვალიფიცირდა ქცევის (ვერსიის) მორფოლოგიურ კატეგორიად, თუმცა იმის გამო, რომ მას მრავალი გამონაკლისი აქვს, ეს ვითარება, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ხელს უშლის ამ კატეგორიის მორფოლოგიურ კატეგორიად მიჩნევას.

აკ. შანიძე ქცევას ანუ ვერსიას შემდეგნაირად განმარტავს: „ქცევა, ანუ ვერსია, არის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, თუ რა ურთიერთობაა კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით სუბიექტსა და ობიექტებს შორის ან ობიექტებს შორის...“ (შანიძე, 1953: 324) ამის მიხედვით ის სამ ქცევას გამოყოფს: ნეიტრალურს, სათავისოსა და სასხვისოს. ქცევის კატეგორიის ასეთი დაყოფა გაზიარებულია სხვა ავტორთა მიერაც (იხ. ბ. ჯორბენაძე 1983; ლ. კვაჭაძე 2001; ა. ონიანი 2003...).

საარვისო ანუ ნეიტრალური ქცევის გამოყოფას არ იზიარებს არნ. ჩიქობავა; ის ა-პრეფიქსს არ მიიჩნევს ქცევის ნიშნად: „სასუბიექტო და საობიექტო ქცევებთან შეპირისპირებით გამოიყოფა ნეიტრალური ანუ საარვისო ქცევა“. არნ. ჩიქობავა თვლის, რომ „მორფოლოგიურ კატეგორიას ქმნის აფიქსით გადმოცემული მნიშვნელობა“ (არნ. ჩიქობავა, 1952: 267). მისი მსჯელობებიდან დასკვნა რომ გამოვიტანოთ, საარვისო ანუ ნეიტრალური ქცევა არ არსებობს, რადგან, როგორც დავინახეთ (და ეს მართლაც ასეა) მისთვის მორფოლოგიურია კატეგორია, თუ ის აფიქსითაა გადმოცემული; ა ხმოვანი პრეფიქსი კი მას არ მიაჩნია ნეიტრალური ქცევის ნიშნად<sup>5</sup>.

ანალოგიურად მსჯელობს გ. როგავაც, მისი აზრით: „ა- აფიქსი ზმნებში ა-მაგრებს, ა-დიდებს, ა-კეთებს და სხვა, არ შეიძლება ჩაითვალოს ქცევის გამომხატველად“ (როგავა 1942: 207). შესაბამისად, საარვისო ქცევის ფორმა ვერ დაუპირისპირდება ქცევის ფორმებს, რამდენადაც ის არ გამოხატავს კუთვნილებით ურთიერთობას. სასხვისო და სათავისო ქცევათა აფიქსები გ. როგავასთვის დაიყვანება ერთ ი აფიქსზე, ვინაიდან, როგორც თვითონ ავტორი განმარტავს, „ისინი ძირითადად ერთსა და იმავე

<sup>5</sup>მსჯელობისთვის იხ. არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936:106; არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950: 058;



ფუნქციას ასრულებენ: ეს ფუნქციაა კუთვნილებითი ურთიერთობის გამოხატვა... რამდენადაც ქცევა ოდენ კუთვნილებით მომენტს გამოხატავს, ამდენადვე აუცილებელია, ზმნას სამივე პირისათვის ერთი და იგივე ნიშანი ჰქონოდა...“ (როგავა 1942: 209-210). ასეთ ნიშნად გ. როგავა ი პრეფიქსს ვარაუდობს, რომელიც მიღებული უნდა იყოს კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან. ამ მოსაზრებას ზურგს უმაგრებს სხვა კავკასიური ენეთა მონაცემებიც, კერძოდ, აფხაზურისა და ადიღეურის მასალა.

ფ. ერთელიშვილის აზრით: „საარვისო ქცევის ცნება ზოგადი განსაზღვრის ცნებაში ვერ თავსდება“, ვინაიდან „საარვისო ქცევის ფორმაში პირდაპირი ობიექტი არავის კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა განკუთვნილი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ საარვისო ქცევის ცნება უპირისპირდება ქცევის ზოგად ცნებას...“ (ერთელიშვილი 1965: 188). აქვე მოყვანილია მაგალითები, რომლებშიც ქცევის ნიშნებად მოსალოდნელი ი- და უ- ხმოვანი პრეფიქსები მართლაც რომ ჩავთვალოთ სათავისო და სასხვისო ქცევის ნიშნად, უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ფ. ერთელიშვილისთვის საარვისო ქცევა (ისევე როგორც უშუალო კონტაქტი, მიუმართავი გეზი და სხვა - ს. ა.) მორფოლოგიურ მნიშვნელობას მოკლებულია (იქვე: 1965 : 191).

მ. მაჭავარიანი ქცევის კატეგორიის ზოგად ფუნქციას მორფო-სინტაქსური დერივაციის თვალსაზრისით განიხილავს და აღნიშნავს, რომ „ქცევის კატეგორიის მორფო-სინტაქსური ფუნქცია არის ზმნის ობიექტების წარმოქმნა ან მოსპობა“ (მაჭავარიანი 1980: 40). აქვე მ. მაჭავარიანი წერს: „პირის კატეგორიის ზოგადსემანტიკური ფუნქცია ძალიან ახლოა ქცევის კატეგორიის ზოგად მნიშვნელობასთან, მათ შორის გარკვეული იერარქიული დამოკიდებულებაა: გამიზნულობა შეიძლება განხორციელდეს ორიენტაციის გარეშე (მაგალითად, მძულს, ვხატავ, ვკერავ და სხვ.), ორიენტაცია კი აუცილებლობით გულისხმობს გამიზნულობის არსებობას. მარტივად რომ ვთქვათ, პირის ნიშნები ფუნქციონირებენ ქცევის ნიშნების გარეშე, ქცევის ნიშნები კი აუცილებლობით მოითხოვენ პირის ნიშანთა მეზობლობას“ (იქვე: 1980: 54). ჩვენი აზრით, მ. მაჭავარიანი სწორად მიუთითებს პირის კატეგორიისა და ქცევის სიახლოვეზე, მაგრამ მისგან განსხვავებით, ვფიქრობთ, რომ ზმნაში სპეციალური ნიშანი არ არის ქცევისთვის, და საერთოდ, ქცევას ვერ განვიხილავთ

როგორც მორფოლოგიურ კატეგორიას. მოქმედების შედეგის კუთვნილება, მიმართულება უფრო სემანტიკური კატეგორიაა, ის სემანტიკის სფეროს განეკუთვნება.

**შდრ.,** ტ. ფუტკარაძის აზრით, ზმნის ყალიბით გამოიხატება მოქმედების რამდენიმე მიმართულება : „ნეიტრალური (ვწერ), აგენსისკენ მიმართული (ვიწერ), ადრესატისკენ ან განმცდელი პირისკენ მიმართული (მიწერს/ვუწერ), საზედაო (ვაწერ)... შდრ., ზმნისწინით გამოხატული გეზი: მიჰყავს - მოჰყავს /„მოქმედების მიმართულების გამოხატვა“ სემანტიკური კატეგორიაა; იგი მორფოლოგიურ კატეგორიად ვერ კვალიფირდება/“ (ფუტკარაძე 2012: 204).

მართალია, ჩვენ ზმნური ყალიბების გამოყოფისას მივუთითებთ ზმნისა და სახელის მიმართებაზე (მოქმედების შედეგის კუთვნილებაზე), მაგრამ ცალკე გრამატიკულ კატეგორიად მაინც არ გამოვყოფთ ე. წ. ქცევას; ერთ დონეზე არ განვიხილავთ პირისა და ქცევის კატეგორიებს. მიგვაჩნია, რომ ეს უფრო ლოგიკურია. განსხვავებით პირის კატეგორიისგან, ქცევის კატეგორიას ბევრი გამონაკლისი აქვს; ძალიან ხშირად ვნებით გვარსა და სათავისო ქცევაზე ერთი ნიშანი (ხმოვანი პრეფიქსი) მიუთითებს, რაც მორფოლოგიის თვალსაზრისით გაუმართლებელია. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ე. წ. ქცევა არ არის მორფოლოგიური კატეგორია.

### 1.1.3. კაუზატივის კატეგორიის კრიტიკული ანალიზი

კაუზატივის ფორმები პირველად გამოყო ანტონ გათალიკოსმა, რომელიც მასთან სხმით-გარდასლვითა. „მაგალითებრ: ვასჟამ, ესე სხმით-გარდასლვითი-არს და ვასმევინებ მრჩობლ-სხმით-გარდასლვითი-არს, ა აქუს მაკეთად ზმნისა სხმით-გარდასლვთსა, რომელი განყოფს პირველ სახისაგან ზმნისა...“ (ანტონ I 1885: 38); განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ ტერმინები: სხმით-გარდასლვითი და მრჩობლ-სხმით-გარდასლვითი კონტაქტის კატეგორიის სახეებს შეესაბამებიან.

კაუზატივის ფორმები ს. დოდაშვილისა და სხვათა გრამატიკებშიც სახელდება, როგორც ზმნის „სახე“. მაგალითად, ს. დოდაშვილი გამოყოფს მათ სამ

ვარიანტს: „პირველ-სახე, სხმით-გარდასვლითი და მრჩობლ-სხმით-გარდასვლითი“ (დოდაშვილი 1951: 112-113).

წინა თაობების დაკვირვებები განაზოგადა აკ. შანიძემ და დასახელებული ფორმები გააერთიანა კონტაქტის კატეგორიაში და გამოყო: -ევ-, -ინ-, -ევინ-ფორმანტები; თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ კაუზატიური ფორმების საწარმოებლად აუცილებელია ა- პრეფიქსიც -ებ სუფიქსთან ერთად; კერძოდ, აკ. შანიძე წერს: „წარმოქმნა გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავალისა (ტირ-ი-ს > ა-ტირ-ებ-ს...) და უშუალო კონტაქტის ზმნისაგან შუალობითი კონტაქტისა (წერ-ს > ა-წერ-ინ-ებ-ს...) წარმოების თვალსაზრისით შეიძლება გაერთიანებულ იქნეს“ (შანიძე 1980: 369).

**შდრ.,** გ. მაჭავარიანი: „მაშინ აქ არსებითად ერთ მორფოლოგიურ კატეგორიასთან გვექონია საქმე და, ამდენად, კონტაქტის ცალკე გამოყოფა გამართლებული ვერ იქნება. ფორმათა წარმოების თვალსაზრისი არის მორფოლოგიის თვალსაზრისი. ის, რაც ერთია მორფოლოგიის თვალსაზრისით, ერთ მორფოლოგიურ კატეგორიაში უნდა იქნეს მოქცეული“ (მაჭავარიანი 1988: 63).

არნ. ჩიქობავას აზრით, ა- კაუზატივის სპეციალური ფორმანტია. არნ. ჩიქობავა მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბების გზად კაუზატივს მიიჩნევდა (იხ. ჩიქობავა 1950: 059). ამის ნიმუშად კი მოჰყავდა „წუხს“ და „აწუხებს“ ზმნათა (და არა ზმნურ ფორმათა - ს. ა.) მიმართება.

ბ. ჯორბენაძე გამორიცხავს ა- პრეფიქსის მიჩნევას კაუზატივის მაწარმოებელ მორფოლოგიურ ელემენტად, თუმცა იმასაც მიუთითებს, რომ „ზოგიერთი ტიპის ზმნებს გარკვეულ კონტექსტში (მაშინ როცა სამვალენტური ხდებიან: ამდერებს ის მას მას) შეუძლია გამოხატოს კაუზატივის მნიშვნელობა, მაგრამ იმავდროულად, ყალიბის მიხედვით, ისინი მოქმედებითი გვარის ჩვეულებრივი ზმნებია“ (ჯორბენაძე 1983: 48). გარდა ამისა, ბ. ჯორბენაძე წერს, რომ ა- პრეფიქსი ვერ მიიჩნევა კაუზატივის მაწარმოებლად, რამდენადაც ა-ს თუ შევცვლით ე- ხმოვანი პრეფიქსით, ზმნა მაინც გამოხატავს კაუზატივს; იქვე მოყვანილია შესაბამისი მასალაც: ა-თრევ-ინ-ებ-ს - ე-თრევ-ინ-ებ-ა.

კაუზატივის კატეგორიის შესახებ მსჯელობა საინტერესოა სხვა მიმართულებითაც: ანტონ კათალიკოსის აზრით, „ტირის“ პირველადი ფორმაა,

„ატირებს“ სხმით-გარდასლვითი, „ატირებინებს“ მრჩობლ-სხმით-გარდასლვითი...“  
ამავე აზრის გაგრძელება ჩანს გ. მაჭავარიანის თვალსაზრისი: „კაუზატივი უდრის  
პირველ რიგში იმას, რასაც პროფ. ა. შანიძე შუალობითს კონტაქტს უწოდებს. მაგრამ ეს  
არის კაუზატივის ვიწრო გაგება. ფართო გაგებით (და არსებითადაც!) კაუზატივის  
კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი წარმოებაც, როგორცაა: წუხ-ს > ა-წუხ-ებ-ს, დგ-ა-ს >  
ა-დგ-ენ-ს, რბ-ი-ს > ა-რბ-ევ-ს, თბ-ებ-ა > ა-თბ-ობ-ს... აქვე შემოდის ა-კეთ-ებ-ს, ა-შენ-ებ-  
ს, ა-თეთრ-ებ-ს ტიპის ნასახელარი გარდამავალი ზმნები“ (მაჭავარიანი 1988: 63).

ჭ. ქირიას აზრით, ქართულ ენაში პირველადი კაუზატივებისთვის კატეგორიის  
სტატუსის მინიჭება გაჭირდება რამდენიმე გარემოების გამო, კერძოდ: „1. „პირველად“  
კაუზატივებს (რომლებიც აგრეთვე მოქმედებითი გვარის ზმნებია) ძალიან ხშირად არა  
აქვთ ამოსავალი ძირეული ფორმები: გრამატიკული კატეგორია კი სწორედ  
საპირისპირო ფორმათა სისტემის არსებობას ემყარება (ეს აკ. შანიძის მსჯელობიდან – ს.  
ა. ). 2. პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობენ ამა თუ იმ ფორმისათვის კაუზატივის  
სტატუსის მინიჭებას, პრაქტიკულად უდიდესი მაშტაბების განზოგადების  
შესაძლებლობას იძლევა... (ქირია 1989: 7-8). აქვე მოყვანილი აქვს მ. დამენიას მიერ  
კაუზატიურად ჩათვლილი ზმნური ფორმები. სწორედ ამგვარ ფორმათა  
მრავალფეროვნების გამო წერს ჭ. ქირია: „არ შეიძლება ყველაფერი კაუზატივი იყოს“  
(იქვე). შემდგომ მსჯელობაში ის იზიარებს გ. ნებიერიძის მოსაზრებას: „პირველადი  
კაუზატივების კლასიფიკაციისას იგნორირებულია ერთი მომენტი: ის პირი, რომელსაც  
ზმნის ფორმის მიხედვით „აიძულებენ“, სულიერი უნდა იყოს, ამ პირობის  
არარსებობისას კაუზაციაზე ლაპარაკი ზედმეტია“ (იქვე: 8-9). სამაგალითოდ  
მოყვანილია „ამუშავებს“ ფორმა, რომელიც, როგორც ჭ. ქირია აღნიშნავს, „თავისთავად  
არ იძლევა არავითარი დასკვნის გაკეთების საშუალებას (კაუზაციის თვალსაზრისით),  
მხოლოდ კონტექსტი წარმოაჩენს, - იძულებით გაგებულ თუ „ჩვეულებრივ“ მოქმედებას  
აქვს ადგილი, თუ პირი, რომელსაც აიძულებენ, უსულოა, კაუზატიური სემანტიკა არა  
გვაქვს“. ამ გარემოებების განხილვის შემდგომ ჭ. ქირია ასკვნის, რომ კაუზატივი  
მხოლოდ შუალობითი კონტაქტის ფორმა შეიძლება იყოს (ქირია 1989: 12).

კაუზატივის კატეგორიას მიმოიხილავს თ. უთურგაიძე, მისი აზრით,  
„კაუზატივები შეიძლება იყოს ერთინიციატორიანი (აწუხებს) და ორინიციატორიანი  
(აწუხებინებს); ამავე დროს კაუზატივები იწარმოება სხვადასხვა ტიპის არაკაუზაციური

(პირველადი) ფორმებისგან (უნიშნო ვნებითაგან, მედიუმთაგან და აქტივთაგან) სპეციალური მაწარმოებლებით, რომელთა რიცხვიც საკმაოდ ბევრია ქართულ ენაში“, წარმოდგენილი მსჯელობის შემდეგ გამოყოფილია მაწარმოებლების სამი ტიპი, ესენია: I. ა- ; II. ა-\_-ინ, ა-\_-ენ(-ინ), ა-\_-უნ, ა-\_-ოლ; III. ა-\_-ებინ, ა-\_-ობინ, ა-\_-ევინ, ა-\_-ვინ, ა-\_-ვევინ, ა-\_-მევინ (უთურგაიძე 1995: 126).

ტ. ფუტკარაძის აზრით, ა- \_-ებ- კონფიქსი გამოყენებულია არა მხოლოდ ტირის - ატირებს და წერს - აწერინებს ტიპის ფორმების გასამიჯნად, არამედ ნასახელარი ზმნების საწარმოებლადაც; შდრ.: ყვავილი -ა-ყვავილ-ებ-ს, მზე - ა-მზევ-ებ-ს, მშვენიერი - ა-მშვენიერ-ებ-ს... შესაბამისად, ა--ებ- ზმნური ყალიბის მაწარმოებელია, რომელიც არსებითად განსხვავდება -ინ, ფორმანტის შემცველი კონფიქსებისგან; გამომდინარე ზემოთქმულიდან, ტ. ფუტკარაძე კაუზატივს არ განიხილავს სუფიქსით მარკირებულ მორფოლოგიურ კატეგორიად და თვლის, რომ შუალობით კონტაქტის სემანტიკას გამოხატავს კონკრეტული ზმნური ყალიბი (ფუტკარაძე 2013: 303-308). იგი ა-კეთ-ებ+ინ-ებ-ს ტიპის ფორმებში მარტივ (-ინ-, -ევ-) თუ რთულ (-ევინ-, -ებინ-) სუფიქსს არ მიიჩნევს კაუზატივის ნიშნად. ვინაიდან ყველა შემთხვევაში აუცილებელია ა ან ე ხმოვანი პრეფიქსის არსებობა; შესაბამისად, შუალობითი კაუზატივის გამომხატველია ყალიბი: ა/ე+ძირი+ევ-/ინ-/ევინ- +ებ- .

ჩვენი ვფიქრობთ, რომ შეგვიძლია გავაგრძელოთ ანტონ კათალიკოსის პოზიცია და ქართულ ენაში კაუზატივის სამსაფეხურებრივი სისტემა გამოვეყოთ, პირველი ეს იქნება ზმნის პირველადი ფორმა, რომელსაც შესაბამისად ნიშანი არ ექნება, მეორე ა-...-ებ კონფიქსით ნაწარმოები ზმნური ფორმები, მესამე კი ე. წ. "ორმაგი კაუზატივი" - ძირითადად სამვალენტისანი და ოთხვალენტისანი (ეს უკანასკნელი უფრო დიალექტებში გვხვდება) ფორმები: წუხს >> ა-წუხ-ებ-ს >> ა-წუხ-ებ-ინ-ებ-ს.

კაუზატივის ფორმებს მეორე სერიაში -ებ- სუფიქსი არ გადაყვება, ამიტომაც, -ებ-ს მკვლევართა დიდი ნაწილი კაუზატივის მაწარმოებლად არ განიხილავს. ჩვენი აზრით, პირველ სერიაში წარმოდგენილ -ებ-ს (რომელიც თემის ნიშნადაც უნდა განვიხლოთ და ყალიბის მაწარმოებელ ელემენტადაც), როგორც კაუზატივისთვის საჭირო ელემენტს, მეორე სერიაში ნულოვანი მორფემა ენაცვლება. ერთ შემთხვევაში ა- პრეფიქსი (ისევე როგორც 0 და სხვა ხმოვანი პრეფიქსები) დამოუკიდებლად აწარმოებს ზმნის ყალიბს, ხოლო მეორე შემთხვევაში -ებ სუფიქსის დახმარებით, რომელსაც სხვა ფუნქციაც

შეიძლება ჰქონდეს, არა მხოლოდ ყალიბის წარმოებისა. სწორედ ეგ სხვა ფუნქციაა კაუზაცია.

## 1.2. ხმოვანი პრეფიქსები - ზმნური ფორმების მაწარმოებლები

ზმნური ხმოვანი პრეფიქსების შესახებ მსჯელობა პირველ ქართულ გრამატიკებშია. ამ თემას საგანგებო მონოგრაფია უძღვნა აკად. ბესარიონ ჯორბენაძემ; შემდეგაც დაიწერა სპეციალური ნაშრომები... მიუხედავად რამდენიმე საუკუნოვანი კვლევისა, დღესაც ბუნდოვანია დასახელებულ მორფემათა კონკრეტული ფუნქცია...

ძველ გრამატიკოსებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, რომ ქართული ზმნის ფორმაწარმოებაში საკმაოდ დიდია ხმოვან პრეფიქსთა ფუნქციური დატვირთვა; მაგალითად, სულხან საბა ორბელიანმა გამოყო სამი ხმოვანი ი-, უ- და ე-, რომელთაც ავტორი **ართრონის** სახელით მოიხსენიებს, საბა წერს: „ინი ჳმიანი ასო არს და ართრონი მრავალთა სიტყვათა. ინი თავადაც ყოველთა სიტყვათა მოვალს და ბოლოდაცა, ვითარცა ზემოთ დაგვიწერია: იტყოდი, იქმოდი, იხარებდი. ესრე მოეზავების თავ-ბოლოთა. ხოლო მარტო თავად: იმეფე, იკაცე, იპირუტყვე და ესევეითარნი...“ (სულხან-საბა 1991: 319).

თ. უთურგაიძის აზრით, საბას მიერ ე. წ. ართრონების ანუ პრეფიქსულ ხმოვანთა გამოყოფა ინტუიციურია, ვინაიდან საბა ვერ ასაბუთებს მათ ფუნქციებს. როგორც თ. უთურგაიძე მიუთითებს, მართალია, „ე- ართრონი სწორად არის გამოყოფილი პასივთა ფორმებში: ელოდე, ემორჩილებოდე, მაგრამ ი- და ე- ასევე გაუდიფერენცირებულადაც არის წარმოდგენილი ობიექტური პირის გ- პრეფიქსთან: გი-, გე-...“ (უთურგაიძე 1999: 106).

ანტონ კათოლიკოსის გრამატიკაშიც გვხვდება მცირეოდენი მსჯელობა ხმოვანი პრეფიქსების შესახებ:

„...ხოლო ამათნი უკუჴ ყოველნი ვნებითნი პირველსა შინა პირსა საზღურებითისა აწ-მყოფსასა ი მიერ ივნებითდებიან...“ (ანტონი 1885: 23). ერთ-ერთი პირველი ქართული გრამატიკის შემქმნელი ა- პრეფიქსის შესახებ წერს: „სხმით-გარდასლვთი,

ანუ სხმით–გარდასლვთ იქმნების, ანუ მრჩობლ–სხმით–გარდასლვთი. მაგალითებრ: **ვასუამ**, ესე სხმით–გარდასლვთი–არს და **ვასმევინებ** მრჩობლ–სხმით–გარდასლვთი–არს, ა აქუს მაკეთად ზმნისა სხმით–გარდასლვთსა, რომელი განყოფს პირველ სახისაგან ზმნისა...“(ანტონი 1885: 38);

განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ ტერმინები: სხმით–გარდასლვთი და მრჩობლ–სხმით–გარდასლვთი კონტაქტის კატეგორიას შეესაბამებიან. ანტონთან ცალკე გვხვდება, აგრეთვე, ე–ხმოვანი პრეფიქსი, თუმცა ავტორი მის შესახებ განმარტებას არ აკეთებს (ანტონი 1885: 53). მსჯელობაა არაა უ– ხმოვანპრეფიქსთან დაკავშირებითაც.

გაიოზ რექტორს პირის ნიშნებთან ერთად ვრცლად აქვს განხილული ე. წ. ხმოვანი პრეფიქსები.(იხ. რექტორი 1970: 71–72).

სოლომონ დოდაშვილი ხმოვანი პრეფიქსების მიხედვით გამოყოფს უღლების ორ ტიპს:

„ა) ზმნანი პირველისა უღვლილებისანი არიან იგინი, რომელნიცა აწმყოსა შინა დროსა პირველსა პირსა შინა განპიროვნდება ასოითა ამით: **ვ**; ხოლო მეორესა შინა პირსა შემდგომითა მისითა ასოითა ანუ **ა**, ანუ **ე**, ანუ **ი**, ანუ **უ** და ანუ **ჰ**, და მესამესა შინა პირსა ბოლოს ლექსისა მოეკიდების ასო ესე **ს**; ამის გამო ზმნანი პირველისა უღვლილებისანი იქმნებიან ხუთ ხატად, მაგალ., ვაქებ, აქებ, აქებს; ვესვრი, ესვრი, ესვრის; ვიქმ, იქმ, იქმს; ვუბნობ, უბნობ, უბნობს; ვჰსწერ, ჰსწერ, ჰსწერს და სხ.

ბ) ზმნანი მეორისა უღვლილებისანი არიან იგინი, რომელნიცა აწმყოსა შინა დროსა მხოლოდობითისა რიცხვისა პირველისა შინა პირსა განპიროვნდებიან ასოითა ამით **მ**; მეორესა შინა პირსა ასოითა ამით **გ**; ხოლო მესამესა შინა პირისა ანუ **ჰ**, ანუ **უ** და ანუ მეორისა პირისა მაპიროვნებელის **გ**–ის შემდგომითა ასოითა, მაგალ., მრწამს, გრწამს, ჰრწამს; მიყვარს, გიყვარს, უყვარს; მაქვს, გაქვს, აქვს და სხვანი“ (დოდაშვილი 1951: 115). მაშასადამე, აღნიშნულ ნაშრომში ხმოვანპრეფიქსები ზმნის უღლების მონაწილე ელემენტებია.

საინტერესო მსჯელობაა პლატონ იოსელიანის ნაშრომში: „პიროვანნი ზმნანი დაიწყებიან ასოდთა **ვ**; ხოლო მიჩემებითა სხუათა პირთამდი, შეიცულებიან სხუადდა სხუად, რომელთაცა მნიშვნელობა სხუათა ენათა ზედა ცხად–იქმნების მხოლოდ შეწევნითა ნაცტალ–სახელისა, მაგ., ოდეს მოქმედება მიეჩემება თვთ–მოქმედსა პირსა, ვიტყვთ: **ვაშენებ**, **ვჰსწერ**; ოდეს მოქმედება მიეჩემება პირუჭლსა პირსა და მისთვსვე არს

მოქმედება, ითქმის, ვიშენებ ვიწერ; ოდეს მოქმედება არს მესამისა პირისათვის ითქმის ვუშენებ, ვუწერ. მკსგავსადვე ვნებითნი ზმნანი იხმარებიან სამთავე პირთა შინა მიჩემებითა რომლისადმი მათგანისა, მაგ. მიშენებდების, გიშენებდების, უშენებდების და სხ“ (ოსელიანი 1863: 37).

მსგავსად სოლომონ დოდაშვილისა, „ორგჟარ უღვლელბას“ გამოყოფს ზმნებისას პლატონ ოსელიანიც და ზუსტად იგივე სქემას გვთავაზობს, უღვლილება გამოყოფილია ამა თუ იმ პრეფიქსულ ხმოვანთა პოვნირებით (იხ. ოსელიანი 1863: 38).

**დიმიტრი ყიფიანი ერთ დონეზე აყენებდა იმ ხმოვანპრეფიქსებსა თუ სუფიქსებს, რომლებიც მომდევნო ხანის გრამატიკოსებთან უკვე ე. წ. გვარისა და ქცევის მაწარმოებლად იქნა მიჩნეული.**

მოსე ჯანაშვილს თავის გრამატიკაში ცალკე აქვს გამოყოფილი ზმნის თავსართი (თავსართებში ზმნისწინი იგულისხმება), სუფიქსები და ფესვი. ხმოვან პრეფიქსებს სანიშნოვე ნაწილაკების სახელწოდებით მოიხსენიებს და გამოყოფს მათ:

„ა– დაისმის ზმნის თავში. იგი მოქმედებითის ზმნის ნიშანია. ა–კეთებს, ა–შენებს, ა–დიდება.

ო– დაისმის თავში და ეს მეშვეობითი ზმნის ნიშანია: ო–ბანს, ო–კეთებს, ო–წერს, ო–ვსება, ო–პრანჭება.

ო–ი – დაისმის ზმნის თავ–ბოლოში და ვნებითი ზმნის და ვნებით–მაგვარ ზმნის ნიშანია: ო–ბანებ–ი, ო–წერებ–ი (სხვების მიერ); იწერები, იბანები (შენ თვითონ).

ე–ი ანუ ე– დაისმის ან მარტო (ზმნის წინ), ანდა ზმნის წინ დაესმის ე– და ბოლოში –ი: ვეუბენ, ეუბენ; მოვეკალ, მოეკალ; ვეუბნები, ეუბნები, ეუბნების“... (მ. ჯანაშვილი 1906: 5). თითოეულ პრეფიქსს თან სდევს უღვლილების ტაბულა; აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მ. ჯანაშვილს ტაბულებში აღწერილი აქვს სვანურის ვითარებაც.

ზმნის უღვლილებაში ხმოვანი პრეფიქსების მონაწილეობის შესახებ საინტერესოა პ. კვიციანიის დაკვირვებანი: „მას შემდეგ, რაკი იცი, რამდენნაირი თავსართი და ნაბოლარი ეზავება ზმნასა, ადვილი გასაწყობია თვითეული ზმნის მიმოხრა, რომელსაც მარტო თავსართი აქვს, იმ ზმნის ფესვი ანუ ფუძე უნდა მოაბა პირველის პირის აწმყო დროის ნიშანს და დააყენო სხვადასხვა პირზე, რიცხვზე, სახარზე, დროზე და სახეზედ. როდესაც მარტო ნაბოლარი აქვს ზმნას, მაშინ ზმნის ფესო წინ უძღვის და ნაბოლარი ეცვლების, როგორც საკვეცი...“ (კვიციანიძე 1888: 131).



ხმოვანი პრეფიქსები განხილული აქვს ნიკო მარს, ის უფრო შორს წავიდა კვლევის თვალსაზრისით და უკუქცევითობა დაუკავშირა: „ი- ზმნას ანიჭებს უკუქცევითობის მნიშვნელობას ანდა უფრო მკვეთრად გამოხატავს მისი შინაარსის სუბიექტურ აღქმას“, რაც შეეხება სხვა პრეფიქსებს, ისინი, კერძოდ, ე- პრეფიქსს, ა- და ი- პრეფიქსების ფონეტიკური ურთიერთობის შედეგად – ვ-ა-ი-წერ-ებ-ი → ვ-ე-წერ-ებ-ი“ (მარი 1925: 136-140).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ე- პრეფიქსი ვნებითის მაწარმოებლად პირველად მიიჩნია ბ. ბრუდენკომ; რაც შეეხება ი- პრეფიქსს სხვადასხვა გრამატიკოსი თავიდანვე უკავშირებდა მას ვნებითობის შინაარსს, ხოლო ნიკო მარმა პირველმა გამიჯნა ორი ი: ვნებითობის და უკუქცევითობის, რაც, ჩვენი აზრით, წინააღმდეგობრივია (მსჯელობა იხ. ქვევით).

ა. შანიძის მიერ გვარისა და ქცევის გრამატიკული კატეგორიების შემოტანამ თითქოს და ყველა პრეფიქსს „თავ-თავისი“ ადგილი მიეჩინა, მაგრამ ბევრი გამონაკლისის არსებობის გამო აღნიშნულ კატეგორიათა მიჩნევა მორფოლოგიურ კატეგორიებად დიდ წინააღმდეგობას ქმნის ქართული ზმნის სრულყოფილად გააზრების საქმეში. როგორც აღვნიშნეთ, აკ. შანიძემ ხმოვანი პრეფიქსები დაანაწილა ქცევისა და გვარის გრამატიკულ კატეგორიებში. თავდაპირველად ი- პრეფიქსი განიხილა, როგორც სათავისო ქცევის ნიშანი, სათანაოს, სასხვისოსა და საზედაოს ნიშნად გვხვდება ე- პრეფიქსი (შანიძე 1981: 388). შემდგომში უკვე ეს პრეფიქსები ვნებითი გვარის მაწარმოებლებადაა წარმოდგენილი, ა. შანიძესთან ა-, ი- და უ- პრეფიქსები საარვისოს, სათავისოსა და სასხვისოს პრეფიქსებადაა განაწილებული: „ავიღოთ მაგალითისთვის „წერს“ და „კეთებს“ ზმნისაგან ნაწარმოები ფორმები:

წერს, ი-წერს, უ-წერს ან

ა-კეთებს, ი-კეთებს, უ-კეთებს.

ვნახავთ, რომ ისინი ერთიმეორის დაპირისპირებით სულ სხვადასხვა წარმოდგენას გვაძლევენ: „წერს“, „ა-კეთებს“, - აქ ფორმით არ არის ნაგულისხმევი არავითარი კუთვნილებითი ურთიერთობა; შეიძლება ითქვას: წერს თავისთვის ან წერს შენთვის ან წერს ჩემთვის; აკეთებს თავისთვის, ან აკეთებს შენთვის, ან კიდევ აკეთებს ჩემთვის; სამაგიეროდ „ი-წერს“ ან „ი-კეთებს“ ფორმები გულისხმობს, წერს ან აკეთებს თავისთვის (არ შეიძლება ითქვას: იწერს შენთვის ან იკეთებს ჩემთვის), ხოლო „უ-წერს“

ან „უ-კეთებს“ ნიშნავს, რომ წერს ან აკეთებს სხვისთვის (აქაც არ შეიძლება ითქვას: უწერს შენთვის ან უკეთებს ჩემთვის). მაშასადამე, „წერს“ და „აკეთებს“ ფორმაში არავისი კუთვნილება არ არის გამოხატული, დანარჩენებში კი გამოხატულია, რომ მოქმედება თავისაზეა ან თავისთვისაა (იკეთებს, იწერს), ან არა და სხვისაზეა ან სხვისთვისაა განკუთვნილი („უკეთებს“, „უწერს“). აქედან არის მათი სახელწოდება: საარვისო, სათავისო და სასხვისო“ (იხ. შანიძე 1980: 324–330).

არნ. ჩიქობავა ხმოვანპრეფიქსთა შესახებ მიუთითებდა, რომ ისინი „ამჟამად სხვადასხვა ოდენობად გამოიყურება, ხმოვნების ა, ე, ი, უ პირვანდელი ფუნქცია საძებარია“ (ჩიქობავა 1959: 167). სხვა ნაშრომებში მას განხილული აქვს ხმოვანპრეფიქსთა წარმომავლობის საკითხებიც (იხ. ჩიქობავა 1977: 18).

ხმოვანპრეფიქსებთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ქართველური ზმნისთვის დამახასიათებელია პოტენციალისის კატეგორია; ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მოქმედების შესაძლებლობა მეგრულში გამოიხატება სპეციალური ფორმით (Кипшидзе 1914: 070). საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა რ. შეროზიამ; მისი აზრით პოტენციალისის კატეგორია წინ უძღვოდა ვნებითი გვარის ჩამოყალიბებას ქართულში. „ქართულში პოტენციალისი ინიან და ენიან ვნებითში შეიძლება გამოიხატოს (ასეა სვანურშიც), რაც შეეხება სხვა სახის ვნებითებს მათ პოტენციალისის გადმოცემა არ შეუძლიათ დამოუკიდებლად... მეგრულში ვნებითისა და პოტენციალისის ფორმები მხოლოდ დაბოლოებით განსხვავდება:

პოტენციალისი

ვნებითი

ი-თას-ე „შეიძლება დაითესოს“

ი-თას-უ „ითესება“

ა-თას-ე „შეიძლება დათესოს“

ა-თას-უ „ეთესება“

ის წარმოება, რომელსაც მეგრულში პოტენციალისის მნიშვნელობა აქვს, ჭანურში პოტენციალისის ფუნქციასაც ატარებს და ჩვეულებრივი ვნებითისაც:

ი-თას-ე „შეიძლება დაითესოს“ „დაითესება“

ა-თას-ე „შეუძლია დათესოს“ (შეროზია 1980: 121).

არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა ხმოვანპრეფიქსებს გ. როგავამ. მისი აზრით, „რადგან ე. წ. საარვისო ქცევის ფორმა, მაგ.: აშენებს ის მას, ტეხს ის მას და სხვ. არ გამოხატავს კუთვნილებით ურთიერთობას, ამდენადვე იგი ვერ დაუპირისპირდება ქცევის ფორმებს“. მკვლევარი ეწინააღმდეგება ა. შანიძის მიერ ა-

პრეფიქსის მიჩნევას საარვისო ქცევის ნიშნად - „ა- პრეფიქსი არ შეიძლება ჩაითვალოს საარვისო ქცევის გამომხატველად. ეს აფიქსი საკვლევია სხვაგვარად“ (როგავა 1942: 207).  
ი- პრეფიქსის წარმომავლობაზე ამახვილებს რა ყურადღებას გ. როგავა, აღნიშნავს, რომ „ეს პრეფიქსი ნაცვალსახელური წარმოშობისაა: მ-ი-ზის ფორმა მიღებული უნდა იყოს ასე: მე-თავისი ზის“; აფხაზურ-ადიღური ენების ჯგუფს იმოწმებს, სადაც პირის აფიქსები სავსებით ემთხვევიან პიროვნებითა და ჩვენებით ნაცვალ სახელებს. გ. როგავას აზრით, მართალია, ქართველური ქცევის აფიქსი ი- პირს არ გამოხატავს, მაგრამ მას არსებითი კავშირი აქვს პირთან, იგი მიუთითებს პირის კუთვნილებით მხარეზე. „სათავისო და სასხვისო ქცევათა აფიქსი ი- ერთი და იგივე, რამდენადაც ისინი ძირითადად ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებენ: ეს ფუნქციაა - კუთვნილებითი ურთიერთობის გამოხატვა. თავდაპირველად სასხვისო ქცევის ფუნქცია გარდაუვალ ზმნებში უნდა ჩასახულიყო, გარადამავლ ზმნებში მისი აღნიშვნა მეორეულ მოვლენად მიმაჩნია“ (გ. როგავა, 1942: 209). უ- პრეფიქსთან დაკავშირებით გ. როგავა აღნიშნავს, რომ „იგი არ უნდა იყოს წარმოშობით ქცევის გამომხატველი, ქცევის ფუნქცია მას შემდეგ უნდა დაჰკისრებოდა. რამდენადაც ქცევა ოდენ კუთვნილებითს მომენტს გამოხატავს, ამდენადვე აუცილებელია, ზმნას სამივე პირისთვის ერთი და იგივე ნიშანი ჰქონოდა“ (როგავა 1942: 207).

ი- პრეფიქსით უკუქცევითობის გამოხატვაზე საუბრობს ბ. ჯორბენაძე. მისი აზრით, აწუხებს - წუხს ტიპის ზმნები ერთმანეთს უპირისპირდება უკუქცევითობის თვალსაზრისით. აწუხებს - უკუუქცევითია, ხოლო წუხს - უკუქცევითი. დაპირისპირება მათ შორის ამჟამად მხოლოდ ფუნქციურია. უკუქცევითობის ნიშანი ი-, მხოლოდ უღლების დროს გამოჩნდება (ჯორბენაძე 1975: 79).

„უკუქცევითობა მართლაც წარმოადგენს ი- პრეფიქსის ზოგად, ამ ფორმანტის მქონე ყველა ფორმისთვის საერთო ფუნქციას“. მეცნიერი ორგვარ უკუქცევით ფორმებს გამოყოფს:

ა) გარადამავალი, როცა აღინიშნება, რომ სუბიექტს უბრუნდება მოქმედების შედეგი: ი-წერს, ი-ხატავს, ი-ნახავს... ის მას - მოქმედების შედეგი მიემართება ირიბ ობიექტს.

ბ) გარდაუვალი, როცა აღინიშნება, რომ სუბიექტს უბრუნდება, მიემართება თვით მოქმედება (და არა შედეგი): ი-წერება, ი-ხატება... ი-გლოვს, ი-ცინის. ამ ფორმებმა

შემდგომ მიიღეს ვნებიტის და მდგომარეობითი ზმნების მნიშვნელობა (ჯორბენაძე 1983: 107).

ბ. ჯორბენაძემ ხმოვანი პრეფიქსები ორ ნაწილად დაყო:

1. ცალკე დგას უკუქცევითობის ი- პრეფიქსი, რომელიც მოქმედების შედეგის ან თვით მოქმედების უკუქცევას გამოხატავს სუბიექტის ან ირიბი ობიექტისადმი: ვ-ი-ხატ-ავ, ვ-ი-ხატ-ებ-ი, მ-ი-ხატ-ავ.

2. მეორე ჯგუფს ქმნიან ა-, ე- და უ- პრეფიქსები, რომლებიც კოსტრუქციაში ირიბი ობიექტის პოვნირებაზე მიაწინებენ. ამათგან ე- პრეფიქსი გვევლინება ა- და უ- პრეფიქსების სემანტიკურ კორელატად ვნებიტის ყალიბში. საკუთრივ ა- და უ- პრეფიქსები შეიძლება წარმოჩინდნენ, როგორც მოქმედებითი, ასევე ვნებიტი და მდგომარეობითი ზმნების ფორმებშიც (ჯორბენაძე 1983: 225).

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება აქვს დ. მელიქიშვილს. მისი აზრით, „ა-, ი-, უ-, ე- ხმოვანპრეფიქსების ძირითადი ფუნქცია ზოგადად ობიექტური პირის არსებობაზე მითითებაა, კერძოდ კი, სუბიექტის ობიექტურ პირებთან გარკვეული (კუთვნილება–დანაშინულების, ლოკატიური...) მიმართების გამოხატვაა, ხოლო, თუ რომელია კონკრეტულად ობიექტური პირი, რომელსაც მიემართება სუბიექტის მოქმედება, ამაზე სათანადო პირის ნიშანი (მარკერი) მიუთითებს...“ (მელიქიშვილი 2000: 34–37).

ხმოვანი პრეფიქსების საკითხს არაერთგზის შეეხო ტ. ფუტკარაძე. მისი აზრით, კონკრეტული გრამატიკული თუ სიტყვათწარმოებითი ფუნქცია არ უდასტურდებათ ე. წ. თემის ნიშნებს, ოდ- სავრცობს, -დ ზმნური სუფიქსს და ი-, ა-, ე-, უ- ზმნურ ხმოვან პრეფიქსებს (ფუტკარაძე 2010: 295) და მათ ზმნური ყალიბების მაწარმოებლად მიიჩნევს: „ამკარაა, რომ ხმოვანი პრეფიქსები ერთი რანგის მორფემებს წარმოადგენს, თუმცა კვლევის ამ ეტაპზე ჭირს, მათთვის მოიძებნოს მსგავსი გრამატიკული მნიშვნელობები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, ხმოვანი პრეფიქსები ერთი მორფოლოგიური კატეგორიის ნიშნებად განვიხილოთ. ხმოვანი პრეფიქსების საერთო ფუნქციაა განსხვავებული ვალენტობისა და სემანტიკის მქონე ზმნური ყალიბების წარმოება (ფორმაწარმოება); კერძოდ, კონკრეტული ზმნური ფორმა (ყალიბი) შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ენობრივი ნიშანი, რომელშიც აღმნიშვნელია მოცემული ფუძითა და აფიქსებით აგებული ზმნური ყალიბი, ხოლო აღსანიშნია კონკრეტული

გრამატიკულ თუ სემანტიკურ კატეგორიათა ერთობლიობა (შდრ.: ა-წერ-ს, ი-წერ-ებ-ა, ი-წერ-ს, ე-წერ-ებ-ა)“ (ფუტკარაძე 2012: 202).

კვლევის ამ ეტაპზე წინააღმდეგობრივად გვეჩვენება ზმნური ხმოვანი პრეფიქსებისთვის სიტყვამაწარმოებლის (ა. შანიძე), ან ზემოთ დასახელებული რომელიმე კონკრეტული გრამატიკული (ფორმაწარმოებითი) ფუნქციის მიკუთვნება; კერძოდ, არალოგიკურია, ერთსა და იმავე მორფოლოგიურ მონაცემს (ამ შემთხვევაში პრეფიქსს) განსხვავებულ ყალიბებში სხვადასხვა ფუნქცია უდასტურდებოდეს; სხვადასხვა ყალიბში განსხვავებული ფუნქციების ქონა მიუთითებს იმას, რომ მოცემული აფიქსისთვის ზუსტი გრამატიკული ფუნქცია დადგენილი არ არის. ხმოვანი პრეფიქსები ნამდვილად არიან ზმნური ყალიბების მაწარმოებლები, თუმცა არ გამოირიცხება, მომავალმა კვლევებმა დაადგინოს ის გრამატიკული ფუნქცია, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ერთი რანგის ამ აფიქსებს. ხმოვანპრეფიქსებს ჩვენ განვიხილავთ, როგორც ზმნის ყალიბის აგებაში მონაწილე ელემენტებს, ხოლო მათ მიერ შექმნილ ზმნურ ფორმებს ყალიბების პარადიგმაში წარმოვადგენთ<sup>6</sup>.

### 1.3. ზმნის პირიანობა, ვალენტობა, ადგილიანობა

ზმნას ენათმეცნიერება განსაზღვრავს როგორც პიროვან სიტყვას, ე.ი. სიტყვას, რომელიც იცვლება პირების მიხედვით. პირი სამია: პირველი (მოლაპარაკე) - მე, ჩვენ; მეორე (ვისაც ელაპარაკებიან) - შენ, თქვენ; და მესამე (ვისზეც ლაპარაკობენ) - იგი, ის...

ზმნის განსაზღვრა, როგორც პიროვანი სიტყვისა, აღნიშნავს არნ. ჩიქობავა, ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში წარმოიშვა და იგი სავსებით აკმაყოფილებს ინდოევროპეისტიკას. კითხვა: რისი პირი? სუბიექტისა თუ ვთქვით ობიექტის - უადგილო იქნებოდა ინდოევროპეისტიკაში. იმიტომ, რომ იქ პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, და ეს პირი არის ქვემდებარის პირი. ზმნის პირი წმინდა მორფოლოგიური მონაცემია, სინტაქსურ ცნებასაც იძლევა. ქართული ზმნა მდიდარია პირიანი ფორმებით, მასში ერთი პირიც შეიძლება მოიპოვებოდეს და ორიცა. ორი სახელის პირის გარდა მესამე სახელის რიცხვიც გამოგვევლინება ზმნის აგებულებაში

<sup>6</sup>იხ. ნაშრომის II თავი

(მი-ს-ც-ნ-ა, მისცნა მას იგინი მან!); მასში ამ სახელთა ურთიერთობაც შეიძლება იყოს მოცემული (ჩიქობავა 1968: 130-131).

მაშასადამე, პირი ეს არის წმინდა მორფოლოგიური მონაცემი, ქართულში პირი არის ფორმაწარმოების კატეგორია. ზმნაში შეიძლება ასახული იყოს ორი პირის ნიშანი. სწორედ ეს არის ქართული ზმნის უმთავრესი თავისებურება (განსხვავებით ევროპული ენებისგან), სუბიექტურის გარდა ე. წ. ობიექტური პირის ასახვა (პოლიპერსონალიზმი).

ე. ი. პირიანობა არის ზმნაში შესაბამისი ნიშნით წარმოდგენილ სახელზე მითითება. რამდენი პირის ნიშანიც დასტურდება ზმნაში იმდენ პირიანია იგი, მაგრამ ზოგჯერ ნულოვანი მარკირების მქონე ზმნებიც გვხვდება ენაში, ანუ ზმნაში პირის ნიშანი არა ჩანს.

თ. გამყრელიძე მიუთითებს, რომ „პირიანობის თვალსაზრისით ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებულ სახელთა პირის გამომხატველი ნიშნების რაოდენობის თვალსაზრისით ზმნურ ფორმაში ქართული ზმნა შეიძლება იყოს როგორც ერთპირიანი ან გარკვეულ შემთხვევებში - ორპირიანი სტრუქტურა. არსებობს გარკვეული სტრუქტურული წესები იმისა, თუ ზმნასთან დაკავშირებულ სახელთაგან კონკრეტულად რომელი ერთეული გამოავლენს ზმნურ ფორმაში შესაბამის მორფოლოგიურ ნიშანს და რომელი ერთეული რჩება მორფოლოგიური გამოხატვის გარეშე“ (გამყრელიძე 1979: 33).

ამრიგად, ქართული ზმნა პირთა გამოხატვის თვალსაზრისით შეიძლება იყოს ერთ ან ორპირიანი, თუმცა მასში გამოხატვის უნარი ორივე ობიექტს აქვს, მაგრამ არა ერთდროულად — აღნიშნავს დ. მელიქიშვილი და აკონკრეტებს, რომელი პირი რა დროს გამოიხატება; „გარდაუვალი ზმნა შეიწყობს ერთ პირს (სუბიექტს), ირიბგარდამავალი - ორ პირს (სუბიექტს და ირიბ ობიექტს). ქართული ზმნა შეიძლება შეიწყობდეს ერთ პირს - მაშინ იგი აბსოლუტური აგებულებისაა და აუცილებლად გამოხატავს მასში შემავალ სუბიექტურ პირს (ვიხატები)“ (მელიქიშვილი 2001: 34).

ტერმინი „ვალენტობა“ ქართულ ლინგვისტიკაში პირველად ა. დავითიანის „ქართული ენის სინტაქსში“ გვხვდება. მეცნიერი აღნიშნავს, რომ „მეტყველების ნაწილთაგან ვალენტობის ყველაზე დიდი უნარი აღმოაჩნდა ზმნას და მასთან დაკავშირებულ არსებით სახელებს, რომელიც მორფოლოგიურად მის სუბიექტურსა და ობიექტურ პირებს წარმოადგენენ. იმავე დროს მათ მთავარი მნიშვნელობა აქვთ აზრის

დასრულებისათვის. სავსებით ბუნებრივია, რომ მათს სინტაქსურ გამოხატულებებს წინადადების მთავარ წევრებს უწოდებენ“ (დავითიანი 1973: 218-222 ).

ა. შანიძისგან განსხვავებით, თანამედროვე მკვლევრები საუბრობენ პირიანობისა და ვალენტობის გამიჯვნის აუცილებლობაზე: ვალენტობა პირიანობისაგან განსხვავებით სინტაქსური მონაცემია. ეს არის ზმნასთან დაკავშირებული სახელების რაოდენობა. პირიანობის თვალსაზრისით, როგორც ვნახეთ, ქართული ზმნა მაქსიმუმ ორპირიანია, რადგან ზმნის ფორმაში ერთდროულად შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ ორი პირი - მე მ-ხატავ-ს ის. „მაგრამ ზმნას საზოგადოდ აქვს უნარი დაიკავშიროს ორზე მეტი სახელი. ზმნის ამ უნარს ვალენტობა ეწოდება“ (ენუქიძე 1987: 100 ). როგორც ლ. ენუქიძეს აქვს აღნიშნული, ქართულში ზმნის ვალენტობათა რიცხვი და პირთა რაოდენობა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს, პირიანობას განსაზღვრავს ზმნაში ასახული სახელები (მხედველობაში მიიღება არა მარტო პირის ნიშნები, არამედ ფუძის მორფოლოგიური სტრუქტურაც), ხოლო ვალენტობას - ზმნის მიერ მართული და ენის განვითარების ეტაპზე ზმნის გარემოცვაში რეალურად დადასტურებული სახელები. იმის ნათელსაყოფად, რომ ზმნაში ასახული და ზმნის მიერ მართული სახელები ყოველთვის იდენტურნი არ არიან, მეცნიერი შემდეგ შემთხვევებს ასახელებს, როდესაც

ა) ზმნაში პირის ნიშანია წარმოდგენილი, მაგრამ მისი შესაბამისი მართული სახელი ზმნურ შესიტყვებაში არასოდეს არ გვხვდება /მაგ.: მძინავ-ს, წვიმ-ს, თოვ-ს და სხვა/ და

ბ) ზმნის მიერ მართული სახელი საერთოდ არ აისახება ზმნაში /მაგ.: „წყალი გადაიქცა ყინულად“, „ბავშვს ეშინია ძაღლის“ და სხვა/ (ენუქიძე 1978: 61-62 )

შენიშვნა: ვალენტობის ცნება ლინგვისტიკაში დაამკვიდრა ფრანგმა ენათმეცნიერმა ლ. ტენიერმა. სინტაქსური ვალენტობა ლ. ტენიერის მიერ გაიგება ზმნის პოტენციურ შესაძლებლობად, დაუკავშირდეს სახელებს (პირველ, მეორე, მესამე აქტანტებს). ზმნის ვალენტობა განისაზღვრება იმ მოქმედებათა რიცხვით, რომელსაც მართავს ზმნა. ვალენტობის ცნება ლ. ტენიერთან საფუძვლად ედება ზმნათა კლასიფიკაციას, გამოიყოფა ზმნები ნულოვანი ვალენტობით, ერთვალენტიანი, ორვალენტიანი და სამვალენტიანი (ენუქიძე 1979: 64).

აღნიშნულ საკითხთა შესახებ მსჯელობს ალ. ონიანი, იგი პირიანობასთან დაკავშირებით ქართულ ტრადიციულ ენათმეცნიერებაში არსებულ შეხედულებას განიხილავს და ამ თვალსაზრისით გაგებულ პირიანობას და ვალენტობას

უპირისპირებს ერთმანეთს: „მიიჩნევა, რომ ქართველურ ენებში ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი ან სამპირიანი. პირიანობის დასადგენად კი, როგორც ცნობილია, მიმართავენ არა მხოლოდ პირის ნიშნებს, არამედ პირის ნაცვალსახელებსაც - ზმნა იმდენპირიანია, რამდენი უთანდებულო ნაცვალსახელიც ეწყობა მას. ვფიქრობთ, სადავო არაა, რომ ამ ხერხით შეიძლება ზმნის ვალენტობის დადგენა, მაგრამ შესაძლებელია დავა გამოიწვიოს მისმა გამოყენებამ ზმნის პირიანობის დასადგენად. საქმე ის არის, რომ ზმნის ვალენტობა განისაზღვრება მასთან დაკავშირებულ აქტანტთა რაოდენობით, პირიანობა კი - პირთა რაოდენობით. ზმნაში აქტანტი მორფოლოგიურად (პირის ნიშნებით) შეიძლება გამოიხატებოდეს, შეიძლება - არა, ინდოევროპულ ენებში, მაგ., პირს მხოლოდ და მხოლოდ პირველი აქტანტი ქმნის, ის არის მხოლოდ (და ამავე დროს ყოველთვის) ზმნაში მორფოლოგიურად გამოხატული. აქტანტთა რაოდენობა კი ამ ენებში, როგორც ცნობილია, ერთზე მეტია. პირისათვის, აქტანტისაგან განსხვავებით, ზმნის ფორმაში მორფოლოგიურად გამოხატვა სავალდებულოა. ამდენად, ყოველი პირი ამავე დროს აქტანტიც არის, მაგრამ ყოველი აქტანტი არაა პირი...“ (ონიანი 1978: 53).

ქართული ზმნის ვალენტობის საკითხს შეეხო თ. გამყრელიძეც, იგი მიიჩნევს, რომ „ქართული ზმნა ვალენტობის თვალსაზრისით მოთავსდება დიაპაზონში 0...4, ე.ი ზმნური ფორმა ქართულში შეიძლება იყოს როგორც უაქტანტო (შდრ. თოვს, წვიმს, ქუხს და სხვ. - ნულვალენტიანი ზმნები ქართულში, ისე როგორც სხვა ენებში, ძირითადად მეტეოროლოგიურ მოვლენებს გამოხატავს), ისე ერთ\_, ორ\_, სამ\_ და ოთხაქტანტიანი, ანუ მაქსიმალური რაოდენობა სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელებისა, რომლებიც შეიძლება ზმნურ ფორმას შეეწყოს წინადადების ბირთვში, არის ოთხი“ (გამყრელიძე 2000: 132-136).

ვალენტობის სინტაქსურ კატეგორიად განხილვის შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, კერძოდ, თ. მახარობლიძის აზრით, 1. „თუ ვალენტობა სინტაქსური კატეგორიაა, მაშინ ვალენტობის ცვლამ არ უნდა გამოიწვიოს მორფოლოგიური ცვლილებანი. ფორმა „ვაშენებ“ ერთპირიანი და ორვალენტია. „ვუშენებ“ ერთპირიანი და სამვალენტია. ფაქტობრივად, გავზარდეთ ვალენტობა და მივიღეთ ქცევის სხვა მორფოლოგიური ფორმა. სინტაქსური კატეგორიების ამგვარი ზემოქმედება მორფოლოგიურ კატეგორიებზე გამორიცხულია. 2. დასაზუსტებელია ტერმინოლოგიაც. თუ ვალენტობას მივიჩნევთ სინტაქსურ კატეგორიად, მაშინ უნდა



ვისაუბროთ პრედიკატის ვალენტობაზე და არა ზმნის ვალენტობაზე, ე.ი. გვექნება ზმნის პირიანობა და, შესაბამისად, სინტაქსში - პრედიკატის ვალენტობა“ (იხ. მახარობლიძე 2009: 34-41).

შეიძლება ამ საკითხს ასე შევხედოთ: ზმნის ფორმაცვალება იწვევს სინტაქსში დამატებითი აქტანტის პოვნირებას, ანუ ვალენტობის ზრდას და არა პირიქით, როგორც ამაზე თ. მახარობლიძე მიუთითებს. ზმნის ფორმის ცვალებადობა მიმართების მცვლელი აფიქსებით თუ სუფიქსებით (ეს აფიქსები ხმოვანი თავსართებია - ა. ე. ი, უ და სუფიქსები - დ, ინ, ევ, ევინ) და არა ე.წ. წარმოქმნის კატეგორიებით, როგორც ამას ლ. ენუქიძე აღნიშნავს, ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ზმნაში დამატებით გაჩნდეს ერთი სახელი. ერთი რიგის აფიქსები (შესაბამისად სემანტიკა) იწვევს ზმნურ შესიტყვევაში სახელთა მატებას, მეორე რიგის აფიქსები კი პირიქით, შესიტყვევაში სახელთა კლებას იწვევენ. მაგ: ვ-ხატ-ავ - ორვალენტური ყალიბია, ვ-ა-ხატ-ავ - სამვალენტური, ვ-ა-ხატ-ვ-ინ-ებ - სამვალენტური, ვ-უ-ხატ-ავ - სამვალენტური, ვ-ი-ხატ-ავ - ორვალენტური, ვ-ი-ხატ-ებ-ი - ერთვალენტური, ვ-ე-ხატ-ებ-ი - ორვალენტური, ვ-ე-ხატ-ვ-ინ-ებ-ი - ორვალენტური, და-ვ-ხატ-ულ-ვარ - ერთვალენტური, და-მ-ი-ხატ-ავ-ს - ორვალენტური, და-ვ-ხატ-ვ-ი-ვარ - ერთვალენტური, მ-ი-ჭმ-ევ-ს - ოთხვალენტური, და-ვ-უ-ხატ-ავ-ვარ - ერთვალენტური, დახატული ვარ - ერთვალენტური.

ქართულ ლინგვისტიკაში ვალენტობის ცნებასთან ერთად შემოდის ახალი ტერმინი ადგილიანობა. იგი პირველად 1974 წელს ლ. ენუქიძესთან ჩნდება, როდესაც მეცნიერი იმოწმებს ა. ხოლოდოვიჩის სტატიას - „სიტყვათა ქვეკლასების თეორიის ცდა“ (ენუქიძე 1974: 58). ეს ცნება ქართულ გრამატიკასთან კავშირში უკვე რ. ასათიანთან გვხვდება (ასათიანი 1982: 12), უფრო მოგვიანებით კი ლ. ენუქიძეც მიჯნავს ერთმანეთისაგან ზმნის ვალენტობას და ადგილიანობას (ენუქიძე 1987: 96-107).

ზმნასთან დაკავშირებულ სახელთა რაოდენობა სემანტიკის, სინტაქსისა და მორფოლოგიის დონეზე რომ განასხვავონ ერთმანეთისაგან, რ. ასათიანს შემოაქვს მესამე ტერმინი - ადგილიანობა, ანუ სემანტიკური ვალენტობა. მას აღრევის თავიდან ასაცილებლად შემოუტანია ახალი ტერმინი, რათა ერთმანეთისგან გამიჯნოს ორგვარი ვალენტობა - სინტაქსური (იგივე ფორმალური) და სემანტიკური.

რ. ასათიანი განიხილავს ქართულში ა. შანიძის მიერ გამოყოფილ ზმნასთან დაკავშირებულ სახელთა რაოდენობის მიხედვით გამოყოფილ სამი განსხვავებული ტიპის ზმნებს და აღნიშნავს, რომ შანიძის და, საერთოდ, ქართული ენათმეცნიერული თვალსაზრისის თანახმად, ზმნათან შეწყობილი ნაცვალსახელების რაოდენობა განსაზღვრავდა ზმნის პირიანობას და ე. ი. V1 არის ერთპირიანი, V2 - ორპირიანი და V3 - სამპირიანი და გვთავაზობს ამგვარად გაგებულ „პირიანობის“ ცნების დანაწევრებას და მასში გამოყოფს საკუთრივ „პირიანობას“ და „ვალენტობის“ კატეგორიებს, რის საფუძველზეც პირიანობის ახლებურ გაგებას ვიღებთ . „ამ თვალსაზრისით ქართული ენის ზმნა დახასიათდება, როგორც მაქსიმუმ ორპირიანი, რადგან ზმნის ფორმაში ერთდროულად შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ ორი პირი, ზმნასთან დაკავშირებული სახელების რაოდენობა კი განსაზღვრავს ზმნის ვალენტობას“ (ასათიანი 1982: 12). მაგრამ მიუხედავად ამისა, რ. ასათიანის აზრით, შეუსაბამობა ქართულში გამოყოფილ ზმნურ ტიპებს და ვალენტობას შორის მაინც არსებობს: „ქართულში გამოყოფილი ტიპების საფუძველი არაა არც პირიანობა (თანამედროვე გაგებით) და არც ვალენტობა (წარმოდგენილი გაგებით). როგორც აღვნიშნეთ V1, V2, V3 ტიპების გამოყოფის საფუძველია ზმნასთან შეწყობილი სახელების რაოდენობა. ამ სახელებს გარკვეული ფორმალური ურთიერთობა აქვთ ზმნასთან (ეს არ არის მხოლოდ პირის აღნიშვნის თვალსაზრისით დამყარებული ურთიერთობა, რადგან ქართულში აქ მაქსიმუმ მხოლოდ ორი სახელი ღებულობს მონაწილეობას. ეს ფორმალური ურთიერთობები მოიცავს, აგრეთვე, კუთვნილებით, რიცხვით, გვარეობრივ მიმართებებს და გულისხმობს არა მხოლოდ მორფოლოგიურ, არამედ სინტაქსურ საშუალებებსაც). ე.ი. განსხვავებით ვალენტობისაგან, რომელიც მხოლოდ ლოგიკურ-სემანტიკურ კავშირებს გულისხმობს, აქ გვაქვს ფორმალური კავშირები“ (იქვე). სწორედ ამ მოსაზრებიდან ამოსვლით რ. ასათიანი გვთავაზობს ვალენტობის სამ სხვადასხვა სახეს - მორფოლოგიურს, სინტაქსურსა და სემანტიკურს:

1. პირიანობა, რომელიც განისაზღვრება ზმნურ ფორმაში მორფოლოგიურად აღნიშნული სახელების რაოდენობით - **მორფოლოგიური ვალენტობა;**
2. ფორმალური ვალენტობა განისაზღვრება ზმნასთან ფორმალურ ურთიერთობაში მყოფი სახელების რაოდენობით - **სინტაქსური ვალენტობა;**

3. ადგილიანობა - ესაა ზმნის სემანტიკით ნაგულისხმები მოქმედების განხორციელებისათვის აუცილებელ სახელთა მინიმალური რაოდენობა - **სემანტიკური ვალენტობა**.

მაგ: „უწერს“ არის V3 ტიპის ზმნა, შეიწყობს სამ სახელს - ის მას მას. მაგრამ წერა სიტუაციისთვის აუცილებელი და საკმარისია მხოლოდ ორი სახელი, ესაა სახელთა ის მინიმალური რაოდენობა, რომელიც შეადგენს „წერა“ სიტუაციას. მოქმედების ადრესატი არის შესაძლებელი, მაგრამ არა აუცილებელი წევრი წერა მიმართებისა. ე. ი. „უწერს“ არის ორადგილიანი, მაგრამ V3 ტიპის ზმნა.

„იხატება“ არის V1 - შიწყობს ერთ სახელს, მაგრამ „ხატვა“ სემანტიკურად გულისხმობს ორ სახელს: ვინც ხატავს, რასაც ხატავს, ე. ი. „იხატება“ არის V1, მაგრამ ორადგილიანი ზმნა (იხ., ასათიანი 1979: 139-141).

რ. ასათიანი ადგილიანობას (სემანტიკურ ვალენტობას) მიიჩნევს უნივერსალურად... „რადგან მხოლოდ ადგილიანობა ასახავს ენის სემანტიკურ მხარეს იგი უნივერსალური ხასიათისაა, ხოლო „ვალენტობა“ და „პირიანობა“ ფორმალურ კავშირებს გულისხმობს და ენათა მიხედვით განსხვავებულია, მარტივი წინადადების სიღრმე უნდა განისაზღვროს პრედიკატის ადგილიანობაზე დამყარებით“ (იქვე).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადგილიანობის ცნება შემოაქვს ლ. ენუქიძესაც, თუმცა, სხვაგვარად გაგებულნი: „ჩნდება აუცილებლობა რიგ შემთხვევაში ზმნის მორფოლოგიური შედგენილობით ნავარაუდები ვალენტობა განვასხვაოთ სინქრონიულ დონეზე (აქ იგულისხმება ხმოვანი თავსართებითა და სუფიქსებით სახეცვლილი ფორმები - (ს.ა.)) ფრაზაში რეალურად გამოვლინებად ვალენტობისაგან. ვუწოდოთ ზმნური ფორმის პოტენციურ უნარს განსაზღვროს მასთან დაკავშირებულ სახელთა რაოდენობა, **ზმნის ადგილიანობა** (ანუ მორფოლოგიურად გაპირობებული ვალენტობა)“ (ენუქიძე 1987: 96-107).

ლ. ენუქიძის აზრით, ზმნის „ადგილიანობის“ ცნების შემოტანის აუცილებლობაზე მიუთითებს სხვა წარმოქმნის კატეგორიების აფიქსების განხილვაც. „ქართულში ფორმალურად ზმნამ შეიძლება ასახოს და მართოს სამ სახელზე მეტიც. ასეთი შემთხვევა გვაქვს, როდესაც სამადგილიანი ზმნისაგან ვაწარმოებთ სასხვისო ქცევის ფორმებს.

მ-ა-ჭმევ-ს	3	2	3
მ-ი-ჭმევ-ს	4	2	4

მორფოლოგიურად ერთ-, ორ-, სამ- და ოთხადგილიანი ზმნა ყოველთვის განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ოთხადგილიანი ზმნის წარმოქმნის საშუალებას ყველაზე ხშირად გვაძლევს შუალობითი კონტაქტის წარმოება (იქვე). შუალობითი კონტაქტიანი ზმნური ფორმები ამოსავალთან შედარებით ყოველთვის ერთი პირით მეტს წარმოაჩენენ, მათში შემოდის ახალი სახელი. ამგვარად, თუ ზმნა სამადგილიანია და სამვალენტიანი, ვიღებთ ოთხადგილიან და ოთხვალენტიან ფორმას:

მ-ა-წერ-ს	3	2	3
მ-ა-წერ-ინ-ებ-ს	4	2	4“ (ენუქიძე 1987: 105).

ადგილიანობის შინაარსით გამოყენებული ვალენტობის გაგების მომხრეა თ. მახარობლიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ თუ ვალენტობას გავიაზრებთ სემანტიკურ კატეგორიად (როგორც ადგილიანობაა მიჩნეული), შესაბამისად, შეგვეძლება უნივერსალური ერთეულების გამოყოფაც, კერძოდ, „**აბსოლუტური ლინგვისტური უნივერსალია იქნება შემდეგი - ყველა ენაში არსებობს განსხვავებული ვალენტობის ზმნები და ამ სხვაობათა რეალიზება კი კერძო გრამატიკათა პრობლემებია**“ (მახარობლიძე).

საკითხთა შესახებ მსჯელობს ტ. ფუტკარაძეც. მკვლევარი ტერმინების განსხვავებულ ინტერპრეტაციასაც გვთავაზობს. მისი აზრით, „**ვალენტობა** (ფართო გაგებით) - ზმნის ფუძის პოტენციაა, დაიკავშიროს აქტიურ თუ პასიურ პირთა გარკვეული რაოდენობა. ლოგიკურია, რომ ზმნის უნარს, დაიკავშიროს პირები (მოქმედი, ინიციატორი, განმცდელი, აღმქმელი, ადრესატი, პაციენსი...), შეიძლება ეწოდოს **ადგილიანობა**, ხოლო ზმნაში პირის ნიშნების ასახვის შესაძლებლობას - **პირიანობა**. „ადგილიანობა“ მორფოლოგიაში უნდა გავიაზროთ როგორც სემანტიკური კატეგორია, რომელიც, როგორც წესი, აისახება ზმნურ ყალიბებში; შესაბამისად, როგორც დრო, კილო, ასპექტი, ასევე, ადგილიანობაც უნდა გავითვალისწინოთ ზმნური ყალიბების კლასიფიკაციისას. შდრ., **პირიანობა** - მორფოლოგიური კატეგორია; **ადგილიანობა** - სემანტიკური კატეგორია; **ვალენტობა** - სინტაქსური კატეგორია (ვიწრო გაგებით).

ჩვენ შემდგომ მსჯელობაში „ადგილიანობის“ (სემანტიკური კატეგორიის) მნიშვნელობით გარკვეული პირობითობით მაინც გამოვიყენებთ ტერმინს: „ვალენტობა“ (ფართო გაგებით), რითაც ხაზს გავუსვამთ ამ სემანტიკური კატეგორიის როგორც მორფოლოგიურ, ასევე სინტაქსურ პერსპექტივებს; გარდა ამისა, ვფიქრობთ, უმჯობესია ერთი ტერმინით ოპერირება (მაგ., ორვალენტიანი), ვიდრე ორით („ორვალენტიანი“ და „ორადგილიანი“); ანუ, ვალენტობა, როგორც ზმნის უნარი და როგორც სემანტიკური კატეგორია, მორფოლოგიაში აისახება ზმნური ყალიბის სტრუქტურაში, სინტაქსში კი - შემასმენელთან (წინადადების ბირთვთან) დაკავშირებული აქტანტების რაოდენობაში“ (ტ. ფუტყარაძე 2012: 203).

როგორც დავინახეთ, საკითხთა ირგვლივ მრავალი განსხვავებული შეხედულება არსებობს.

ჩვენი აზრით, ლოგიკურია ვალენტობის ცნების შემოტანა, რადგანაც პირიანობა ზმნაში ნიშნის პოვნირებას უკავშირდება, ვალენტობა კი ზმნის უნარს დაიკავშიროს სხვა წევრები.

არნ. ჩიქობავა მიუთითებს, რომ „ქართული ზმნა მდიდარია პირიანი ფორმებით, მასში ერთი პირიც შეიძლება მოიპოვებოდეს და ორიცა. ორი სახელის პირის გარდა მესამე სახელის რიცხვიც გამოგვევლინება ზმნის აგებულებაში ( მი-ს-ც-ნ-ა, მისცნა მას იგინი მან!)<sup>7</sup>, მაგრამ ასეთი შემთხვევები თანამედროვე ქართულში არ დასტურდება, ამიტომ ლოგიკურია ერთმანეთისაგან გამიჯნულიყო პირიანობა - როგორც ზმნის უნარი შესაბამისი ნიშნებით ფორმაში აისახოს ზმნასთან დაკავშირებული სახელი და ვალენტობა - ზმნის შესაძლებლობა, სინტაქსურ დონეზე დაიკავშიროს სახელთა გარკვეული რაოდენობა. თუმცა აქაც არაა ბოლომდე გარკვეული ყველაფერი, კერძოდ, გაურკვეველია საკითხი ზმნასთან დაკავშირებული ირიბი ბრუნვებისა და თანდებულიანი ფორმებისა - უნდა შევიდნენ თუ არა ისინი ზმნის ვალენტობაში. ლ. ენუქიძე მიიჩნევს, რომ „რიგი ირიბი ბრუნვა და თანდებულიანი ფორმა აუცილებელია ამა თუ იმ ზმნასთან შესიტყვებაში, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ისინი უნდა შევიდნენ ვალენტობაში“ (ენუქიძე 1974: 66).

ჩვენი აზრით, ზმნის ვალენტობა, ვიწრო გაგებით, ესაა ადგილიანობა, როგორც ამ უკანასკნელს რ. ასათიანი განმარტავს „ზმნის სემანტიკით ნაგულისხმები მოქმედების

<sup>7</sup>იხ. არნ. ჩიქობავა, 1968: 130-131;

განხორციელებისთვის აუცილებელ სახელთა მინიმალური რაოდენობა“ და ესაა სემანტიკური ოდენობა და, მაშასადამე, უნივერსალური კატეგორია, ხოლო პირიანობასა და ვალენტობაზე კერძო გრამატიკების ფარგლებში შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

ფართო გაგებით, ზმნის ვალენტობა არის სინტაქსური კატეგორია და დაკავშირებულია აქტანტებთან, ზმნის პოტენციურ შესაძლებლობასთან დაიკავშიროს აქტანტები. აქვე შემოდის ზმნასთან შესიტყვებაში აუცილებელი ირიბი და თანდებულიანი ბრუნვები (მათი აქტანტიანობის საკითხიც). რადგან „ქართულ ზმნაში უცნაურად არის გადაწულ-გადახლართული მორფოლოგიური და სინტაქსური ხასიათის მოვლენები, ამიტომ... ქართული ზმნის ფორმა ზოგჯერ მთელ ვრცელ წინადადებას შეიცავს ხოლმე: ქვემდებართა, შემასმენლთა და ორი დამატებით“ (შანიძე 1920: 21). მაგრამ, ფართო გაგებით, ვალენტობა სინტაქსის კვლევის სფეროა, ჩვენ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რამდენადაც ჩვენი მიზანია ზმნურ ფორმათა შესწავლა-გაანალიზება, უფრო ლოგიკურია გამოგვეყენებინა ტერმინი „ადგილიანობა“, მაგრამ ტერმინოლოგიური სიჭრელისა და გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად ნაშრომში ტერმინ „ადგილიანობის“ ნაცვლად გამოვიყენებთ „ვალენტობას“.

#### 1.4. ზმნის პირისა და რიცხვის ფორმები

მწკრივი, როგორც ცნობილია, რამდენიმე ელემენტისაგან შედგება, ეს ელემენტებია: პირი, რიცხვი, დრო, კილო, ჯერობა, აქტი, თანამიმდევრობა. ამათგან, როგორც აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებშია“ მოცემული „მწკრივის შიგნით იცვლება პირი და რიცხვი, ზოგ ენაში სქესიც ან კლასიც; უცვლელია: დრო, კილო, ჯერობა, აქტი, თანამიმდევრობა. მწკრივები ერთმანეთს სწორედ უცვალელები ნაწილების მიხედვით განსხვავდებიან, დრო უმეტესად ყველაშია, მაგრამ სხვადასხვა სახისაა: ახლანდელი, წარსული და მომავალი, კილოც ყველაშია, მაგრამ ესეც სხვადასხვა სახისაა, ჯერობა, აქტი და თანამიმდევრობა ზოგ მწკრივში მოიპოვება, ზოგში კი არა...“ (შანიძე 1953: 220).

ამ ეტაპზე ჩვენთვის არსებითია პირისა და რიცხვის მიხედვით ზმნის ფორმათა კომბინაციების დადგენა. ამის მცდელობას ძველ გრამატიკოსებთანაც ვხვდებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია დ. ყიფიანის „ქართული გრამმატიკა“. აქ ავტორი მრავალრიცხოვანი პირისა და რიცხვის ფორმებით უპირისპირებს ქართულ ზმნას ევროპულს. ევროპულს ენებში არ არის ისეთი სახე ზმნისა, რომ ერთი პირის მოქმედება სხვასაც ბევრს მიემართებოდეს და სხვა მრავალი პირისა ერთსა: **გწერ, გწერთ, მწერ - გვწერს, მწერენ - გვწერენ**. ევროპული ენებისთვის უცნაური ეს თვისება არის კიდევ ჩვენი ენისა, რომ ქართულ ზმნას ყოველგან და ყოველთვის თავისი საკუთარი ნიშნები აქვს, რომლითაც პირი და რიცხვი მაშინვე გაირჩევა... “ (ყიფიანი 1988: 74). ავტორი აქვე ხსნის, თუ რას გულისხმობს „სამში ტრიალში“, ესეც სხვა არაფერია თუ არა ზმნაში ერთი პირის მიმართება მეორესთან და მესამესთან და პირუკუ: „ჩვენებითი დახრა („დახრა“ იგივე „კილო“ - ს. ა.) წარმოადგენს სამში ტრიალსა, ან ურთიერთარსობას:

1. მიუმართველად მოქმედებას ან მდგომარეობას სამი პირისას ცალ-ცალკე;
2. პირველი პირის მიმართულებას მეორესთან და მესამესთან;
3. მეორე პირის მიმართულებას პირველთან და მესამესთან; და
4. მესამე პირის მიმართულებას პირველთან და მეორესთან...“ (იქვე: 78).

დ. ყიფიანი ამის შემდეგ ახასიათებს ორი რიგის - ვინისა და მანის რიგის პირის ნიშნებს, რომელთაც „საკუთრად ზმნის პირებს“ უწოდებს.

ზმნის პირზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ამ საკითხთან დაკავშირებულ სხვადასხვა მოსაზრებას. ა. შანიძის მიერ დამკვიდრებული სუბიექტ-ობიექტი და პირთა შენაცვლება - ინვერსია პირველად გააკრიტიკა არნ. ჩიქობავამ მონოგრაფიაში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, სადაც მან დააყენა საკითხი: როგორია ქართულში სუბიექტ-ობიექტი: მორფოლოგიური თუ სინტაქსური. დასახელებულ მონოგრაფიაში ნაჩვენებია, რომ სუბიექტური პირის ნიშნებით გამოხატული პირი არ არის ყოველთვის აქტიური, იგი აქტიურობა-პასიურობის სხვადასხვა ხარისხით შეიძლება დახასიათდეს, ისევე როგორც ობიექტური პირი გამოხატავს პასიურ მოქმედებასაც და აქტიურსაც. „...აქტივობა თვალსაჩინოა ზმნებში, როგორცაა: ვ-ჰდრეკ, ვ-ჰგლეჯ..., მაგრამ ეს აქტივობა ძალზე მკრთალია ისეთს მაგალითებში, როგორცაა: ვ-ჰხედავ..., ვ-ბრწყინავ..., ვ-ევედრები... ხოლო ისეთ მაგალითებში, როგორცაა: ვ-არ, ვ-დგა, ვ-ზი..., ვ-კუდები... რაიმე აქტივობაზე ლაპარაკი ზედმეტია, აქ

მხოლოდ მდგომარეობაა მე-სი, მე სრულიად უმოქმედოა...“ (ჩიქობავა 1968: 131-132). აქვე განიხილავს ავტორი ობიექტური პირის ნიშნებით გამოხატულ პირსაც (ანუ პასიურს), აქაც იგივე მდგომარეობაა, ზოგან მე პასიურია, ზოგან - არა<sup>8</sup>. აღნიშნული ვითარება ავტორს აძლევს იმის საშუალებას, რომ ენაში ცალ-ცალკე გაარჩიოს რეალური სუბიექტ-ობიექტი და მორფოლოგიური სუბიექტ-ობიექტი.

ცოტა მოგვიანებით საკითხს შეეხო ალ. ონიანიც, რომელიც ამბობს: „მართებული ლინგვისტური ანალიზის შემთხვევაში წინააღმდეგობა არ უნდა წარმოიქმნას ა. შანიძისა და არნ. ჩიქობავას თვალსაზრისებსა და მათ მიხედვით გამოყოფილ მორფოლოგიურ ერთეულებს (სუბიექტური პირი, ობიექტური პირი, სუბიექტური პირის ნიშანი, ობიექტური პირის ნიშანი) შორის ფაქტობრივი ვითარება რომ ასეთი იყოს, რომ მოქმედი პირი რეგულარულად პირის ნიშანთა ერთი ჯგუფით გამოიხატებოდეს, ხოლო სამოქმედო პირი - რეგულარულად მეორე ჯგუფით“, ავტორისთვის მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული ამ პირებისთვის მინიჭებული სახელწოდებები - სუბიექტური პირი და ობიექტური პირი, თავიანთი ნიშნებით. მაგრამ რადგან ქართულ ენაში სხვაგვარი ვითარება გვაქვს, ალ. ონიანის აზრით, კლასიფიკაციაც სხვაგვარია საჭირო (ონიანი 1978: 33-34). გამომდინარე აქედან, ის თვლის, რომ სუბიექტისა და ობიექტის გვერდით ქართულში გვაქვს პირი, რომელიც არც მოქმედია და არც სამოქმედო, და მას შეიძლება ნეიტრალური ეწოდოს... მისი აზრით, „პირველი ორი პირი (იგულისხმება სუბიექტი და ობიექტი - ს. ა. ) გვხვდება მოქმედების, პროცესის გამომხატველ ზმნებში, მესამე სახისა (ნეიტრალური - ს. ა. ) კი ჩვეულებრივია ე. წ. მდგომარეობის გამომხატველ ზმნებში“ (იქვე: 34-35). რაც შეეხება მორფოლოგიური ნიშანს სამივე პირისთვის, მისი აზრით, ეს ნიშნები არ გამოხატავენ პირის აქტიურობა-პასიურობის მიხედვით დაპირისპირებას, რომ არ შეიძლება არც ერთი მათგანის არც სუბიექტური და არც ობიექტური პირის აღმნიშვნელად მიჩნევა. ისეთი ნიშანი, წერს ონიანი, რომელიც გამოხატავს ოპოზიციის ყველა წევრს - მოქმედსაც, სამოქმედოსაც და ნეიტრალურსაც (ან მოქმედსაც და უმოქმედოსაც) - სინამდვილეში არ არის არც ერთი მათგანის ნიშანი. ვრცელი მსჯელობის შემდეგ ავტორი გამოყოფს /ვ-/-ს რიგის ნიშანს, რომელსაც უწოდებს სავალდებულო ანუ

<sup>8</sup>სრულყოფილი მსჯელობისთვის იხ.: არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968.



ობლიგატორული პირის ნიშანს, ხოლო /მ-/-ს რიგის ნიშანს - არასავალდებულო ანუ არაობლიგატორული პირის ნიშანს. აქვე მიუთითებს, რომ „არასავალდებულო პირის შიგნით შეიძლება გამოიყოს ორი სახესხვაობა, რომელთაგან ერთი, ჩვეულებრივ, ე.წ ირიბ ობიექტს შეესაბამება და მეორე - პირდაპირს. ვუწოდოთ პირველ მათგანს არასავალდებულო a ანუ არაობლიგატორული a და მეორეს არასავალდებულო b ანუ არაობლიგატორული b პირი“ (ონიანი 1978: 39-40).

როგორ ანალიზიდან ჩანს, ალ. ონიანი ტერმინებს „სუბიექტური პირი“ და „ობიექტური პირი“ ცვლის ტერმინებით: „სავალდებულო (ობლიგატორული) პირი“ და არასავალდებულო (არაობლიგატორული) პირი“, ამის საფუძველად მას მიაჩნია ის, რომ პირის ნიშნები ზმნაში ვერ ახერხებენ დაარეგულირონ ის წინააღმდეგობა, რაც არსებობს „აქტიურსა“ და „პასიურს“ შორის. ამ დაპირისპირებას გვარის კატეგორია განსაზღვრავს. ავტორის აზრით, „ეს კი იმას ნიშნავს, რომ სავალდებულო პირის აქტიურობა გამოიხატება არა პირის ნიშნით, არამედ - მოქმედებითი გვარის ფორმით, ისევე როგორც ამავე პირის პასიურობა გამოიხატება არა პირის ნიშნით, არამედ - ვნებითი გვარის ფორმით“. მისივე დასკვნით, დაპირისპირება „სუბიექტი-ობიექტი“ ქართველურ ენებში მორფოლოგიის შესწავლის საგანია არა იმიტომ, რომ მას პირის ნიშნები გამოხატავენ, არამედ იმიტომ, რომ ეს დაპირისპირება სხვა მორფოლოგიური კატეგორიის (კერძოდ კი - გვარის) მიხედვით საპირისპირო ფორმებით გამოიხატება. ამ მტკიცების საფუძველზე სრულიად გამოირიცხება ინვერსია<sup>9</sup>.

მასასადამე, მსჯელობიდან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ პირის ნიშანთა ე. წ. ორი რიგის სახელდება არ უნდა მოხდეს სუბიექტურად და ობიექტურად. ამ მოსაზრების გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს ქ. დათუკიშვილის მიერ ზმნის პირის ნიშანთა რიგების აღსანიშნავად შემოტანილი a და b ჯგუფები, რომლებშიც ანაწილებს იგი ვინისა და მანის ნიშნებს და მიიჩნევს, რომ პირის ნიშნის ჯგუფის არჩევანი დამოკიდებულია აქტანტის ბრუნვაზე: „თუ პირის ნიშანთა ორი ჯგუფი სუბიექტურ და ობიექტურ ჯგუფებს არ გამოხატავს, მაშინ რის მიხედვით ხდება მათი განაწილება ზმნაში? ჩვენი აზრით, პირის ნიშნის ჯგუფის არჩევანი დამოკიდებულია იმ აქტანტის ბრუნვაზე, რომელიც გამოიხატება ამ ნიშნით“

<sup>9</sup>იხ.: ალ. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978.

(დათუკიშვილი 1997: 63). აქვე ავტორი აზუსტებს ტერმინ აქტანტს და წერს, რომ ზმნაში გამოიხატება არა ყველა სახელის, არამედ აქტანტის პირი. ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა სწორია.

ქართულ ზმნაში სუბიექტური და ობიექტური პირისა და რიცხვის შესაბამისი ნიშნებით გადმოცემასთან დაკავშირებით საყურადღებოდ მსჯელობს თ. უთურგაიძე: „I, II, III პირები იდენტური ქცევით ხასიათდებიან კატეგორიათშორისი სისტემის ფარგლებში: თითოეული მათგანი შეიძლება მოგვევლინოს როგორც სუბიექტის, ისე რომელიმე ობიექტის როლში...<sup>10</sup>“ (უთურგაიძე 2001: 12). საინტერესოა, ისიც რომ თ. უთურგაიძის სუბიექტურ და ობიექტურ პირის ნიშანთა ცხრილში პირდაპირი და ირიბი ობიექტის ნიშნები ერთი და იგივეა, ერთმანეთს ემთხვევა. „პირდაპირი და ირიბი ობიექტები ემთხვევიან ერთიმეორეს გამოხატულების პლანში, თუმცა გრამატიკულად დიდად განსხვავებული პირებია. ის ფაქტი, რომ პირდაპირ და ირიბ ობიექტებს ერთი და იგივე ნიშნები აქვთ პირთა მიხედვით, ავტომატურად გამოორიცხავს მათ ერთ რანგში გაერთიანების შესაძლებლობას. ერთი კატეგორიის ელემენტები, რადგან პარადიგმატულად მონაცვლეობენ გამოხატულების პლანში, ვერ იქნებიან იდენტური; ერთიანი აღნიშვნა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ სხვადასხვა კატეგორიის ელემენტებს, რადგან მათი რანგები განსხვავებულია...“ (უთურგაიძე 2001: 20). აქედან გამომდინარე ინვერსიის საკითხიც იხსნება, ვინაიდან პირდაპირ და ირიბ ობიექტებს ერთი ნიშანი აქვთ, უთურგაიძე თვლის, რომ მესამე სერიაში ობიექტის ნიშნებით პირდაპირი ობიექტია გამოხატული და არა ირიბი (როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული - ხაზგასმა ჩვენია ს. ა.), მასასადამე, თუ მესამე სერიაში პირველი და მეორე სერიის პირდაპირი ობიექტი პირდაპირ ობიექტად დარჩა, არ შეცვლილა პირი, ინვერსიაც არ გვექონია. საკითხთან დაკავშირებით სხვაგვარია ჩვენი მოსაზრება. ვფიქრობთ, სუბიექტისა და ორივე ობიექტის პირის ნიშანთა მონაცვლეობა ქართულ ზმნაში ჩვეულებრივი მოვლენაა, შესაბამისად ინვერსიას ჩვენც გამოვრიცხავთ, ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ მესამე სერია პირველი და მეორე სერიის გაგრძელებას არ წარმოადგენს, ის

---

<sup>10</sup>თ. უთურგაიძისთვის სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი და ირიბი ობიექტი ანუ პირმომართი აქტანტები ერთ სიბრტყეზე დგას, ისინი ერთნაირი ქცევით ხასიათდებიან მოცემულ შემთხვევაში. იხ. თ.

უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, 2001: 13-14.

ხელოვნურ დამატებად მიგვაჩნია, ამიტომ მას როგორც ცალკე სერიას არ განვიხილავთ, მისი მწკრივებიდან მეორე თურმეობითი და მესამე კავშირებითი მეორე სერიის კუთვნილებაა, ხოლო პირველი თურმეობითი ცალკე საუღლებელი ერთეული (ზმნური ფორმა).

ამ ეტაპზე ჩვენთვის მნიშვნელოვანია მწკრივის ცვალებადი ნაწილების - პირისა და რიცხვის მიხედვით ზმნის ფორმათა ცვლილება ერთი მწკრივის შიგნით, ანუ იმის გარკვევა, რეალურად რამდენი განსხვავებული ფორმა გვაქვს პირთა კომბინაციის მიხედვით მწკრივის ფარგლებში. რამდენადაც „ქართულის ზმნურ ფორმაში აღინიშნება რეალური სუბიექტიცა და რეალური ობიექტიც და არაიშვიათად სუბიექტს შეესაბამება ე. წ. ობიექტური პირის ნიშნებიც და პირიქით“, პირისა და რიცხვის ფორმების პარადიგმას ვადგენთ ტ. ფუტკარაძის პრინციპით: „ერთი მწკრივის ფარგლებში /ერთი დროის, კილოსა და ასპექტის მქონე ფორმის ვარიანტები, რომლებიც სხვაობენ პირთა კომბინაციების მიხედვით/. ავტორი ტრადიციული ტერმინების: სუბიექტი, ობიექტი, რეალური სუბიექტი, რეალური ობიექტი... ნაცვლად იყენებს ტერმინებს: მოქმედი პირი, აღმქმელი პირი, განმცდელი პირი, პასიური პირი და სხვ. იქვე სქოლიოშია მოცემული ამ ტერმინთა მისეული კვალიფიკაციაც<sup>11</sup>.

---

<sup>11</sup>**მოქმედი** (აგენსი) - მოქმედების რეალური შემსრულებელი პირი. სინტაქსში გამოიხატება სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვებით. როგორც წესი, მოქმედება სრულდება პაციენსის მიმართ, თუმცა, ზოგჯერ, შესაძლებელია, პაციენსი ზმნაში არ იყოს წარმოდგენილი, მეტიც სამოქმედო ობიექტი ვალენტობაშიც კი არ იყოს ნაგულისხმევი; მაგ., ის იბრძვის, ის მეფობს /მსგავსი ერთპირიანი ზმნის აქტიური პირი მიმღეობაშიც აისახება: დულს - მდულარე, წუხს - მწუხარე... მასალის ანალიზისათვის იხ დ. მელიქიშვილი, 2001, გვ. 62/. საინტერესოა კაუზატიური ფორმების აგენსის საკითხიც: იგი ზმნაში პირის ნიშნით არ არის წარმოდგენილი: მე ვ-ა-კეთ+ებინ-ებ **კაცს** სახლს; აქ მოქმედი პირია "კაცს"; ზმნის ფორმაში ასახული პირველი პირი არის მოქმედების ინიციატორი).

**აღმქმელი** - პროცესის აღმქმელი აქტიური პირი (მე მშია; მე გამიკეთებია). პირი. სინტაქსში გამოიხატება მიცემითი ბრუნვით.

**განმცდელი** - პირი, რომელიც განიცდის პროცესს; პროცესის განმცდელი (მე ვ-თბებ-ი; მე ვ-ი-ტანჯ-ებ-ი). პირი. სინტაქსში გამოიხატება სახელობითი ბრუნვით.

**მიმღები (ადრესატი)** - პირი, რომლისთვისაც განკუთვნილია აგენსის ქმედების შედეგი (მე მ-წერ-ს ის; შენ გ-წერ-ს ის; მე მ-ი-კეთ-დ-ებ-ა სახლი; მე მ-ი-წერ-ს ის წერილს; წერილი იწერება ჩემთვის; წერილი იწერება მისთვის). პირი. სინტაქსში გამოიხატება მიცემითი ბრუნვით.

ჩვენთვის საინტერესოა და მისაღები ის თვალსაზრისი, რომ პირველი და მესამე პირების ფორმების გვერდით განხილული უნდა იყოს პირველი და მეორე პირის ურთიერთობის ამსახველი ფორმებიც (ტ. ფუტკარაძე, 2006: 88-95); „კერძოდ, მე გწერ შენ/თქვენ, ჩვენ გწერ-თ შენ/თქვენ; შენ მწერ მე, ჩვენ გვწერ შენ... პირველი და მეორე პირების შეხვედრისას ზმნაში აღინიშნება მ- ან გ-; კერძოდ:

**მ-** პრეფიქსი გვაქვს, თუკი პირველი პირი არის მოქმედების/მდგომარეობის უშუალო განმცდელი, ან მოქმედების შედეგის ადრესატი (მე მიყვარხარ შენ; შენ მწერ მე წერილს/;

**გ-** პრეფიქსი გვაქვს, თუკი მეორე პირი არის მოქმედების/მდგომარეობის უშუალო განმცდელი, ან მოქმედების შედეგის ადრესატი (შენ გიყვარვარ მე; მე გწერ შენ წერილს); შდრ.: მე ვწერ მას წერილს /ეს უკანასკნელი ყალიბი გვაქვს იმ შემთხვევაში, თუკი ზმნური ფორმა გამოხატავს მოქმედ პირს/... (ფუტკარაძე 2012 : 208 ).

აქვე აღვნიშნავთ: ქართულ ენაში არსებული პირის ნიშნების ორი რიგიდან (ვ-, -ს, -ა, -ო, -ნენ, -ეს... და მ-, გ-, ს/3/0-, გვ-...) სამეცნიერო ლიტერატურაში პირველი მიჩნეულია სუბიექტური პირების აღმნიშვნელად, მეორე - ობიექტური პირების აღმნიშვნელად; არაიშვიათად, მეორე რიგის ნიშნებით - მ-ს რიგის ნიშნებით - გამოიხატება აქტიური პირიც (აგენსი), ხოლო ვ-ს რიგის ნიშნებით - პასიური პირი (პაციენსი); შდრ., მაგ: ერთი მხრივ: მე მ-ი-კეთ-ებ-ი-ა, მე მ-შია; შენ გ-ი-კეთ-ებ-ი-ა, შენ გ-შია; მეორე მხრივ: მე მტანჯავს ის - მე ვიტანჯები... ჩვენ ვიზიარებთ ამ შემთხვევაში ტ. ფუტკარაძის მოსაზრებას ინვერსიასთან დაკავშირებით. მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, ვ-სა და მ-ს რიგის ნიშნების სახელდება გრამატიკული სუბიექტ-ობიექტის გამოხატვის მიხედვით და ე. წ. ინვერსიის წინააღმდეგობრივი ცნების შემოტანა. უფრო ლოგიკური ჩანს, ვთქვათ, რომ ვ-ს რიგი მოქმედებას ან მოქმედების პროცესს გამოხატავს, მ-ს რიგი კი - მოქმედების აღქმასა თუ აქტიურ განცდას<sup>12</sup>“ (სრული მსჯელობისთვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, 2012).

---

**პაციენსი** - პასიური პირი, რომელიც განიცდის აგენსის ქმედებას (მე ვწერ წერილს). პირი სინტაქსში გამოიხატება მიცემითი და სახელობითი ბრუნვებით (იხ.: ტ. ფუტკარაძე, 2012).

<sup>12</sup>შდრ., ა. ონიანის მსჯელობა ე.წ. ობლიგატორული და არაობლიგატორული პირების შესახებ (ა.ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978).

**შდრ.:** ნ. ჩუბინაშვილი: „ასო მ იხმარების კუალად პირნაკლთა ზმნათა შინა, ოდესცა მოქმედება მიეჩემების I პირსა მეორისაგან. მაგალითად: მიწერ, მიწერს, მიშენებ, მიშენებს და რაჟამს პირველისაგან მიეჩემების 2 პირსა, მაშინ იხმარების გ... ხოლო უკეთუ მოქმედება არს მესამისაგან პირისა, მაშინ არღარა არს პირნაკლი, არამედ მიეჩემების სამთავე და პირველისადმი იხმარების კუალადვე ასო მ, მეორისადმი კუალადვე გ, მესამისადმი უ. მაგალითად: მიწერს, გიწერს, უწერს, მიშენებს, გიშენებს, უშენებს. ანუ ვნებითად: მწერს, გწერს, ჰსწერს; მაშენებს, გაშენებს, აშენებს და სხ. (ჩუბინაშვილი 1812-1825: 86).

მაშასადამე, პროგრამირების მიზნით ზმნური ფორმების დაჯგუფებისას უფრო მოსახერხებელია პირთა კომბინაციების შემდეგი სქემა:

	მე	შენ	მას	ჩვენ	თქვენ	მათ
მე	–	გ-ხატ-ავ	ვ-ხატ-ავ	–	გ-ხატ-ავ/-თ/	ვ-ხატ-ავ
შენ	მ-ხატ-ავ	–	ხატ-ავ	გვ-ხატ-ავ	–	ხატ-ავ
ის	მ-ხატ-ავ-ს	გ-ხატ-ავ-ს	ხატ-ავ-ს	გვ-ხატ-ავ-ს	გ-ხატ-ავ-ს	ხატ-ავ-ს
ჩვენ	–	გ-ხატ-ავ-თ	ვ-ხატ-ავ-თ	–	გ-ხატ-ავ-თ	ვ-ხატ-ავ-თ
თქვენ	მ-ხატ-ავ-თ	–	ხატ-ავ-თ	გვ-ხატ-ავ-თ	–	ხატ-ავ-თ
ისინი	მ-ხატ-ავ-ენ	გ-ხატ-ავ-ენ	ხატ-ავ-ენ	გვ-ხატ-ავ-ენ	გ-ხატ-ავ-ენ	ხატ-ავ-ენ

## 1.5. ზმნის მწკრივის ფორმები

უღვლილების ძირითადი ერთეულია მწკრივი; მის აღსანიშნავად გრამატიკულ ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინი გამოიყენება: დრო, წევრი, რიგი, დრო-კილო, მწკრივი, ნაკვთი. ამჟამად დამკვიდრებულია მწკრივი და ნაკვთი; სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი მწკრივი დაამკვიდრა ა. შანიძემ, ხოლო ნაკვთი - არნ. ჩიქობავამ.

ჯერ კიდევ ქართულ ენაზე შექმნილ პირველ გრამატიკებში ზმნის ფორმები წარმოდგენილია დრო-კილოთა მიხედვით, რაც ლათინური გრამატიკის გავლენაა. ფრანჩესკო-მარიო მაჯოს „ქართული ენის სახელმძღვანელოში“, როგორც თ. უთურგაძე აღნიშნავს, მწკრივთა რაოდენობა თერთმეტია, ფუნქციები ლათინურის მსგავსია. „აწმყო (მოვალ), ნამყო უსრული (მოვიდოდი), ნაკლებ ახლო ნამყო უსრული (მე მოველო), ყველაზე უფრო ახლო ნამყო სრული (მე მოსსული ვარ), ნამყო წინარე წარსული (მე მოსსული ვიყავი), მყოფადი (მემოვალ), ბრძანებითი (შენმოდი), აწმყო და უწყვეტელი (ნეტა/ნეთანს მოვიდოდი), ნამყო სრული (ნეტა/ნეთანს მოსსულივიყავი), მყოფადი (ნეთანს მოვალ), აწმყო და ნამყო სრული (მოსსულა/მოსვლა - საწყისი) (უთურგაძე 1999: 40-56).

ანტონ კათალიკოსი მწკრივთა ანალიზისას, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, „ფორმოზრივ-ფუნქციურ პრინციპს ემყარება. კილოს (სქესის) კატეგორია არსებითია ფორმათა განაწილებისას დროებში: „I. საზღვრებითისა სქესისა (თხრობითი კილო): 1. აწმყო (შევჰკრავ), 2. ნამყო უსრული (შევჰკრავდი), 3. ნამყო სრული (შევჰკარ), 4. ნამყო უსრულესი (შემიკრავს), 5. ნამყო უუსრულესი (შემეკრა), 6. მყოფადი (შევჰკრა); II. ბრძანებითისა სქესისა: 7. აწმყო (შეჰკარ! ნუ შეჰკრავ), 8. მყოფადი (შევჰკრავდი); III. საწადისისა სქესისა (ნატვრითი კილო): 9. აწმყო და მყოფადი (ვაშათუ შევჰკრავდი), 10. ნამყო უსრული (ვაშათუ შევჰკრავდი), 11. ნამყო სრული და უსრულესი (ვაშათუ შემიკრავს), 12. ნამყო უსრულეს (ვაშათუ შემეკრა); IV. ჯპოტეტიკაძსა სქესისა (ქუეწყობილობითი სქესი ანუ კავშირებითი კილო): 13. აწმყო და მყოფადი (უკეთუ შევჰკრავდი), 14. ნამყო უსრული (უკეთუ შევჰკრავდი), 15. ნამყო

სრული და უსრულესი (უკეთუ შემეკრვეს), 16. ნამყოფ უსრულესი (უკეთუ შემეკრა)“ (ქართული ენის ისტორია 2006: 74).

მნიშვნელოვანია ის, რომ გაიოზ რექტორი ცალკე მწკრივად გამოყოფს III კავშირებითის ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს (რექტორი 1970: 71), რაც შემდგომ უკვე ყველა სერიის მიხედვით წარმოადგინა დ. ყიფიანმა და ამ პრინციპის მიხედვით გამოყო სულ 16 მწკრივი, თუმცა ის ამ სისტემას მხოლოდ შესაძლებლად მიიჩნევდა, შესაბამისად, მომხრე იყო იმისა, რომ საუღლებელ მწკრივთა რაოდენობა 8 ერთეულამდე შემცირებულიყო (ყიფიანი 1882).

1908 წელს გამოვიდა ნიკო მარის მნიშვნელოვანი წიგნი "ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები", რომელშიც მოცემულია ბგერათა კლასიფიკაციის, ბრუნების, უღვლილების ტაბულები. ზმნის უღვლილების შესახებ საუბრისას ავტორი აღნიშნავს: "Первая группа: главное время настоящее производная-прошедшее несовершенное и житательное. Вторая группа: главное время аористъ, производное-сослагательное. Третья группа: прошедшее совершенное, давнопрошедшее и прошедшее сослагательное" (Марр 1925: 75). მაშასადამე, ნიკო მარს ზმნური ფორმები დაჯგუფებული აქვს მწკრივებში, მწკრივები კი სერიებში. სპეციალურ ლიტერატურაში სწორედ ნიკო მარის სახელს უკავშირებენ ქართული ზმნის დრო-კილოთა სერიების მიხედვით დაყოფას და საყრდენი ფუძის პრინციპის შემოღებას. თუ საწარმოებელი ფუძის პრინციპი უმტკივნეულოდ შეიძლება გატარდეს I და II სერიაში, სირთულეს ქმნის III სერიის ნაკვთები. ამ სირთულეს ნ. მარიც გრძნობს; III სერიას არ გააჩნია საყრდენი ნაკვთი. I თურმეობითის ფუძე არ არის საყრდენი დანარჩენი მწკრივებისათვის. ნ. მარი აღნიშნავს: "ეს სამი დრო ერთად უნდა იყოს, რადგანაც ისინი ნაწარმოებია ერთი და იმავე წესით, თუმცა ვერც ერთ მათგანს ვერ გან-ვიხილავთ როგორც საყრდენად ხმარებულ დროს, რომლის განაც სხვები არიან წარმოქმნილნი". ეს საერთო წესი ინვერსიულობაა. ასევე, მესამე სერიის ფორმებს სინტაქსური კონსტრუქციის ერთგვარობაც აერთიანებს... მაგრამ დაირღვა ძირითადი პრინციპი ნაკვთეულთა დაჯგუფებისა: საწარმოებელი ფუძის პრინციპი (ქართული ენის ისტორია 2006: 176).

ა. შანიძის მიერ გამოყოფილია 13 მწკრივი, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ ორი მწკრივი - ბრძანებითი და II ხოლმეობითი - დიალექტებშია შემონახული. შესაბამისად,

თანამედროვე ქართულისათვის 11 მწკრივი იგულისხმება. „ფორმათა წარმოების თვალსაზრისით და აგრეთვე სინტაქსურ თავისებურებათა თვალსაზრისითაც, ქართულში არსებული მწკრივები სამ ჯგუფად იყოფა, რომელთაც სერიებს ვეძახით. პირველი სერია ახალ ქართულში თავის მხრივ ორ ქვე-ჯგუფად იყოფა, რომეთაც წრეებს ვეძახით. გვაქვს აწმყოს წრე და მყოფადის წრე. სერიების მიხედვით მწკრივები ასეა განაწილებული: I-შია 6 მწკრივი, II შეიცავს 2 მწკრივს, III- სამს“ (შანიძე 1953: 222).

არნ. ჩიქობავას მიხედვით „ყველა საუღლებელი ერთეული (ნაკვთი) ქართულში ქმნის სამ ჯგუფს ანუ წყებას: 1. აწმყოს წყებას, 2. ნამყო ძირითადის წყებას და 3. თურმეობითის წყებას“ (ჩიქობავა 1998: 63), აქვეა ახსნილი თუ რა პრინციპის საფუძველზეა გამოყოფილი ეს წყებანი, რომ პირველი და მეორე წყების გამოყოფის საფუძველი ფუძეთა წარმოებაა (რომელიც ქართული ზმნის უღვლილებაში ნ. მარმა დანერგა), ხოლო მესამე, თურმეობითის წყებას ამოსავალი ფუძე არ აერთიანებს, ამ წყების ნაკვთები ერთნაირია აგებულებით, იქვე სქოლიოში ჩიქობავა აღნიშნავს: „უფრო თანმიმდევრული იქნებოდა ნაკვთის წარმოების პრინციპი ბოლომდე გაგვეტარებინა, მაშინ ყველა ნაკვთი ორ წყებაში გაერთიანდებოდა: 1. აწმყოს წყებაში და 2. ნამყო ძირითადის წყებაში“ (იქვე). ჩიქობავას გამოყოფილი აქვს ზოგან 11 და ზოგან 10 ნაკვთი<sup>13</sup>.

მწკრივთა სისტემიდან ბრძანებითის ამოღებას გაუმართლებლად მიიჩნევს თ. უთურგაიძე, ამ მწკრივის ამოღების მიზეზად დასახელებულია მწკრივის საკუთარი ფორმების უქონლობა. როგორც ცნობილია, ბრძანების გამომხატველი ფორმები ან წყვეტილს ემთხვევა, ან მეორე კავშირებითს. მიუხედავად ამისა, მკვლევრის აზრით, ფორმათა დამთხვევა არაა საკმარისი მიზეზი იმისა, რომ ბრძანებითის მწკრივი ამოღებულ იქნეს სისტემიდან, ვინაიდან ერთი მწკრივის ფარგლებშიც კი ხდება ფორმათა დამთხვევა. ამის მაგალითად თ. უთურგაიძეს განხილული აქვს ზმნური ფორმა **გაქებთ**, რომელიც ერთი და იმავე ფორმით ოთხჯერ მეორდება ერთი მწკრივის ფარგლებში:

---

<sup>13</sup>მსჯელობისთვის იხ.: არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის ნაკვეთულთა დაჯგუფების პრინციპისათვის: იკე, XIII, თბ., 1962; აგრეთვე, არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998.



„I მე თქვენ გ-ა-ქ-ებ-თ

II ის თქვენ გ-ა-ქ-ებ-თ

III ჩვენ შენ გ-ა-ქ-ებ-თ

IV ჩვენ თქვენ გ-ა-ქ-ებ-თ

არც ერთი მორფემა არც აკლდება, არც ემატება, მორფემათა განაწილებაც უცვლელია, თუმცა გრამატიკული მნიშვნელობა პირთა ან მათი რიცხვის თითოეულ ფორმას თავისი აქვს და არ ემთხვევა დანარჩენ სამს... დამთხვევა ხდება გამოხატულების პლანის ბგერობრივი სახეებისა, გრამატიკულ ფორმებს თუ მივუბრუნდებით, განსხვავებას მათ შორის უდავოდ ვნახავთ...“ (უთურგაიძე 2001: 86). მაშასადამე, აქ გრამატიკულ ფორმათა დამთხვევა უარყოფილია. შესაბამისად თ. უთურგაიძე აგრძელებს მსჯელობას ბრძანებითის მწკრივთა სისტემაში დამოუკიდებელი ადგილის არსებობის შესახებ; „...ბგერობრივი დამთხვევის მიუხედავად, წყვეტილისა და კავშირებითი II მწკრივთა ფორმები ვერ შეცვლიან ბრძანებითი მწკრივის ფორმებს: ამ უკანასკნელთ სერში აქვთ ბრძანებითი კილო, რომელიც არ შეიძლება ჰქონდეს წყვეტილსა და II კავშირებითის ფორმებს... მაშასადამე, ბრძანებითი, როგორც ცალკე მწკრივი, უნდა აღდგეს II სერიაში და შემუშავდეს ის მექანიზმი, რომელიც გამოარჩევს მის ფორმებს წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმებისგან“ (უთურგაიძე 2001: 88-89). ვფიქრობთ, მსჯელობა არგუმენტირებულია, თუმცა ამ ეტაპზე მწკრივთა სისტემაში არ განვიხილავთ ბრძანებითს (კონტექსტის მიხედვით მყოფადის კავშირებითი და მეორე კავშირებითი შეიძლება იყოს ბრძანებითი კილოს გამომხატველი).

კვლევის თანამედროვე ეტაპზეც არაა ერთგვაროვანი პოზიცია ზმნის საუღლებელ ერთეულთა ანუ მწკრივთა გამოყოფა-დაჯგუფებასთან დაკავშირებით. მეცნიერთა ნაწილი ზმნურ ფორმებს ალაგებს მხოლოდ ფორმალური პრინციპით, ნაწილი სემანტიკური პრინციპით, ზოგი კი მორფოლოგიურ-სინტაქსური პრინციპის მიხედვით. ამ უკანასკნელის მიხედვითაა წარმოდგენილ ნაშრომშიც დალაგებული ზმნური ფორმები.

გ. გოგოლაშვილის მიერ ზმნის უღვლების სისტემა წარმოდგენილია ფორმალური თვალსაზრისით. მან პირველ სერიაში მხოლოდ 3 საუღლებელი ერთეული გამოყო (არ განიხილა ზმნისწინიანი ფორმები).

## I სერია

1-ლი მწკრივი (აწმკო-მკოფადი) \_ (ზმნისწ.)-აკეთებს

მე-2 მწკრივი (უწკვეტელი-ხოლმეობითი) \_ (ზმნისწ.)-აკეთებდა

მე-3 მწკრივი (I კავშირებითი) \_ (ზმნისწ.)-აკეთებდეს

## II სერია

მე-4 მწკრივი (წკვეტილი) \_ (ზმნისწ.)-აკეთა

მე-5 მწკრივი (II კავშირებითი) \_ (ზმნისწ.)-აკეთოს

## III სერია

მე-6 მწკრივი (I თურმეობითი) \_ (ზმნისწ.)-უკეთებია

მე-7 მწკრივი (II თურმეობითი) \_ (ზმნისწ.)-ეკეთებინა

მე-8 მწკრივი (III კავშირებითი) \_ (ზმნისწ.) - ეკეთებინოს (გოგოლაშვილი 2010: 208).

გ. გოგოლაშვილი ზმნურ ფუძის განმარტებას მისეული თვალსაზრისით აზუსტებს: „მწკრივის ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს ზმნისწინი, პირისა და რიცხვის ნიშნები. რამდენადაც მწკრივთა გამოკოფა და დაჯგუფება საწარმოებელი ფუძის პრინციპს ემკარება, იმდენ მწკრივზე უნდა ვისაუბროთ, რამდენი განსხვავებული ფუძეც არსებობს. მწკრივის ფუძის ამგვარი გაგების საფუძველზე უღლების სისტემა უნდა გაიმართოს იმ პრინციპზე, რა პრინციპითაც არის წარმოდგენილი II და III სერიაში. ეს თვალსაზრისი I სერიაში სამი მწკრივის გამოკოფას ვარაუდობს. ამის და კვალად, ახალ ქართულში ზმნური ფორმები დაჯგუფდება სამ სერიად და 8 მწკრივად“ (გოგოლაშვილი... 2011: 371).

სრულიად საპირისპიროდაა დალაგებული ზმნური ფორმები სემანტიკური პრინციპით, რომელსაც ა. არაბული წარმოადგენს. შემოთავაზებული თვალსაზრისის შემდგომ ასეთ დასკვნას აკეთებს: „ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზი, განსაკუთრებით საუღლებელ ერთეულთა აღწერა შემადგენელი სემანტიკური ელემენტების („დიფერენციალური ნიშნების“) პრინციპით, გვაფიქრებინებს, რომ

ზმნის უღლების სრული სისტემა (პარადიგმა) თანამედროვე ქართულში წარმოდგენილი შეიძლება იყოს 16 საუღლებელი ერთეულის სახით:

#	მწკრივის ფორმა	სემანტიკური („დიფერენციალური“) ნიშნები
1	ხატავს	თხრობითი + აწმყო
2	ხატავდა	თხრობითი + წარსული + უწყვეტელი
3	ხატავდეს	კავშირებითი + [აწმყო] + უსრული
4	დახატავს	თხრობითი + მომავალი
5	დახატავდა	კავშირებითი + [წარსული] + სრული
6	დახატავდეს	კავშირებითი + [მომავალი] + სრული
7	ხატა	თხრობითი + წარსული + უსრული
8	დახატა	თხრობითი + წარსული + სრული
9	ხატოს	კავშირებითი + [აწმყო/მომავალი] + უსრული
10	დახატოს	კავშირებითი + [მომავალი] + სრული
11	უხატავს	თხრობითი + წარსული + უსრული + შედეგობითი
12	დაუხატავს	თხრობითი + წარსული + სრული + შედეგობითი
13	ეხატა	კავშირებითი + წარსული + უსრული + შედეგობითი
14	დაეხატა	კავშირებითი + წარსული + სრული + შედეგობითი
15	ეხატოს	„— — — —“
16	დაეხატოს	„— — — —“

(არაბული... 2011: 413).

მსგავსი წარმოება (როგორც ვხედავთ, ყველა ზმნისწინიანი ფორმა ცალკე საუღლებელი ერთეულია) ჯერ კიდევ დიმიტრი ყიფიანის გრამატიკაში იყო წარმოდგენილი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელოვნურად

გართულებულად თვლიდა ამგვარ დაჯგუფებას და იქვე ჰქონდა შემოთავაზებული გამარტივებული, 8 ერთეულიანი მწკრივთა სისტემა<sup>14</sup>.

უღვლილების ერთეულები, და საერთოდ ქართული ზმნის პარადიგმა, როგორც აღვნიშნეთ, ახლებურადაა გაზრებული ტ. ფუტკარაძის მიერ, რომელიც ზმნურ ფორმათა დაჯგუფების დროს მორფოლოგიურ-სინტაქსური პრინციპით ხელმძღვანელობს. მწკრივთა პარადიგმა განხილული აქვს **II დონის ყალიბებში**.

წარმოების მიხედვით მწკრივებს ტ. ფუტკარაძე ყოფს სამ ჯგუფად:

**„აწმყოს ფორმაზე დაფუძნებული მწკრივები** (აწმყოს მწკრივზე დაფუძნებული მწკრივები: აწმყო, ნამყო განგრძობითი უსრული, აწმყოს კავშირებითი). **მყოფადის ფორმაზე დაფუძნებული მწკრივები** (მყოფადის მწკრივზე დაფუძნებული მწკრივები: მყოფადი, ხოლმეობითი, მყოფადის კავშირებითი); **ნამყო უსრულის ფორმაზე დაფუძნებული მწკრივები** (ნამყო უსრული, ნამყო სრული, მომავალი დროისა და უსრული ასპექტის გამომხატველი კავშირებითი, მომავალი დროისა და სრული ასპექტის გამომხატველი კავშირებითი). ზოგ შემთხვევაში მოცემულ ნაკვთს აწმყოს, მყოფადისა და ნამყოს წრის მწკრივები არ მოეპოვება (ივსებს სხვა ნაკვთის შესაბამისი ფორმებისგან)<sup>15</sup> ( ფუტკარაძე 2013: 306).

ჩვენ ვიზიარებთ ტ. ფუტკარაძის მოსაზრებას მწკრივთა დაყოფასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ლოგიკური საფუძველი გვაქვს იმისა, რომ მწკრივი (ისევე როგორც ბრუნვა) ჩავთვალოთ ზმნის გრამატიკულ კატეგორიად (შდრ., გვარი და ქცევა სემანტიკური კატეგორიებია და არა გრამატიკული).

---

<sup>14</sup>შდრ. დ. ყიფიანი, 1882.

<sup>15</sup> მწკრივების რიგში არ განვიხილავთ ე.წ. მესამე სერიის ფორმებს (იხ. ქვემოთ).

## 1.6. ზმნურ ყალიბთა სახეები ქართულში. ზმნური ლექსიკური ერთეულების დაჯგუფება ყალიბების წარმოების თავისებურებების გათვალისწინებით

### 1.6.1. ზმნის მოდელირების პრობლემა

თანამედროვე კომუნიკაცია შეუძლებელია ენის მოდელირების გარეშე. ენის მოდელირება თვისობრივად ახალი გამოწვევაა ენათა კვლევის მიმართულებით. XXI საუკუნის დამდეგიდან გამოიკვეთა კომპიუტერული ტექნოლოგიების როლი ეროვნული ენებისა და ენის საშუალებით კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების საქმეში. ენათა სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობაა ენობრივ მონაცემთა დამუშავება თანამედროვე ტექნოლოგიებით.

ენათა მოდელირება, როგორც ერთ-ერთი დამოუკიდებელი მიმართულება, მეოცე საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბდა. თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე იგი აუცილებლად წინაპირობას წარმოადგენს ენის კვლევისას. მსოფლიოს ბევრ ენაზე უკვე შესაძლებელია ნაწერი თუ ზეპირი ტექსტის ავტომატური თარგმნა. შესაბამისად, ის ენა (ენები), რომელიც დროულად არ გახდება ინტერნეტსივრცის, ავტომატური თარგმანების ენა, გაქრება. ქართული ენის ტექნოლოგიზება აუცილებელი პირობაა იმისა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების პირობებში ქართული სალიტერატურო ენა დარჩეს მსოფლიოს კულტურულ ენათა რიგში<sup>16</sup>.

ქართული ენის პროგრამირება შეუძლებელია ზმნის მოდელირების გარეშე, რადგან ზმნა ქართული ენის ხერხემალია, შესაბამისად, ამ მიმართულებით ზმნის მოდელირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. როგორც მიუთითებენ, ზმნის მოდელირება ქართულში მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამის მიზეზად სახელდება მრავალრიცხოვანი მორფოლოგიური კატეგორიების არსებობა, ერთი მხრივ, და პოლიპერსონალიზმი, მეორე მხრივ, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ზმნის პარადიგმის მოცულობას და განაპირობებს მოდელირების სირთულეს. ქართული

<sup>16</sup> იხ. ტ. ფუტკარაძე, ქართული ენის ტექნოლოგიზება: პირველი რიგის გადაუდებელი ამოცანები, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, II, 2013, გვ. 15-22.

ზმნის მოდელირებას არაერთი ავტორი შეეცადა, თუმცა ეს საქმე ბოლომდე მიყვანილი არაა. ქართულ სიანამდვილეში „ენის მოდელირების ასოციაციაც“ კი არსებობს, რომელიც დაფუძნდა 2006 წელს. ასოციაციის მიზანია ქართული ენის მოდელირება, ენობრივი სისტემის ფუნდამენტური კვლევა და კომპიუტერული დამუშავება. ასოციაციის მესვეურნი თედო უთურგაიძის ენობრივი მოდელების შესაბამისად ახდენენ ქართული ენის მორფოლოგიურ და ნაწილობრივ სინტაქსური მოდელის აგებას<sup>17</sup>. როგორც თვითონ აღნიშნავენ: „ზმნის არაფორმალიზებულ და ფორმალიზებულ მოდელებს შორის, რომელიც ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებობს. განვიხილავთ თ. უთურგაიძის მოდელს, როგორც ზმნის ფორმალიზაციის თვისობრივად ახალ ეტაპს და ამასთან, ჩვენ მიერ წარმოდგენილი მოდელის თეორიულ საფუძველს. თ. უთურგაიძის ზმნის ლინგვისტური თეორია ემყარება ავტორის კონცეფციას, რომლის მიხედვითაც ზმნის პარადიგმა შეიძლება განხილულ იყოს როგორც სამი, შედარებით დამოუკიდებელი კომპონენტის - აქტანტურ, ატრიბუტულ და კონექტურ პარადიგმათა დეკარტული ნამრავლი. ეს უკანასკნელი აერთიანებს გვარის, ქცევისა და კაუზაციის კატეგორიებს და ქმნის სერთა პარადიგმას“ (იხ. სქოლიოში მითითებული ბმული).

**შენიშვნა:** თ. უთურგაიძე ზმნის პარადიგმას განიხილავს სამი რიგის კატეგორიების ჯამის საფუძველზე. ეს კატეგორიებია: აქტანტური, ატრიბუტული და კონექციური. „კატეგორიებს, რომელთაც ევალებათ ზმნურ ქმედებასა თუ სიტუაციაში ჩართულ აქტანტთა გამოხატვა, ვუწოდებთ აქტანტურ კატეგორიებს, ესენია: პირისა და რიცხვის კატეგორიები. კატეგორიებს, რომელთაც ევალებათ ზმნური ქმედების დახასიათება: როდის ხდება ზმნური ქმედება, რამდენჯერ ხდება, რა მოდალობისაა, საით არის მიმართული, ქმედება დასრულდა თუ არა, ვუწოდებთ ატრიბუტულ კატეგორიებს. მესამე რიგის კატეგორიები მიუთითებენ აქტანტთა დამოკიდებულებაზე ზმნურ ქმედებასთან და სხვა აქტანტებთან, მათ დეფინიციებს იძლევიან გვარის, ქცევისა და კაუზაციის კატეგორიების აღწერაში. ამათ ვუწოდებთ კონექციურ კატეგორიებს“ (უთურგაიძე 2001: 10).

<sup>17</sup> ამის შესახებ იხ. <https://www.facebook.com/www.ena.ge/notes>

ენის მოდელირების ასოციაციის წარმომადგენელთა აზრით, თ. უთურგაიძის თეორიაში დაძლეულია ის წინააღმდეგობა, რასაც აღნიშნულ კატეგორიათა წარმოქმნის კატეგორიებად მიჩნევა იწვევდა. მკვლევარი მათ უღლებს კატეგორიათა რიგში განიხილავს და რაც ყველაზე არსებითია, ზუსტად განსაზღვრავს მოცემული პასივის ფორმა აქტივის რამდენ და რომელ ფორმებს მიემართება და პირუკუ. „კონვერსიის წესის ამგვარი დახვეწა შესაძლებელი გახდა იმდენად, რამდენადაც ზმნის უღვლილების პარადიგმაში ზმნის ფორმათა რაოდენობა განისაზღვრა არა გამოხატულების პლანის (ანუ ფორმის), არამედ შინაარსობლივი პლანის გათვალისწინებით“ (თანდაშვილი 1999)<sup>18</sup>.

ქართული ენის პროგრამირების რამდენიმე ცდა არსებობს; მეცნიერთა ერთი ჯგუფი ჯემალ ანთიძის ხელმძღვანელობით ენის მოდელირებას შეეცადა დამანა მელიქიშვილის დიათეზების მიხედვით (სამუშაოები დასრულებული არ არის).

აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანია ქართული ენის ეროვნული ტექსტების კორპუსის შექმნა (დიალექტური მასალის გათვალისწინებით)<sup>19</sup>.

ჩვენი აზრით, ქართული ზმნის პროგრამირებისთვის უფრო გამოსადეგი იქნება ისეთი ზმნური პარადიგმის აგება, რომელიც ორიენტირებულია ზმნურ ლექსიკურ ერთეულზე და არა ერთი ზმნური ერთეულის ყალიბების განაწილებაზე აქამდე ნაცადი გვარისა თუ დიათეზის კატეგორიების მიხედვით.

## 1.6.2. ქართული ზმნის უღლების ტიპები

თანამედროვე ქართულ ენათმეცნიერებაში **ზმნურ ყალიბთა გამოყოფის რამდენიმე ცდა არსებობს**, თუმცა აქამდე ვერ მოხერხდა სხვადასხვა სახის ზმნური ფორმების, როგორც საუღლებელი ერთეულების, დაჯგუფება, რაც, სპეციალისტთა აზრით, იმიტომ გაჭირდა, რომ დღემდე არსებული ზმნური ფორმების კლასიფიკაცია ძირითადად ლათინური გრამატიკების მოდელით ხდებოდა. ასე მაგალითად, ძველ

<sup>18</sup> იხ. სრულად <http://titus.uni-frankfurt.de/personal/manana/tavi1-1.htm>

<sup>19</sup> იხ. ტ. ფუტყარაძე, ქართული ენის ტექნოლოგიზება: პირველი რიგის გადაუღებელი ამოცანები, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები II, 2013, გვ. 15-22.

ქართულ გრამატიკებში ზმნის უღლებადი ფორმები დაჯგუფებულია ისე, როგორც ეს მიღებული იყო ბერძნულ-ლათინური ენის გრამატიკებში. საკლასიფიკაციო პრინციპად აღებული იყო კილოს კატეგორია. შემდეგი ხანის ქართულ გრამატიკაში ზმნის უღლებადი ფორმები დრო-კილოთა გაერთიანებული ჯგუფების მიხედვით იქნა დალაგებული, რასაც სათავე დაუდო ნიკო მარმა და შემდგომ უკვე სერიებისა და მწკრივების შესახებ მოძღვრების სახით ჩამოყალიბდა აკაკი შანიძის მიერ. ამ სისტემის საფუძველზე გამოყოფილი ქართველ მეცნიერთა მიერ ქართული ზმნის უღვლილების ტიპები. აკ. შანიძე ქართული ზმნების უღლების ოთხ ტიპს გამოყოფს. კლასიფიკაცია გვარის მიხედვით არის წარმოდგენილი:

I ტიპი - უღლება მოქმედებითი გვარის ზმნებისა;

II ტიპი - უღლება დინამიკური ვნებითის ზმნებისა;

III ტიპი - უღლება საშუალ-მოქმედებითი (მედიაოქტივი) ზმნებისა;

IV ტიპი - უღლება საშუალ-ვნებითი (მედიაპასივი) ზმნებისა და სტატიკური ვნებითი გვარის ზმნებისა (შანიძე 1980: 489).

არნ. ჩიქობავა გამოყოფს დინამიკურ და სტატიკურ ზმნებს, მაგრამ ზმნის უღლების I და II სქემაში ერთად წარმოადგენს მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებს (იგულისხმება კონვერსია), ხოლო III სქემაში მოცემულია სტატიკური ზმნები<sup>20</sup>. ავტორის აზრით, ვნებითი იწარმოება გარკვეული თავსართ-ბოლოსართებით მოქმედებითისაგან. რა აწარმოებს მოქმედებითს? რისგან იწარმოება მოქმედებითი? საკითხი მეტად რთულია. ზმნის უღვლილების ზოგადი პრინციპები იბერიულ-კავკასიურ ენებში გვაფიქრებინებს შემდეგს: მოქმედებითი გვარი მეორეულია, ე.ი. მოქმედებითი გვარი ნაწარმოებია (ჩიქობავა 1998: 62).

ბ. ჯორბენაძის მიხედვით, ზმნის ფორმის ცვლილებას პირის, რიცხვის, დროის, კილოსა და ასპექტის გრამატიკული კატეგორიების მიხედვით ეწოდება უღვლილება. ცვლილ ფორმათა ერთობლიობა ქმნის უღვლილების პარადიგმას. ბ. ჯორბენაძე გამოყოფს უღვლილების სამ ძირითად ტიპს, რომელსაც იგი ანაწილებს გვარების მიხედვით: „უღვლილების პარადიგმა აიგება დროისა და კილოს კატეგორიების საფუძველზე. გათვალისწინებულია პირის, რიცხვისა და ასპექტის კატეგორიები. ესაა

<sup>20</sup> იხ. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, 1998, გვ. 65-79.



მცდელობა ერთდროულად წარმოდგენილი იყოს სემანტიკური და ფორმოზრივი მომენტები, რასაც თან სდევს გარკვეული სირთულეები...“ (ჯორბენაძე 1995: 74-78). სხვაგან ბ. ჯორბენაძე მსჯელობს ქართული ზმნის უღვლილების ფორმოზრივ და სემანტიკურ მხარეზე და წერს: „უღვლილება არის ზმნის ცვლილება ნაკვთების მიხედვით. ფორმოზრივად უღვლილებისას იცვლება:

ა) ან ზმნის ფუძე: მო-ვ-კლ-ავ : მო-ვ-კალ-ი;

ბ) ან მაწარმოებელი : გა-ვ-თბ-ი : გა-ვ-თბ-ე;

გ) ან ერთდროულად ფუძეც და მაწარმოებელიც : და-ვ-მალ-ავ : და-ვ-მალ-ე...

სემანტიკურად უღვლილებისას იცვლება დრო, კილო და ასპექტი. ანუ: სემანტიკური თვალსაზრისით უღვლილება უნდა განისაზღვროს როგორც ცვლა დროის, კილოს და ასპექტის მიხედვით. ზოგადად უღვლილება შეიძლება ასე განიმარტოს: ფორმოზრივი თვალსაზრისით უღვლილება ნიშნავს ზმნის ფორმის ცვლას, სემანტიკურად - ზმნის დროის, კილოსა და ასპექტის ცვლას, ხოლო თითოეულ ნაკვთში - პირისა და რიცხვის ცვლას“ (ჯორბენაძე 1985: 17).

უღვლილების ტიპებს ბ. ჯორბენაძე გვარის მიხედვით ყოფს; კერძოდ: ქართულში უღვლილების ტიპებს განსაზღვრავს ორი ყალიბი: მოქმედებითისა და ვნებითისა: ვ-მალ-ავ, ვ-ი-მალ-ებ-ი; ვ-ა-წითლ-ებ, ვ-წითლ-დ-ებ-ი; ვ-ა-თბ-ობ, ვ-თბ-ებ-ი... ნაკვთთა მაწარმოებელი სუფიქსები სწორედ ამ ყალიბების მიხედვითაა განაწილებული. მოქმედებითის ყალიბით შესაძლოა გამოიხატებოდეს როგორც გარდამავალი (წერ-ს, მალ-ავ-ს, გმ-ობ-ს, ბად-ებ-ს...), ასევე გარდაუვალი (წუხ-ს, ცურ-ავ-ს, დარაჯ-ობ-ს, ჭიკჭიკ-ებ-ს...) მნიშვნელობები. გვაქვს გარდამავლობის თვალსაზრისით ლაბილური (მერყევი) ფორმებიც (ლაპარაკ-ობ-ს ის და ლაპარაკ-ობ-ს ის მას; მღერ-ი-ს ის და მღერ-ი-ს ის მას...) /იქვე: 17-19/. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამკვლევარი გვარს მიიჩნევს სემანტიკურ კატეგორიად. ამასთან დაკავშირებით წერს: „გვარის კატეგორიის განსაზღვრა, როგორც მორფოლოგიურ-სინტაქსური კატეგორიისა, რომელიც ზმნის გარკვეული ფორმით აღნიშნავს ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობას ქვემდებარის აქტიურ - პასიურობის თვალსაზრისით, ქართულისათვის ყოველთვის მისაღები არ არის“ (ჯორბენაძე 1975: 83).

ამ მოსაზრებას იზიარებს დამანა მელიქიშვილიც. მისთვის გვარი არის სემანტიკური კატეგორია. მისი აზრით, ქართულში გვარის კატეგორია არ არის მკვეთრად გამოყოფილი რეფლექსივისაგან. თუმცა, ავტორი აღნიშნავს, რომ ა. შანიძემ თანამედროვე ქართული ზმნის სისტემაში წარმატებით მოახდინა დიფერენცირება გვარისა და ვერსიის (ქცევის) კატეგორიებისა, მაგრამ მაინც, ვერც ფორმალური და ვერც სემანტიკური თვალსაზრისით, ვნებითი და საშუალო გვარის კატეგორიათა გამოყოფა ვერ აკმაყოფილებს გვარის კატეგორიის იმ გაგებას, რომელიც ზოგად ენათმეცნიერებაშია მიღებული და უნივერსალურია. ამის მიზეზად ავტორი მიიჩნევს: „ქართული ენის ზმნის პოლიპერსონალიზმს და აქედან, გამომდინარე, სახელსა და ზმნას შორის თავისებურ სინტაქსურ სტრუქტურა მექანიზმში“ ეძებს გამოსავალს (მელიქიშვილი 2001: 65).

დ. მელიქიშვილი ზმნის უღლების ახლებურ კლასიფიკაციას გვთავაზობს, რომელსაც დიათეზების მიხედვით წარმოადგენს ნაშრომში „ქართული ზმნის უღლების სისტემა“. ავტორი ქართული ზმნის კონსტრუქციისა და პირთა რელაციის გამოხატვის თავისებურებათა გათვალისწინებით გამოყოფს, როგორც თავად აღნიშნავს, უფრო ფართო გრამატიკულ კატეგორიას, რომელიც მოიცავს დესტინაციურ სისტემას, რეფლექსივისა და გვარის გაგებას ერთად და მას დიათეზას უწოდებს. მისი აზრით, სწორედ დიათეზა არის ზმნის კონსტრუქციის განმსაზღვრელი და გამოყოფს 3 დიათეზას:

„I დიათეზაში გაერთიანებულია არასრული და სრული კონსტრუქციის აწმყოს იდენტური სტრუქტურის (მოდელის) ზმნები - ავტოტივები და აქტივები, რომელთა MS ბრუნვაცვალებადაა სერიების მიხედვით.

II დიათეზაში გაერთიანებულია სრული კონსტრუქციის მქონე აბსოლუტურგარდაუვალი და რელატიურგარდაუვალი (ირიბგარდამავალი) დინამიკური ზმნები, რომელთა MS<sub>სახ.</sub> და MO<sub>ირ. მიც.</sub> ბრუნვაცვლეელია სერიების მიხედვით.

III დიათეზაში გაერთიანებულია მეორეული, ინვერსიული (დატივური) კონსტრუქციის მქონე სხვადასხვა (ნარევი) სტრუქტურის ზმნები. ეს დიათეზა ზმნის პირების ინვერსიის გზითაა მიღებული და ხშირად პირის დაკარგვის შედეგადაა ჩამოყალიბებული“ (მელიქიშვილი 2001: 68).

თითოეულ დიათეზაში წარმოდგენილია რამდენიმე გრამატიკული კატეგორია და მოცემულია მათი ურთიერთმიმართება. შესაბამისად დიათეზა რთული ერთეულია.

მწკრივთა მიხედვით ზმნური ფორმაცვალების ტიპების გამოყოფისთვის, თ. უთურგაიძის აზრით, საჭიროა ერთდროულად განისაზღვროს გვარის, ქცევისა და კაუზაციის სახეები, არ კმარა მხოლოდ ერთ-ერთის განსაზღვრა, სწორედ ესენი შედის კონექციურ კატეგორიებში (უთურგაიძე 2001 : 81). მეცნიერს მწკრივის გვერდით შემოაქვს პარადიგმის ფარგლებში კონექტურ კატეგორიათა ურთიერთობის გამომხატველი ახალი ტერმინი - სერი, რომლითაც, როგორც ავტორი აღნიშნავს, განისაზღვრება როგორც კონკრეტული პარადიგმის ფარგლებში საუღლებელი ზმნების ნებისმიერი კერძო ფორმა (უთურგაიძე 2001 : 81-82). აქვე წარმოადგენს მკვლევარი ქართული ზმნის სამი ტიპის პარადიგმას - მცირეს, დიდსა და სრულს.

„კონექტურ კატეგორიათა ყველა სახეობის გათვალისწინებით შექმნილ პარადიგმას (მაგ. მოქმედებითი გვარის ნეიტრალური კაუზაციის ნეიტრალური ქცევა) ვუწოდებთ **მცირე პარადიგმას**. სერში შემავალ ნიშანთა რაოდენობის შემცირება პარადიგმას უფრო დიდ მომცველობას მისცემს, რადგან სერი უფრო ზოგადი გახდება; მაგ., სერად თუ ავიღებთ მხოლოდ ვნებით გვარს, იგი გააერთიანებს ამა თუ იმ ზმნის ქცევისა და კაუზაციის იმ ფორმებს, რომლებიც ამ გვარს განეკუთვნებიან; ასევე სერად თუ ავიღებთ მეორად კაუზაციას, პარადიგმა მაშინ გააერთიანებს სხვადასხვა გვარისა და ქცევის მხოლოდ იმ ფორმებს, რომლებიც კაუზაციის ამ სახეობას განეკუთვნებიან და ა. შ. ამ ტიპის პარადიგმას ვუწოდებთ დიდ პარადიგმას“ (უთურგაიძე 2001: 82).

თ. უთურგაიძეს გამოყოფილი აქვს პარადიგმის მესამე სახეობაც, კერძოდ: „სრული პარადიგმა“ „რომელიც მოიცავს ამა თუ იმ ზმნის გრამატიკულ ფორმას შეუზღუდავად გვარის, ქცევის ან კაუზაციის კონკრეტულ სახეობათა მიხედვით“ (უთურგაიძე 2001: 82). მისი აზრით, პარადიგმათა ასეთი ტიპების გამოყოფა მეტად სასარგებლო იქნება ენობრივი სისტემის სხვადასხვა ასპექტით სრული ანალიზის ჩასატარებლად.

მონოგრაფიაში „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“ ზმნის **უღლების ტიპები** გამოყოფილია გვარის მიხედვით (შდრ. ა. შანიძისა და არნ. ჩიქობავას ზმნის უღლების ტიპები); აღსანიშნავია, რომ ავტორები სხვადასხვა ზმნებად მიიჩნევენ ე. წ. გვარით განსხვავებულ ფორმებს, ვინაიდან დასახელებულ სახელმძღვანელოში „**I ტიპის**

ულლებას განეკუთვნება ის ზმნები, რომელთაც მხოლოდ ერთი მწკრივის (აწმყო-მყოფადის) ფორმები მოეპოვებათ (ამჯერად, ე. წ. «ნასესხებ» ფორმებს მხედველობაში არ ვიღებთ). ამ ჯგუფში შემოვა: ა) ე. წ. სტატიკური ვნებითის ფორმები: აბია, აბარია, აბადია, ჰბურავს, ხურავს და მისთანანი. ბ) ე. წ. მედიოპასიურ ზმნათა ერთი ნაწილი: წევს, დგას, ძევს, სხედან და სხვა...

ამ ტიპის ზმნები შეიძლება იყოს როგორც ერთპირიანი, ისე ორპირიანი: აბია / უბია, აგია / უგია, აგდია / უგდია, ასვია / უსვია, აფენია / უფენია... დგას / უდგას, ზის / აზის / უზის...

II ტიპის ულლებას განეკუთვნება ის ზმნები, რომლებიც მხოლოდ I სერიის მწკრივთა ფორმებს იწარმოებს: ძირითადად ამ ჯგუფში შემოდის ის ზმნები, რომელთაც მედიოაქტიურ ზმნებს ვუწოდებთ – სწავლობს, ცხოვრობს, ამხანაგობს, ცრუობს, ტყუის... გარდა ამისა, რამდენიმე გარდამავალი დინამიკური ზმნა, ე. წ. მწკრივში მონაცვლე ზმნები – ამბობს, იტყვის; შვრება, იზამს... სტატიკური ზმნები – იცის, უწყის... და გარდაუვალი დინამიკური ზმნები – იქნება, გაეძლება, გაემტყუნება...

III ტიპის ულლებას მივაკუთვნებთ იმ ზმნებს, რომელთაც ყველა მწკრივის ფორმა მოეპოვებათ. ამ ჯგუფში შემოვა მოქმედებითი გვარის ზმნათა ძირითადი ნაწილი...“ (გოგოლაშვილი 2011: 635-641).

ქართული ზმნის ულლების სისტემა სხვაგვარად წარმოდგენია მ. ნიკოლაიშვილს. მისი აზრით, ზმნის კონსტრუქციას ქართულში განსაზღვრავს არა გვარი, როგორც ეს მთელი საუკუნის მანძილზე მიიჩნეოდა და დღესაც მიაჩნიათ, არამედ ზმნის გარდამავლობა. „ჩვენი აზრით, გვარი ქართულში სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია, ზმნის კონსტრუქციებს კი გარდამავლობა განსაზღვრავს. გარდაუვალი ზმნებისათვის დამახასიათებელია მყოფადში -ები / -ება მორფემით წარმოებული ფორმები. მყოფადის ფორმის ჩამოყალიბებამ ერთგვარად განსაზღვრა ზმნის ულლების სისტემები, რომლებიც მკვეთრად გაემიჯნა ერთმანეთს. ეს მოვლენა ფორმების წარმოებაშიც გამოიხატა, რასაც ჩვენ სწორედ -ები/-ება დაბოლოებას ვუკავშირებთ, რომელიც ექნება გარდაუვალ ზმნებს მყოფადში. ამ დაყოფას მე-3 სუბიექტური პირის აღმნიშვნელი მორფემებიც დაექვემდებარა და სხვა მორფემებიც“ (ნიკოლაიშვილი 2012). ავტორი მიიჩნევს, რომ „ქართული ზმნის ულლების სისტემა ორ ძირითად კონსტრუქციას გვიჩვენებს: ცვლადს

და არაცვლად. ხოლო ისინი, თავის მხრივ, სხვა გრამატიკული კატეგორიების გათვალისწინებით, შეიძლება ორ ქვეჯგუფად დაყვით:

**ცვლადი:**

გარდამავალი ზმნები (ხატავს, გრეხს, აშენებს, წერს და ა.შ.);

პოტენციურად გარდამავალი ზმნები (ცეკვავს, ცხოვრობს, ტირის, ჩივის და ა.შ.).

**არაცვლადი:**

გარდაუვალი პირდაპირი წყობის ზმნები (იზრდება, თბება, ეფერება, ემალება და ა.შ.).

გარდაუვალი ინვერსიული წყობის ზმნები (მაქვს, მყავს, მიყვარს, მშია და ა.შ.)“

/ნიკოლაიშვილი 2012/.

ვფიქრობთ, მეცნიერთა ერთი ნაწილის მიერ სამართლიანადაა აღნიშნული, რომ დღემდე არსებული ქართული ზმნური ფორმების დაჯგუფება გვარისა თუ ქცევის კატეგორიების მიხედვით და, შესაბამისად, უღლების ტიპების დადგენაც აღნიშნული კატეგორიებით, ართულებს ქართულ ზმნას, ვინაიდან, ამ „ნიშნებით“ კვალიფიკაციის დროს არსებობს მრავალი გამონაკლისი; ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია ფორმათა გამიჯვნა და, რაც მთავარია, არალოგიკურია ფორმალური პარადიგმა; აღნიშნული პრობლემური სიტუაციიდან გამოსვლის ერთ-ერთი, და ვფიქრობთ, სწორი ცდაა ზმნურ ფორმათა საკლასიფიკაციო ერთეულად ხმოვანპრეფიქსებსა და ზმნურ სუფიქსებზე ორიენტირება.

ჩვენთვის მისაღები და ანგარიშგასაწევია ის მიდგომა, რომელსაც ტ. ფუტკარაძე ავითარებს, კერძოდ კი: „ზმნურ ფორმათა ძირითად საკლასიფიკაციო ერთეულად ავიღოთ **ხმოვანპრეფიქსიანი ზმნური ყალიბი** და არა - რომელიმე მორფოლოგიურ-სინტაქსური, მორფოლოგიური თუ სემანტიკური კატეგორია. თავის მხრივ, ზმნის მოცემული ყალიბის (ზმნის ფორმის) ფუძე შეიძლება მოიაზრებდეს რამდენიმე მორფოლოგიურ თუ სემანტიკურ კატეგორიას. გამომდინარე აქედან, **ქართული ენის მანქანური თარგმანის მოდელირებისას** უნდა მოხდეს მორფოლოგიური ყალიბების მიხედვით აგებული ფორმალური პარადიგმისა და სემანტიკური კონების შეპირისპირება; კერძოდ, ერთ პარადიგმაში გაერთიანებული მსგავსი აგებულების მორფოლოგიური ყალიბებისათვის უნდა დადგინდეს კონკრეტული სემანტიკური ველი. ასეთ შემთხვევაში გაიოლდება მანქანისთვის (პროგრამირებისათვის) „გასაგები“ ლოგიკური ფორმულების /წესების/ გამოყვანა. საგანგებოდ აღვნიშნავ, რომ ზმნის

სრულყოფილ პარადიგმაში უნდა მოვიაზროთ არამხოლოდ უღლების კატეგორიების (დროის, ასპექტის, კილოსა და პირისა და რიცხვის), არამედ ა. შანიძის მიერ ე. წ. წარმოქმნის კატეგორიებად სახელდებული გვარის, ქცევისა და კონტაქტის ფორმებიც“ (ფუტკარაძე 2013: 304).

ქართული ზმნის სრული შესაძლებლობების წარმოსაჩენად ტ. ფუტკარაძე ზმნური ფორმაწარმოების სისტემას სამსაფეხუროვან პარადიგმად წარმოგვიდგენს: „ქართული ზმნური ფორმები **სამი დონის** ისეთ იერარქიულ პარადიგმად შეიძლება წარმოვადგინოთ, სადაც პირველი საფეხურის თითოეული ყალიბი თეორიულად აერთიანებს მეორე დონის ყველა ყალიბს, ხოლო მეორე საფეხურის თითოეული ყალიბი - მესამე დონის ყველა ყალიბს.

**I დონის ყალიბები.** პირველი საფეხურის ფორმები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, ერთი მხრივ, ხმოვანი პრეფიქსები, კაუზატივის ნიშნის, -დ- სუფიქსის პოზიციებით..., მეორე მხრივ; ზმნის ფუძის სემანტიკური ვალენტობითა - ადგილოანობით), დინამიკა-სტატიკით, აქტივით და ზმნით გამოხატული მოქმედების /მდგომარეობის/ მიმართულებით (ზმნაში მოაზრებული შედეგის დანიშნულებით)...

**II დონის ყალიბები.** მეორე საფეხურის ფორმების დიდი ნაწილი ტრადიციულად აღინიშნება "მწკრივის" სახელით; ისინი ერთმანეთისგან ფორმობლივად განსხვავდებიან ზმნისწინებით, თემის ნიშნებით და ზოგ შემთხვევაში, სხვა დამატებითი ნიშნებით (მწკრივის ფორმის სავრცობით თუ ე.წ. მწკრივის ნიშნით), ხოლო სემანტიკურად - დროის, კილოსა და ასპექტის მიხედვით /დასახელებულ სემანტიკურ კატეგორიათა კონკრეტული კომბინაციით/...

**III დონის ყალიბები.** მესამე საფეხურის ფორმები ერთმანეთისგან პირისა და რიცხვის მორფოლოგიური კატეგორიების მიხედვით განსხვავებული ფორმებია; კერძოდ, მესამე დონის ყალიბები (პირობითი სახელწოდებით - პირის ფორმები) ერთმანეთისგან განსხვავდებიან ზმნაში წარმოდგენილი ან ნაგულისხმევი პირების კომბინაციებით (და არა - რაოდენობით), ხოლო სემანტიკურად - მოქმედ და აღმქმელ (განმცდელ) პირ(ებ)ზე ორიენტირებით“ (ფუტკარაძე 2012 : 202-206).

ვგიქრობთ, უკანასკნელი კლასიფიკაცია სრულად ასახავს ქართული ზმნის შესაძლებლობებს.

აღნიშნული სქემით გამოვყავით ზმნათა ჯგუფებიც.

ზმნურიყალიბი	ბრუნ.	პირთა რაოდ.	მოქმ. მიმართ	კაუზატ.	ნებელ.
<b>Iყალიბი</b>					
1.1. /P/-ვ-R-T&P/-მ-R-T-ს	სახ. მოთხ.	2-პირ. 2-ვალ.	ნეიტრ.	უშუალ.	ნებსით ი
1.1.1. ვ-ხატ-ავ&მ-ხატ-ავ-ს					
1.1.2. ვ-R-ე/ი ვ-კბ+ენ/ვ-კბ+ინ-ე					
1.1.3. ვ-კოცნ-ი მ-კოცნ-ი-ს					
1.1.3. შე-ვ-ცქ-ერ-ი					
1.1.4. და-ვ-R-T და+ვ+თამაშ+ებ, და-მ-თამაშ-ებ-ს					
1.2. ვ-ა-R-T&მ-ა-R-T-ს					
1.2.1. ვ-ა-ფუძნ-ებ &მ-ა-ფუძნ-ებ-ს					
1.2.2. ვ-ა-თამად-ებ &მ-ა-თამად-ებ-ს ვ-ა-ტკივ-ებ &მატკივებს (მტკივა) ვ-ა-მღერ-ებ/ მ-ა-მღერ-ებ-ს					
1.2.3. ვ-ა-ღვიძ-ებ& მ-ა-ღვიძ-ებ-ს (მღვიძავს)					
1.2.4. ვ-ა-ქრ-ობ					
<b>IIყალიბი</b>					
2.1. ვ-ა-ხატ-ავ&მ-ა-ხატ-ავ-ს	სახ. მოთხ.	2-პირ. 3-ვალ.	ნეიტრ.	უშუალ.	ნებსით ი
2.2. ვ-ა-თოვ მ-ა-თოვ-ს					
<b>IIIყალიბი</b>	სახ.	2-პირ.	სასხვის.	უშუალ.	ნებსით

<sup>21</sup> იხ. ტ. ფუტკარაძე, ზმნური ყალიბები და მათი სემანტიკური კომპონენტები, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომების კრებული, II, თბ., 2015, გვ. 110-116.

ვ-უ-კეთ-ებ მ-ი-კეთ-ებ-სისმემას	მოთხ.	3-ვალ.	უკუქცევ ითი		ი
<b>IVცალიბი</b>	სახ.	2-პირ. 2-ვალ.	ნეიტრ.	უშუალ.	უნებლი ე
ვ-ე-მწარ-ებ-ი& მ-ე-მწარ-ებ-ა მ-ე-წერ-ებ-ა& ვ-ე-წერ-ებ-ი ვ-ე-ყვარ-ებ-ი& მ-ე-ყუარ-ებ-ა					
<b>Vცალიბი</b>	სახ. მოთხ.	2-პირ. 2-ვალ.	უკუქცევ ითი	უშუალ.	ნებსით ი
ვ-ი-კეთ-ებ ვ-ი-ყუარ-ებ მ-ი-ყუარ-ებ-სისმე					
ვ-ი-ცნ-ობ მ-ი-ცნ-ობ-ს					
<b>VIცალიბი</b>	სახ.	1-პირ. 1-ვალ.	ნეიტრ.	უშუალ.	ნებსით ი
ვ-ქრ-ებ-ი ვ-ი-მალ-ებ-ი ვ-ფუძნ-დ-ებ-ი					
<b>VIIცალიბი</b>	სახ.	1-პირ. 2-ვალ.	ნეიტრ.	უშუალ.	ნებსით ი
ვ-ცეკვ-ავ ვ-თამაშ-ობ					
<b>VIIIცალიბი</b>	სახ.	2-პირ. 2-ვალ.	ნეიტრ.	უშუალ.	ნებსით ი
ვ-ე-მალ-ებ-ი& მ-ე-მალ-ებ-ა					
<b>IXცალიბი</b>	სახ. მოთხ.	2-პირ. 3-ვალ.	ნეიტრ.	შუალ.	ნებსით ი
ვ-ა-კეთ-ებ+ინ-ებ მ-ა-კეთ-ებ+ინ-ებ-ს ვ-ა-ყვარ-ებ მე მას სიცოცხლეს ვ-ა-ყვარ-ებ+ინ-ებ					
<b>Xცალიბი</b>	სახ.	2-პირ. 2-ვალ.	სასხვის. უკუქცევ ითი	უშუალ.	ნებსით ი
ვ-უ-კეთ-დ-ებ-ი მ-ი-კეთ-დ-ებ-ა					
<b>XIცალიბი</b>	სახ.	1-პირ. 1-ვალ.	ნეიტრ.	უშუალ.	თურმ. შედებ.
/გა/ვ-კეთებულ-ვარ ვ-ხატ-ი-ვარ					
<b>XIIცალიბი</b>	სახ.	2-პირ. 2-ვალ.	ნეიტრ.	უშუალ.	თურმ. შედებ.
12.1. /გა/-ვ-უ-კეთ- ებ-ი-ვარ /გა/-მ-ი-კეთ-ებ-ი-ა შევუყვარებივარ შემყვარებია 12.2. შევყვარებივარ შემყვარებია					



<b>XIII</b> ყალიბი	სახ.	2-პირ. 2-ვალ.	ნეიტრ.	შუალ.	უნებლი ე
ვ-ე-კეთ-ებ+ინ-ებ-ი მ-ე-კეთ-ებ+ინ-ებ-ა					
<b>XIV</b> ყალიბი					
მ-ე-მღერ-ებ-ა	მიც.	1-პირ. 1-ვალ.	ნეიტრ.	უშუალ.	უნებლი ე
<b>XV</b> ყალიბი	სახ.	2-პირ. 4-ვალ.	ნეიტრ.	უშუალ.	ნებსით ი
მ-ი-ჭმ-ევ შენ მე საჭმელს ბავშვს					
<b>XVI</b> ყალიბი	ბრუნვაუ ცვლელი	2-პირ. 2-ვალ.	უკუქცევ ითი	უშუალ.	ნებსით ი
ვ-უ-ყვარ-ვარ& მ-ი-ყვარ-ს					
<b>XVII</b> ყალიბი	ბრუნვაუ ცვლელი	2-პირ. 2-ვალ.	უკუქცევ ითი	უშუალ.	ნებსით ი
მ-ა-ქვ-ს					
<b>XVIII</b> ყალიბი	ბრუნვაუ ცვლელი	2-პირ. 2-ვალ.	უკუქცევ ითი	უშუალ.	ნებსით ი
მყავს / ვყავარ					
<b>XIX</b> ყალიბი	მოთხრ.	1-პირ. 2-ვალ.	უკუქცევ ითი	უშუალ.	ნებსით ი
ვ-ი-ც-ი					
<b>XX</b> ყალიბი					
***					

არსებობს ვარაუდი, რომლის მიხედვითაც შეიძლება გამოიყოს შემდეგი ტიპის ზმნები - აკეთებს, ხატავს, წერს, ჭამს, უყვარს, დგას<sup>22</sup>; ტ. ფუტკარაძის ამ ვარაუდის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენ მიერ გამოყოფილი ზმნური ჯგუფები, რომელთაც ვაჯგუფებთ ყალიბების წარმოების მიხედვით. ზმნების ჯგუფების დადგენისას ვიხელმძღვანელებთ ზმნური ყალიბებით. სალექსიკონო მასალა

<sup>22</sup> იხ. ტ. ფუტკარაძე, ზმნური ყალიბები და მათი სემანტიკური კომპონენტები, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომების კრებული, II, თბ., 2015, 110-116.

გადავამოწმეთ დამანა მელიქიშვილის მონოგრაფიას დართული ზმნური ინდექსების (ზმნური ფუძეების) მიხედვით. ინდექსი შეიცავს ინფორმაციას 9000 ზმნური ფუძის შესახებ<sup>23</sup>.

ზმნურ ძირებზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა იმაში, რომ ზმნების დაჯგუფება შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი (მინიმუმ 3, მაქსიმუმ 4) ყალიბის მიხედვით.

ქართული ზმნის ყალიბებია:

1. ერთპირიანი და ერთვალენტიანი პ.ნ. + R + დ + ებ + ი (ვ-კეთ-დ-ებ-ი);
2. ერთპირიანი და ერთვალენტიანი პ.ნ. + ხმ. პ. + R + ებ + ი (ვ-ი-ხატ-ებ-ი);
3. ერთპირიანი და ერთვალენტიანი პ.ნ. + R + ობ//ებ ( ვ-მუშა-ობ; ვ-ბუზღუნ-ებ);
4. ერთპირიანი და ერთვალენტიანი prev + ხმ. პრ. + R + ვარ (გავკეთებულ-ვარ; დავხატულ-ვარ);
5. ორპირიანი და ორვალენტიანი პ.ნ. + ხმ. პრ. + R + ებ ( ვ-ა-კეთ-ებ);
6. ორპირიანი და ორვალენტიანი პ.ნ. + R + ავ//0 (ვ-ხატ-ავ);
7. ორპირიანი და ორვალენტიანი პ.ნ. + ხმ.პ. + R + T (ვ-ი-ხატ-ავ; ვ-ი-კეთ-ებ);
8. ორპირიანი და ორვალენტიანი პ.ნ. + ხმ. პრ. + R + დ + ებ + ი (ვ-უ-კეთ-დ-ებ-ი);
9. ორპირიანი და ორვალენტიანი პ.ნ. + ხმ. პრ. + R + ებ + ი (ვ-ე-ხატ-ებ-ი);
10. ორპირიანი და ორვალენტიანი prev + პ.ნ. + ხმ. პრ. + R + ი + ა (გა-მ-ი-კეთ-ებ-ი-ა);
11. ორპირიანი და ორვალენტიანი პ.ნ. + ხ.პ. + R + ებ + ინ + ებ (ვ-ე-კეთ-ებ-ინ-ებ-ი; ვ-ე-ხატვ-ინ-ებ-ი);
12. ორპირიანი და სამვალენტიანი პ.ნ. + ხ.პ. + R + T (ვ-უ-კეთ-ებ; ვ-უ-ხატ-ავ).
13. ორპირიანი და სამვალენტიანი პ.ნ. + ხ.პ. + R + ებ + ინ + ებ (ვ-ა-კეთ-ებ-ინ-ებ; ვ-ა-ხატვ-ინ-ებ);

კვლევის ამ ეტაპზე, ყალიბების წარმოების მიხედვით, გამოვყოფთ შემდეგ ზმნურ (და არა - ზმნური ფორმების) ჯგუფებს:

<sup>23</sup> იხ. დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, 2001, გვ. 271-346

### 1.6.3. I ჯგუფის ზმნები

ზმნები, რომელთაც ორპირიანი და ორვალენტიანი ყალიბი ეწარმოებათ „ა- — -ებ“ კონფიქსით (პ.ნ. + ხმ. პრ. + R + ებ), ხოლო ერთპირიანი და ერთვალენტიანი ყალიბი -დ სუფიქსით იწარმოება. პირობითად ამ ჯგუფს ვუწოდოთ „ვაკეთებ“ ტიპი .

ამ ჯგუფის ზმნებში გამოვყოფთ ქვეჯგუფებს:

#### ა) საკუთრივ „ვაკეთებ“ ზმნათა ქვეჯგუფი:

ამ ქვეჯგუფის ზმნები, დასახელებულ ყალიბთა გარდა იწარმოებენ ორპირიან და ორვალენტიან უ- ხმოვანპრეფიქსიან ყალიბს. არ ეწარმოებათ ორპირიანი და ორვალენტიანი ე- ხმოვანპრეფიქსიანი ყალიბი (ვეკეთები არ არის რეალიზებული):

**პ.ნ. + ხ. პ. + R + ებ** (ვ-ა-კეთ-ებ მე მას);

**პ.ნ. + R + დ + ებ + ი** (ვ-კეთ-დ-ებ-ი მე);

**პ.ნ. + უ + R + დ + ებ + ი** (ვ-უ-კეთ-დ-ებ-ი მე მას).

აათკეცებს /გა-/; აამებს /და-/; აარსებს-ს /და-/; აასიმილირებს-ს; ააშკარავებს-ს /გამო-/; აბალლასებს-ს /გა-/; აბარებს-ს /ა-, გა-, ჩა-, გადა-/; აბასრებს-ს /გა-/; აბოლებს-ს /ა-,გა-/; აბობნებს-ს /გა-,და-/; აბჟირებს-ს /ჩა-/; აბრუნებს-ს /გა-/; აბრუნებს-ა /და-,მო-,გა-ჩა-,გადა-,მი-,მო-/; აბრძანებს-ს /ა-,და-,შე-მო-,გა-,მი-ჩა-,ჩამო-,წა-,წამო-, გადა- /; აგვარებს-ს /მო-/; აგვიანებს-ს /და-/; აგროვებს-ს /და-,მო-,შე-/; ადგინებს-ს /და-/; ადედებს-ს /შე-/; ადედებს-ს /შე-/; აერთებს-ს /გა-,შე-,მი-,შემო-/; ავითარებს-ს /გან-/; ავრცელებს-ს /გა-/; აზიანებს-ს /და-/; ათავებს-ს /გა-,მო-, გამო-,ჩა-/; ათავსებს-ს /მო-/; ათენებს; აკავებს-ს /და-/; აკეთებს-ს; აკვირებს-ს /და-, ჩა-/; ალაგებს /და-,მი-,მო-,გადა-,გადმო-,ჩა-/; ალდებს-ს /ა-/; /გა-/; ანაწყენებს-ს /გა-/; არიგებს-ს /შე-, მო-/; ანაღებს-ს /გა-/; ანელებს-ს /გა-,შე-/; აჩერებს-ს /შე-,და-/; აბჟირებს-ს /ჩა-/; აფუჭებს /გა-/; აქოთებს-ს /ა-/; აყროლებს-ს /ა-/; აშეშებს /გა-/; აჩერებს-ს /გა-,შე-/; აჩირქებს-ს /და-/; აჩოჩებს-ს /გა-, გადა-, ჩა-,ჩამო-/; აცვივებს-ს; აცვინებს-ს /და-/; აცოცხლებს-ს /და-/; აცოფებს-ს /გა-/; აცოცხლებს-ს/გა-/; აწესებს-ს /და-/; აწვრილებს-ს /ა-,გა-/; აწუხებს /შე-/; აჭაჭანებს /გა-/; აჭენებს /გა-/; ახანებს-ს /და-/; ატყუებს-ს /მო-/; აყოვნებს-ს; აშეშებს; აფეთქებს; აღამებს; აყოვნებს; აჟამებს-ს /და-,ჩა-/; ატარებს-ს /გა-/; ატაროვებს-ს /და-/; ა-მკლავებს-ს /გა-/; აფუჭებს-ს /გა-/; აფხავებს-ს /გა-/; აყროლებს-ს /ა-/; აშეშებს-ს /გა-/; ამვალებს-ს /გა-/; აწინაურებს-ს /და-/; აჭიანურებს-ს /გა-/; ახანებს-ს /და-/.

#### ბ) „ვადულებ“ ზმნათა ქვეჯგუფი:

ამ ქვეჯგუფის ზმნები იწარმოებენ ორპირიან და ორვალენტიან უ- ხმოვანპრეფიქსიან ყალიბს; ასევე, ისეთ ერთპირიან და ერთვალენტიან ყალიბს, რომელსაც პირველ და მეორე პირში მეშველზმნიანი წარმოება აქვს, არ ეწარმოებათ ორპირიანი და ორვალენტიანი ე- ხმოვანპრეფიქსიანი ყალიბი (ვედულები არ არის რეალიზებული):

**პ.ნ. + ხ. პ. + R + ებ** (ვ-ადულ-ებ მე მას);

**პ.ნ. + ხმ. პრ. + R + დ + ებ + ი (ვ-უ-დულ-დ-ებ-ი მე მას);**

**პ.ნ. + R + დ + ებ + ი (ვ-დულ-დ-ებ-ი მე);**

**პ.ნ. + R + ვარ (ვ-დულ-ვარ მე).**

ბობღავ-ს; ბოღავ-ს; ბრწყინავ-ს /გა-/; ბრწყვინავ-ს; ბღავი-ს; ბღუი-ს; გორავ-ს; დუმ-ს; დუნს//დუმდება; დულ-ს; ვაგღახებ-ს; ზუი-ს /და-/; თამთამებ-ს ; თახთახებ-ს; თოვს; თქორავ-ს ; თოთქოლებ-ს; თუი-ს; თუთუნებ-ს; კივი-ს /და-ი/; კნავი-ს /და-ი/ ; კოტავ-ს\* ; კრინავ-ს\* ; კუთავ-ს\* ; პორტყავ-ს; ჟღავი-ს /და-ი/; ჟივი-ს /და-ი/; სივი-ს; სჭეეს/და-/; ტირის; ძღერს; ძღერ-ს ყვირი-ს; ყივი-ს /და-ი,შე-ჰ-/; ყმუი-ს /და-ი,შე-ჰ-/; შხეფ-ს; ჩივი-ს /და-ი,შე-ს-/; ჩხავი-ს /და-ი/; ჩქეფ-ს; წვიმს; წივი-ს /და-ი/; წუხს//წუხდებ-ა /შე-/; ჭყვი-ს; ჭყვი-ს; ხურდებ-ა /გა-,ჩა-/.

**გ) „ვათამაშებ“ ზმნათა ქვეჯგუფი:**

ამ ქვეჯგუფის ზმნები იწარმოებენ ორპირიან და ორვალენტიან უ- ხმოვანპრეფიქსიან, ორპირიან და ორვალენტიან ე- ხმოვანპრეფიქსიან და ერთპირიან და ერთვალენტიან -ობ სუფიქსით ნაწარმოებ ყალიბებს:

**პ.ნ. + ხმ. პრ. + R + ებ (ვ-ა-თამაშ-ებ მე მას);**

**პ.ნ. + ხმ. პრ. + R + ებ + ი (ვ-ე-თამაშ-ებ-ი მე მას);**

**პ.ნ. + R + დ + ებ + ი (ვ-თამაშ-დ-ებ-ი მე);**

**პ.ნ. + ხმ. პრ. + R + დ + ებ + ი (ვ-უ-თამაშ-დ-ებ-ი მე მას).**

ამ ტიპის ზმნები ძირითადად ნასახელარია.

აავდრებს /გა-/; აავადმყოფდებს/და-/; აავკაცებს-ს; აავებს-ს; აათასფერებს-ს; ააღაფებს-ს; აამაყებს-ს; აამპარტავნებს-ს; აამხანაგებს-ს; აანგლებს-ს; აანჩხლებს-ს; აანცებს; აარსებს-ს; აარტისტებს-ს; აარშიყებს-ს; აასპარეზებს-ს; ააქიმებს-ს; ააშიკებს-ს; აბადრაგებს-ს; აბავშვებს-ს; აბაღლებს-ს; ააღერსებს /მი/; აბანაკებს-ს/და-ი/; აბანდიტებს-ს; აბანცალებს-ს; აბარბაცებს ; აბარტყებს-ს; აბედოვლათებს; აბინდებს; აბლუკუნებს; აბობოქრებს-ს; აბოგინებს-ს; აბოღიალებს-ს; აბოროტებს-ს; აბორძიკებს-ს /წა-/; აბაჩუნებს-ს; აბზორიალებს-ს; აბუდებს-ს; აბჟუტურებს-ს; აბუზღუნებს; აბულბულებს; აბურთავებს; აბუტბუტებს; აბღაუჭებს /და-,მო-/; აბღღაძუნებს; აგვიანებს; აგიჟებს-ს; აგონჯებს /და-/; აგორგლებს /და-/; აგრილებს; აგღახაკებს-ს; აგულადებს-ს; აგულდიდებს-ს; აგულოვნებს-ს; აგულზვიადებს-ს\*; აგულთმისნებს-ს და-/; აგულუზვებს-ს; აგულფიცებს-ს; ადიაკვნებს-ს; ადიასახლისებს; ადიდგულებს; ადედოფლებს /გა-/; ადიდგულებს /გა-/; ადუგდუგებს; ადუღუნებს; ადუღღუნებს; ადიდდებს/გა-/; ადინჯდებს /და-/; ადიპლომატებს; ადირიჟორებს; ადიქტატორებს; აექვებს-ს; აექვიანებს-ს; ამეფებს /გა-/; ავაჭრებს; ავაგღახებ-ს; ავაჟკაცებს-ს; ავარჯიშებს-ს; ავაჭრებს-ს; აზანტებს-ს; აზარალებს-ს; აზარაფებს-ს; აზედამხედველებს; აზეიმებს-ს; აზვიადებს-ს; ათავხედებს; ათა(ვ)ებს-ს\*; ათავადებს-ს; ათამაშებს; ათაღლითებს/გა-//ჩა-/; ათუხთუხებს; ათქარუნებს; აკაპასებს; აკავკავებს; აკაკანებს; აკამკამებს; აკასკასებს-ს; აკისკისებს-ს; აკივივიებს-ს; აკირვილებს-ს; აკამკამებს-ს; აკრიჭინებს-ს; აკუტკუტებს-ს; აკუჭკუჭებს-ს აკრიალებს-ს; აკრუტუნებს-ს; აკრუხუნებს-ს; აკუნტრუმებს-ს; აკუსკუსებს; ალაპლაპებს-ს; ალასლასებს-ს; ალაყლაყებს-ს; ალაწლაწებს-ს; ალახლახებს-ს; ალივლივებს-ს; ალიკლიკებს-ს; ალიპლიპებს-ს;

ალიფლიფებს-ს; ალიცლიცებს-ს; ამასხარაებს; ამორჩილებს /და-;/ ამკაცრებს /გა-;/ ამომრავრებს /ა-;/ ამძლავრებს /გა-,მო-;/ ანათებს /გა-;/ აპარპალებს; აპარპარებს; აპარპაშებს; ასრიალებს; აუკადრისებს /გა-;/ ქირობს-ს; აშვილებს; აშველებს /გა-;/ აფიქრებს /და-,ჩა-;/ აჩქარებს; აჩურჩულებს /და-,ჩა-;/ აჩურჩუნებს-ს /გა-;/ აჩუხჩუხებს-ს; ცახცახებს-ს; აცანცარებს-ს; აცუდებს /გა-;/ აცულლუტებს /გა-;/ ამიგმიგებს-ს//ამიგმიგებს-ს; ამაბუნებს /და-;/ ამუნწებს-ს; აწამებს; წანწალებს-ს; წანწკარებს-ს; აწიოკებს-ს; აჭაჭანებს /გა-;/ აჭახჭახებს; აჭიკჭიკებს; აჭაჭანებს-ს; აჭიკინებს-ს; აჭინჭყლებს-ს; აჭირვეულებს-ს; აჭიკჭიკებს-ს /და-,ჩა-;/ ახარბებს-ს; ახასხასებს-ს; ახელმწიფებს /გა-;/ახალისებს-ს; ახანებს-ს; ახრიგინებს-ს; ახვანცალებს-ს; ა-;/ ახმიანებს-ს /გა-;/ ახრიალებს-ს; ახრიტინებს-ს /და-;/ ახრიწინებს-ს /და-;/ ახროტინებს-ს /და-;/ ახრუტუნებს-ს/და-;/ ახურხურებს-ს; აჯიუტებს /გა-;/ აჯიქებს /გა-;/ აჯიუტებს /გა-;/ აჯიქებს /გა-;/ აჯიუტებს-ს; აჯაყჯაყებს-ს; აჯაჯღანებს-ს; აჯიყჯიყებს-ს; აჯიჯინებს-ს; აჯიჯღინებს-ს; აჯლიყინებს-ს; აჯლოყინებს-ს; აჯუჯღუნებს-ს.

**დ) „ვამუშავებ“ ზმნათა ქვეჯგუფი:**

დასახელებულ ყალიბთა გარდა მათ ეწარმოებათ ორპირიანი და ორვალენტური უ-ხმოვანპრეფიქსიანი და ერთპირიანი და ერთვალენტური -ობ სუფიქსით ნაწარმოები ყალიბი, აგრეთვე, ორპირიანი და ორვალენტური ი- ხმოვანპრეფიქსიანი ყალიბი, არა აქვთ ე- ხმოვანპრეფიქსიანი ყალიბი:

**პ.ნ. + ხმ. პრ. + R + ებ (ვ-ა-მუშავ-ებ მე მას);**

**პ.ნ. + ხმ. პრ. + R + დ + ებ + ი (ვ-უ-მუშავ-დ-ებ-ი მე მას);**

**პ.ნ. + R + ობ (ვ-მუშა-ობ მე);**

**პ.ნ. + R + დ + ებ + ი (ვ-მუშავ-დ-ებ-ი მე);**

**პ.ნ. + ხმ. პრ. + R + ებ (ვ-ი-მუშავ-ებ მე მას).**

აბიბინებს; აგვიანებს-ს; აგვიანებს-ს; აგემოვნებს-ს; ადარებს-ს; ავაკებს-ს; ავანებს-ს; აზეპირებს-ს; ათენებს-ს; ანაღვლიანებს /და-;/ ამუშავებს; ასრიალებს-ს; აჩქრიალებს-ს /და-;/ აჩხრიალებს-ს /და-;/ აწკრიალებს-ს.

**ე) „ვამეგობრებ“ ტიპის ზმნათა ქვეჯგუფი:**

დასახელებულ ყალიბთა გარდა მათ ეწარმოებათ ორპირი ანი და ორვალენტური უ-/ე-/ი- ხმოვანპრეფიქსიანი და ერთპირიანი და ერთვალენტური -ობ სუფიქსიანი ყალიბები:

**პ.ნ. + ხმ. პრ. + R + ებ (ვ-ა-მეგობრ-ებ; ვ-ი-მეგობრ-ებ; ვ-უ-მეგობრ-ებ);**

**პ.ნ. + ხმ. პრ. + R + დ + ებ + ი (ვ-უ-მეგობრ-დ-ებ-ი);**

**პ.ნ. + R + დ + ებ + ი (ვ-მეგობრ-დ-ებ-ი);**

**პ.ნ. + R + ობ (ვ-მეგობრ-ობ);**

**პ.ნ. + ხმ. პრ. + R + ებ -ი (ვ-ე-მეგობრ-ებ-ი).**

აამხანაგებს /გა-,და- შე-;/ აბატონებს-ს; აბრუჟებს /და-,გა-;/ ადღეგრძელებს-ს; ადიდებს; ადულაბებს /და-,ჩა-,შე-;/ აერთგულებს; ვათეთრებს; აზაფხულებს-ს; ათეთრებს; ათანაბრებს /გა-;/

ათანასწორებს /გა-;/ ათაყვანებს /გამო-;/ ათახსირებს /გა-;/ ათბუნებს; ათხელებს /გა-;/ ამოყვრებს; ამეგობრებს; ამყარებს; აგრილებს; აგრძელებს /და-,გა-, წა-,ჩა-,გამო-;/ ამართლებს; ამართოვებს; ამზადებს /მო-,გა-;/ ამკვეთრებს/გა-;/ ამკვირვებს/და-,გა-;/ ამკრთალებს/გა-;/ ამლაშებს /და-;/ ამონებს /და-;/ ამორჩილებს /და-;/ ამოყვრებს /და-;/ ამზახლებს; ამიწებს-ს /და-;/ ამიჯნურერებს /გა-, შე-;/ ამჟავებს; ამრთელებს; ამტვერებს; ამყარებს /და-,გა-;/ ამშრალებს /გა-,შე-;/ ამჩატებს /ა-,გა-;/ ამცირებს1 /და-;/ ამცირებს2 /შე-;/ ამცირებს; ამმაფრებს /გა-;/ ამეზობლებს; ამწარებს /გა-,და-;/ ამწარებს; ამწვავებს /გა-;/ ამწვანებს-ს; ანათესავებს /და-;/ ანაზებს /გა-;/ ანაძლევებს; აორგულებს /გა-;/ აორებს; არბილებს; ართულებს; ასახლებს /და-;/ ატკბილებს; აშავებს; აცივებს; აცხელებს; აძვირებს-ს\*; აძნელებს /გა-,ა-,და-;/ აყვითლებს; აწებებს/და-;/ აწითლებს; აჭარბებს-ს.

#### 1.6.4. II ჯგუფი ზმნები

ზმნები, რომელთა ორპირიანი და ორვალენტიანი ყალიბი ა- — -ობ ან ა- — -ენ კონფიქსითაა ნაწარმოები. ამ ჯგუფის ზმნებს ეწარმოება ერთპირიანი და ერთვალენტიანი უნიშნო (უპრეფიქსო და უსუფიქსო) ყალიბი.

აქაც გამოიყოფა რამდენიმე ქვეჯგუფი; კერძოდ:

##### ა) „ვახმოზ“ ზმნათა ქვეჯგუფი:

ამ ქვეჯგუფის ზმნები იწარმოებენ ა-/ი-/უ- ხმოვანპრეფიქსიანი ორპირიან და ორვალენტიან, აგრეთვე უხმოვანპრეფიქსო ერთპირიან და ერთვალენტიან ყალიბებს:

**პ.ნ. + ხ.პ. + R +ობ (ვ-ა-ხმ-ობ მე მას; ვ-ი-ხმ-ობ მე მას);**

**პ.ნ. + ხმ. პრ. + R + ებ + ი (ვ-უ-ხმ-ებ-ი მე მას);**

**პ.ნ. + R + ებ + ი (ვ-ხმ-ებ-ი მე);**

ახმოზს /გა-/ ; ადნობს-ს /და-;/ ადრკობს-ს /შე-;/ აზრობს-ს /და-;/ ათბობს-ს /გა-;/ ათრობს-ს /და-;/ აკრთობს-ს /შე-;/ ალბობს-ს /და-;/ ალპობს-ს /და-;/ ალტობს-ს /და-;/ ალღობს-ს /გა-;/ ალხვობს-ს /გა-;/ აფრთხობს-ს /და-;/ აქრობს-ს /და-,გა-,ჩა-;/ აშთობს-ს /მო-;/ აშრობს-ს /გა-,შე-;/ აცხობს-ს /გამო-,და-;/ აცხრობს-ს /გამო-,და-,შე-;/ აძრობს-ს /მო-,გა-, გადა-,გადმო-,წა-;/ ახმოზს-ს /გა-,გადა-;/ აწყობს; აჭკნობს; აჭნობს; ატკობს; აქრობს; აშთობს.

##### ბ) „ვამკობ“ ზმნათა ქვეჯგუფი:

ამ ქვეჯგუფის ზმნები იწარმოებენ ორპირიან და ორვალენტიან ა-/ი- ხმოვანპრეფიქსიან და ერთპირიან და ერთვალენტიან ი- ხმოვანპრეფიქსიან ყალიბებს:

**პ.ნ. + ხ.პ. + R +ობ (ვ-ა-მკ-ობ მე მას; ვ-ი-მკ-ობ მე მას);**

**პ.ნ. + ხ.პ. + R +ობ-ი (ვ-ი-მკ-ობ-ი მე).**

ამკობს-იმკობა; აწრთობს-იწრთობა; ამხობს-იმხობა.

**გ) „არჩენს“ ზმნათა ქვეჯგუფი :**

ამ ქვეჯგუფის ზმნები იწარმოებენ ა- — -ენ კონფიქსიან ა-/ი-/უ- ორპირიან და ორვალენტიან, აგრეთვე უხმოვანპრეფიქსო ერთპირიან და ერთვალენტიან ყალიბებს:

**პ.ნ. + ხ.პ. + R + (ვ-ა-რჩ-ენ მე მას; ვ-უ-რჩ-ენ მე მას);**

**პ.ნ. + ხმ. პრ. + R + ებ + ი (ვ-უ-რჩ-ებ-ი მე მას);**

**პ.ნ. + R + ებ + ი (ვ-რჩ-ებ-ი მე).**

არჩენს /და-, ჩა-, ჩამო-/; ამვრენს /მი-, შე-, ჩა-, გადა-/; აცდენს; არცხვენს / შე-/; ახდენს-ს /მო-,წა-/; აწვდენს; აბზენს-ს /ამო-/; აბ(რ)ჯენს-ს /და-/; აბჩენს-ს /და-/; აზრზენს-ს /შე-/; აღრჭენს-ს /და-/; აშთენს-ს /და-/; აცდენს-ს /გა-,შე-,მო-/; ამვრენს-ს /გა-,გამო-,გადა-/; აწვდენს-ს /მი-,მო-, ჩა-,გადა-/; ჰფენს /მო-,და-,გამო-,გადა-,გადმო-,მი-ა-/; აწვენს /მი-, მო, და-, ჩა-, გადა-/; ძვრება- /გა-,გამო-, შე-,გადა-,გადმო-, და-\*,მი-\*,მო-\*/; ძღება- /გა-/; აფრენს-ს /გა-/; ცვივდება-//ცვინდება- /და-/.

**გ) „ვადგენ“ ზმნათა ქვეჯგუფი :**

ამ ქვეჯგუფის ზმნები იწარმოებენ ა- — -ენ კონფიქსიან და უ- ხმოვანპრეფიქსიან ორპირიან და სამვალენტიან ყალიბებს, აგრეთვე ეწარმოება -დ სუფიქსიანი ერთპირიანი და ერთვალენტიანი ყალიბი:

**პ.ნ. + ხ.პ. + R + (ვ-ა-დგ-ენ მე მას);**

**პ.ნ. + ხმ. პრ. + R + ენ (ვ-უ-დგ-ენ მე მას მას);**

**პ.ნ. + ხ.პ. + R + დ-ებ-ი (ვ-უ-დგ-ინ-დ-ებ-ი მე მას).**

ადგენს; ავლენს; აცვენს; აფრენს; აჩენს.

**1.6.5. III ჯგუფის ზმნები**

მესამე ჯგუფში ვაერთიანებთ ზმნებს, რომელთაც ეწარმოებათ ი- ხმოვანპრეფიქსიანი ერთპირიანი და ერთვალენტიანი და ე- ხმოვანპრეფიქსიანი ორპირიანი და ორვალენტიანი ყალიბები:

**პ.ნ.+ ი + R + ებ + ი (ვ-ი-ხატ-ებ-ი მე);**

**პ.ნ.+ ე + R + ებ + ი (ვ-ე-ხატ-ებ-ი მე მას).** პირობითად ამ ჯგუფს ვუწოდეთ „ვხატავ“ ტიპი;

ამ ჯგუფის ზმნებშიც გამოიყოფა ქვეჯგუფები:

**ა) საკუთრივ „ვხატავ“ ტიპის ზმნათა ქვეჯგუფი:**

დასახელებული ყალიბების გარდა ამ ტიპის ზმნებს ეწარმოება ორპირიანი და ორვალენტიანი უხმოვანპრეფიქსო და ორპირიანი და სამვალენტიანი ა- ხმოვანპრეფიქსიანი ყალიბები:

**პ.ნ. + ხ.პ. + R + T + ი (ვ-ი-ხატ-ებ-ი მე);**

**პ.ნ. + ხ.პ. + R + T + ი (ვ-ე-ხატ-ებ-ი მე მას);**

**პ.ნ. + R + T (ვ-ხატ-ავ მე მას);**

**პ. ნ. + ხ.პ. + R + T (ვ-ა-ხატ-ავ მე მას მას).**

ბალთავ-ს /და- /; ბანდავ-ს /და- /; ბარავ-ს /და-,ჩა-,გამო- /; ბარგავ-ს /ა-,ჩა-, გადა- /; ბარდავ-ს /გა- /; ბარჯღავ-ს /გა- /; ბაწრავ-ს /გა- /; ბუმბლავ-ს /გა- /; ბეგვავ-ს /და- /; ბელავ-ს /გადა-, და- /; ბედავ-ს /გა-,შე- /; ბერავ-ს /გა-,ჩა-, შე-უ-, /; აბერტყავ-ს /და-,მი- /; ბეჭდავ-ს /და-,ჩა-, გადა-,გადმო-,ამო- /; ბზარავ-ს /გა-,და- /; ბილწავ-ს /წა-,შე- /; ბლანდავ-ს /და-,გა- /; ბოლავ-ს /გა-,შე- /; ბურტყლავ-ს /გა- /; ბურღავ-ს /გა- /; ბურმგლავ-ს /გა- /; ბუმგავ-ს /გა- /; ბღენძავ-ს /გა- /; ბღუჯავ-ს /მო-,ჩა- /; გუდავ-ს /გა-,მო- /; გაჯავ-ს /შე- /; დაღავ-ს /და- /; დგამ-ს /და-,მი-,მო-,ა-, გადა-,გადმო-,ჩა-,შე-,შემო-,წა-,ჩამო- /; დორბლავ-ს /და- /; ვერცხლავ-ს /შე- /; თარსავ-ს /და- /; თაფლავ-ს /და-,მო- /; თელავ-ს /გა-,გადა-,მო- /; თიბავ-ს /გა-,გადა-,მო- /; თესავ-ს /და- /; იფხატავ-ს /ჩამო- /; აკაწრავ-ს /და-,ამო- /; კეტავ-ს /ჩა-,და-,მო-,მი-,გამო- /; კაზმავ-ს /მო-,შე-, აღ- /; კემსავ-ს /და-,ამო- /; კენკავ-ს /ა-,გა-,მი-,მო- /; ყუყავ-ს /და-,მი-,მო- /; კეცავ-ს /გა-,და-, შე-,მი-,მო-,გადა-,გადმო-,ჩა- /; კვანძავ-ს /გა-,გამო- /; კენკავ-ს /ა-, ამო- გა-,და-, გამო- /; ხერხავ-ს კვეცავ-ს /შე-,მო-,აღ-,წა- /; კოჭავ-ს /გა- /; კრულავ-ს /და- /; კრავ-ს /შე-,გამო-,გა- /; ჰ-კრავ-ს1 /გა-,და-,გადა-,ჩა-,მი-,მო-,გამო- /; ჰ-კრავ-ს2 /მო- /; ლამბავ-ს /და-,მი-,მო- /; ნასკვავ-ს /გა-,გამო- /; ნაღმავ-ს /და- /; ნაცრავ-ს /და- /; ნაყავ-ს /და-,ჩა-, ამო- /; ნახავ-ს /მო-,გამო- /; ნერგავ-ს /და-,ჩა-,გადა-,გადმო- /; ნთქამ-ს /და-,ჩა-,შთა- /; პენტავ-ს /გა-,და- /; პერტყავ-ს /გა- /; პლომბავ-ს /და- /; პოხავ-ს /გა-, გადა- /; პუდრავ-ს /გა- /; პუტავ-ს /გა- /; ყუყავ-ს /და- /; ართავ-ს /და- /; არგავ-ს /და-,ჩა-,გადა- /; არეკავ-ს1 /და- /; არეკავ-ს2 /გა-,ჩა-,გადა-,ა-, გადმო- /; არეცხავ-ს /გა-,გადა-,გამო-,ჩა-,ჩამო- /; ართავ-ს1 /მო- /; ართავ-ს2 /ჩა-,გამო-გადა- /; რითმავ-ს /გა- /; რისხავ-ს /გა-,შე- /; კირავ-ს /ჩა- /; არტყამ-ს /და- /; არქვამ-ს /არქმევ-ს /და- /; სანთლავ-ს /გა- /; სრუტავ-ს /ამო-,შე-,გამო- /; ასხამ-ს /და-,ჩა-,მი-,მო-,ამო-,გადა-,გადმო-,შე-,შემო-,ჩამო-, წა- /; ასახავ-ს /ა-,და-,გამო-, ჩა-, წარმო- /; სვამ-ს1 /შე- /; სვამ-ს2 /და- /; უსვამ-ს /უსმევ-ს /წა-, მო-,გადა-, ჩა-,გადმო-, ჩამო-,ა- /; ატევ-ს /და-,შე- /; ს-ძლევ-ს /და- /; ს-წევ-ს /ა-,გა-, გადა- /; ასინჯავ-ს /გა-,მო-,გადა- /; ფარჩხავ-ს /გა- /; ფერავ-ს /და-,შე-,გადა- /; ფერთხავ-ს /გა-,და-,გადა-,ჩამო- /; ფერფლავ-ს /და-,ჩა- /; ფილტრავ-ს /გა- /; ფისავ-ს /გა- /; ჰ-ფიფქავ-ს /და- /; ჰ-ფიცავ-ს /შე- /; ფიცრავ-ს /გა- /; ფლავ-ს /და-,ჩა-,მი- /; ფლანგავ-ს /გა- /; ფურცლავ-ს /გადა-,ჩა-,და-,გამო- /; ფუმავ-ს /ჩა-,და- /; ფქვავ-ს /და-,ჩამო-, გამო- /; ქარგავ-ს /და-,მო-, ამო-,ჩა- /; ქაფავ-ს /ჩა-,მო- /; ქაჩავ-ს /ა-,და-,გა-,მო-,გადა-,გამო-,ჩა- /; ქერქავ-ს /გა- /; ქექავ-ს /ა-,გა-, გამო-,გადა-,გადმო- /; ქვითავ-ს /და-,გა- /; ქინდრავ-ს /ჩა- /; ქირდავ-ს /გა- /; ქლიბავ-ს /გა-,ჩა-,გამო- /; ქობავ-ს /შემო- /; ლებავ-ს /შე-,გადა- /; ლერღავ-ს /გა-,ამო- /; ლობავ-ს /გა-,შე-, შემო-,გადა-,ჩა- /; ღრანჯავ-ს /და- /; ღრუბლავ-ს /მო- /; ღუნავ-ს /გა-,მო-, გადა-,გადმო- /; ჩარხავ-ს /გა-,გამო- /; ჩაჩხავ-ს /გა- /; სხლავ-ს /გა- /; უკრავ-ს /და- /; ფლავ-ს /და-,ჩა- /; წნავ-ს /და-,გადა-,ჩა-,მო- /; ხნავ-ს /და-,მო- /; ხშავ-ს /და- /; არტყამ-ს /და- /; ასხამ-ს; ადგამ-ს; აჭერ-ს /და-,მი-,მო-,ჩა-,წა-,გადა- /; აჭმევ-ს /- ,შე- /; ახევ-ს /გა-,და-,ჩა-,გადა-,გამო-



,ჩამო-,შემო-ა-; ახვევ-ს /შე-,გა-,გამო-; აჰ-ხვევ-ს /გადა-; აჭექყავ-ს /და-,გა-,ჩა-,მი-,ამო-,ა-; ახატავ-ს /და-,გადა-,ჩა-,გამო-,მო-,მი/ ; ახვეტავ-ს /გა-,გადა-,და-,ჩა-,გამო-; ხოცავ-ს1 /და-,ამო-,ჩა-,წარ-; ახოცავ-ს2 /მო-,გამო-,შე-ა/.

**წარმოდგენილ ქვეჯგუფში ერთიანდება პ.ნ. + R+ ავ/ევ/ამ; პ.ნ. +ხ.პ. +R+ ავ/ევ/ამ ყალიბის მქონე ზმნები.**

**ბ) „ვზიდავ“ ტიპის ზმნათა ქვეჯგუფი:**

ამ ტიპის ზმნებს ეწარმოებათ ორპირიანი და ორვალენტიანი ი- ხმოვანპრეფიქსიანი ყალიბი და არ ეწარმოებათ ორპირიანი და სამვალენტიანი ა- ხმოვანპრეფიქსიანი ყალიბი /ვ-ა-ზიდ-ავ - არ არის რეალიზებული/ :

**პ.ნ.+ ი + R + ებ + ი (ვ-ი-ზიდ-ებ-ი მე);**

**პ.ნ.+ ე + R + ებ + ი (ვ-ე-ზიდ-ებ-ი);**

**პ.ნ. + ხ.პ. R + T (ვ-ი-ზიდ-ავ).**

ბასრავ-ს /და-,გა-,გადა-; ჰ-ზამავ-ს /მი-,წა-; ბომბავ-ს /და-; ბოჭავ-ს /შე-,მო-; ბრაწავ-ს /და-,შე-; ბუგავ-ს /და-,გა-; ბურავ-ს /და-,გადა-,ჩამო-,შემო-; ბურდავ-ს /ა-,და-,გა-; განგლავ-ს /ამო-,გა-; გეგმავ-ს /და-; გერშავ-ს /და-; გესლავ-ს /და-; გეშავ-ს /და-; გლინავ-ს /და-; გმანავ-ს /და-; გმირავ-ს /გა-; გოზავ-ს /და-,შე-; დაგავ-ს /და-; ზარავ-ს /შე-; ზეთავ-ს /და-; ზვერავ-ს /და-; ზიდავ-ს /გა-,მო-,ჩა-მი-,შემო-,შე-გადა-,გადმო-; ზოგავ-ს /და-; ზომავ-ს /გა-,მო-,ა-; ზურგავ-ს /და-; ზღუდავ-ს /შე-,მო-; თანგავ-ს /გა-; თარგავ-ს; თენთავ-ს /და-,მო-; თვალავ-ს /გა-; თოკავ-ს /გა-; თოფავ-ს /და-; თოშავ-ს /გა-; თხზავ-ს /შე-; თხზავ-ს /შე-; გან-იზრახავ-ს; გან-იკითხავ-ს ; იმჯილავ-ს /ჩა-; ინახავ-ს /შე-,შემო-,გადა-; ირეკლავ-ს /ა-; იტატავ-ს /ა-; იფიცავ-ს /და-; იცავ-ს /და-; იჭმუხავ-ს /შე-; გან-იხილავ-ს /მიმო-; იხილავ-ს /გან-; იხოკავ-ს /მო-; იხოცავ-ს /მო-,გამო-; იხუტავ-ს /ჩა-; იჯიბავ-ს /ჩა-; კაკლავ-ს /ჩა-; კალავ-ს /მო-; კარგავ-ს /და-,მი-, მო-,გადა-; კარკლავ-ს /გადმო-; კაფავ-ს /გა-,ა-, გამო-,ჩა-; კაწრავ-ს /და-,გა-, ამო-; კენწლავ-ს /ა-,გა-; კენჭავ-ს /ა-; კერავ-ს /შე-,გა-,გამო-; კვანწავ-ს /ჩა-,და-; კვებავ-ს /გა-,გამო-; კვერავ-ს /გა-,გამო-; კვერცხავ-ს /და-,ჩა-; ჰ-კითხავ-ს /და-,მო-,გამო-; კილავ-ს /გა-; კინძავ-ს /ა-,შე-; კიცხავ-ს /გა-; კმაზავ-ს /შე-; კოდავ-ს /და-; კიბავ-ს /მი-,მო-, ა-,ჩა-; კონკავ-ს /და-; კოქსავ-ს /და-; კრუნჩხავ-ს /და-,მო-; კრძალავ-ს /ა-,და-; კუმშავ-ს /შე-,მო-,და-; კუნტავ-ს /მო-,ჩა-; კუპრავ-ს /და-,მო-, გამო-; კუწავ-ს /და-,ა-; ლაგმავ-ს /ა-; ლანდავ-ს /და-,მო-; ლანძღავ-ს /გა-,და-,გამო-; ლეკავ-ს /წა-,გადა-; ლესავ-ს1 /გა-,შე-,ამო-,გადა-; ლესავ-ს2 /ა-,გა-; ლექსავ-ს /გა-; ლეწავ-ს /გა-; ლოკავ-ს /გა-,მო-; ლოცავ-ს /და-,მი-უ-,მო-უ-,გამო-უ-; ლულავ-ს /მი-/ლურსავ-ს /და-; ლურსმავ-ს /და-; მალავ-ს /და-,ჩა-; მი-,გადა-; მანჭავ-ს /და-; მარგლავ-ს/გა-,გამო-; მართავ-ს /ა-,აღ-,გა-,შე-,მი-,მო-; გან-მარტავ-ს; მარცვლავ-ს /და-,გამო-; მარხავ-ს /და-,ჩა-,გადა-; მდულრავ-ს /და-; მიზნავ-ს /გა-; მიჯნავ-ს /გა-; მი-ჰ-კიბავ-ს ; მოჰკიბავ-ს ; მურავ-ს /გა-,შე-; მუსრავ-ს /შე-; მუჭავ-ს /და-,მო-; მწვადავ-ს /გამო-; მწყემსავ-ს /და-; მჭვარტლავ-ს /გა-; ნაკვთავ-ს /გამო-,ჩამო-; ნამავ-ს /და-; ნაბავ-ს /გა-,მი-; ნესტრავ-ს /და-; ნისლავ-ს /და-; ნიღბავ-ს /შე-; ნიშნავ-ს /და-,ჩა-, მო-; ნიჩბავ-ს ; ნომრავ-ს /და-,გადა-; ორთქლავ-ს /და-,ჩა-; პარსავ-ს /გა-,გადა-,მო-,გამო-; პრაწავ-ს /და-; პრუწავ-ს/მო-; ჟღენტავ-ს//დღინთავ-ს /გა-; რაზავ-ს /გადა-,ჩა-; რაზმავ-ს /და-; რაგავ-ს /შემო-; რანდავ-ს /გა-; რისხავ-ს; რიყავ-ს /გამო-,გა-; რიცხავ-ს /გა-

,გადა-,გამო-,ჩა-,და-;/ როზგავ-ს /გა-;/ როშავ-ს /წამო-;/ რუჯავ-ს /გა-;/ რჩილავ-ს /და-;/ რწყავ-ს /მო-,ა-,გადა-;/ რეკავ-ს1 /და-,გადა-,გადმო-;/ ქექავ-ს /გა-,გადა-;/ აცქვეტ-ს /და-;/ ძახავ-ს /და-;/ ხიბლავ-ს /მო-;/ ხიდავ-ს /გა-,ჩა-;/ ხიკავ-ს /ა-,მო-;/ სერავ-ს /და-,გა-,გადა-, გადმო-,შემო-;/ სეტყვავ-ს /და-;/ სტამბავ-ს /და-/ ; სუდრავ-ს /შემო-,შე-;/ სულავ-ს /და-;/ სუნავ-ს /და-,ჩა-;/ სუსხავ-ს /და-;/ სუტავ-ს /გამო-;/ სრავ-ს /მო-;/ საზღვრავ-ს /და-,გან-,შემო-/ ; სალტავ-ს /და-,გადა-, შემო-;/ სხეპავ-ს//სხიპავ-ს /გა-,შე-;/ ტენავ-ს//ტენი-ს /და-,გა-, გამო-,ჩა-;/ ტოპავ-ს /გა-;/ ღეჭავ-ს /და-,გა-გადა-;/ ღვედავ-ს /და-,მო-;/ ტანჯავ-ს /და-,გა-;/ ტვირთავ-ს /და-,ჩა-, გადა-,გადმო-;/ ტიხრავ-ს /გა-,გადა-;/ ტკეცავ-ს /და-,გა-;/ ტორავ-ს /და-;/ ტუქსავ-ს /და-;/ ტყლარჭავ-ს /გა-;/ უცავ-ს /და-/ ; უცარავ-ს /მო-;/ ფანტავ-ს /გა-,და-, ჩა-;/ ფარცხავ-ს /ჩა-,და-,მო-/ ფარავ-ს /და-,გადა-;/ ფატრავ-ს /გა-,გამო-;/ ფაშავ-ს /გა-,გამო-;/ ფაშვავ-ს /გამო-;/ ფლატავ-ს /გამო-;/ ფოცხავ-ს /მი-,მო-, ჩამო-;/ ფრჩხილავ-ს /და-;/ ქანცავ-ს /და-,გამო-;/ ქვაბავ-ს /გამო-;/ ქოლავ-ს /ჩა-;/ ქონავ-ს /გა-;/ ქოქავ-ს /და-,ჩა-;/ ქრთამავ-ს /მო-;/ ქსაქსავ-ს /და-;/ ქსელავ-ს /და-,ჩა-,ჩამო-;/ ქურდავ-ს /გა-;/ ქუსლავ-ს /და-;/ ქუშავ-ს /მო-;/ ქუცავ-ს /გა-;/ ღარავ-ს /და-,ჩა-, ამო-,შემო-ჩამო-;/ ღუპავ-ს /და-;/ ყაჭავ-ს /და-;/ ყვინთავ-ს /ჩა-,ამო-;/ ჰ-ყინავ-ს /გა-,მო-;/ ყლაპავ-ს /გადა-,ჩა-;/ ყლურწავ-ს /გადა-;/ ყნოსავ-ს /და-,ჩა-;/ შანთავ-ს /და-;/ შაშრავ-ს /და-;/ შიბავ-ს /და-;/ შლამავ-ს /ჩა-,მო-;/ შოტავ-ს /გა-;/ შუშავ-ს /მო-,ჩა-,გამო-;/ შუშხავ-ს /და-;/ შტამპავ-ს /და-;/ შხამავ-ს /მო-;/ შხლართავ-ს /გა-;/ ჩავრავ-ს /და-;/ ართვამ-ს /მი-;/ ართმევ-ს /მი-;/ს-წირავ-ს /შე-;/ ძგიბავ-ს /გა-;/ ძენძავ-ს /და-,ჩამო-;/ შიფრავ-ს /გა-;/ შობ(ავ)-ს ; ჩეკავ-ს /გამო-,და-;/ ჩენჩავ-ს /და-;/ ჩეჩქავ-ს/გა-,და-;/ ჩეხავ-ს /გა-,და-;/ ჩითავ-ს /და-;/ ჩირავ-ს /გა-;/ ჩქმალავ-ს /მი-;/ ჩხაბავ-ს; ჩხაპავ-ს /და-;/ ჩხიბავ-ს; ჩხირავ-ს /გა-,გამო-;/ ცელავ-ს/გა-,მო-, გადა-,შემო-;/ ცეცხლავ-ს ჩა-;/ ცეხავ-ს /და-;/ ცვარავ-ს /და-,შე-;/ ცინცლავ-ს/და-;/ ს-ცოდავ-ს /შე-;/ ცოცხავ-ს /და-,გამო-;/ გა-ცურავ-ს; ცრემლავ-ს /ა-, და-;/ ცხრილავ-ს /და-,გა-;/ ძაბრავ-ს /და-;/ ს-ძალავ-ს /და-,გამო-;/ ძარცვავ-ს /გა-;/ ძემგავ-ს /გა-,გადა-/ ; ძემვავ-ს /და-;/ ძრახავ-ს /და-;/ წალავ-ს /მო-,გამო-;/ წალდავ-ს /გამო-,გა-;/ წამლავ-ს /მო-,შე-,და-;/ წარბავ-ს /და-;/ წებავ-ს /გა-,შე-,შემო-;/ წეწავ-ს /ა-,გა-,და-,გამო-;/ წვავ-ს/და-,შე-,მო-,გადა-;/ წველავ-ს/მო-,გამო-,ჩამო-;/ წვერავ-ს/და-,ამო-, შე-,გადა-;/წიდავ-ს /და-;/ წინდავ-ს /და-;/ წინწკლავ-ს/და-,მო-,ჩამო-;/ წიხლავ-ს /და-,ჩა-;/ წვიპავ-ს /გა-/ ; წონავ-ს /ა-;/ წრუპავ-ს /მო-,ამო-, გამო-;/ წრუტავ-ს /მო-,ამო-,გამო-;/ წუწავ-ს /გა-,მო-,ამო-;/ წუმპავ-ს /ამო-;/ წყლავ-ს /მო-;/ წყლავ-ს /მო-/ ჭვალავ-ს /გა-,შე-;/ ჭედავ-ს /გა-,და-,გადა-;/ ჭიმავ-ს /ა-,და-გა-ამო-, გადა-;/ ჭირხლავ-ს /და-;/ ჭმუხნავ-ს /მო-;/ ჭორავ-ს /გა-,მო-;/ ჭუტავ-ს /და-,მო-,ჩა-,წა-;/ ხაზავ-ს /და-,გადა-, მო-,გა-;/ ხანჯლავ-ს /და-;/ ხარკავ-ს /და-,მო-;/ ხარჯავ-ს /და-,მი-,მო-,გადა-;/ ხარშავ-ს /მო-,გადა-,ჩა-/ ; ხაშმავ-ს /და-;/ ხერგავ-ს /ჩა-,გადა-,და-,შემო-/ ; ხიზნავ-ს /გა-,გამო-;/ ხილავ-ს /გა-;/ ხლართავ-ს /გა-,და-;/ ხოკავ-ს /მო-;/ ხორკლავ-ს /და-;/ ხოტრავ-ს /გა-,გადა-;/ხრამავ-ს /და-,გამო-,ჩა-;/ ხუთავ-ს /და-,ჩა-,გამო-;/ ხუნძლავ-ს /და-,შე-,ა-;/ ჰ-ხურავ-ს /და(ა)-,წა(ა)-,მო(ა)-;/ ხუფავ-ს /და-,მო-;/ ხუჭავ-ს /და-,მო-,მი-,ჩა-,წა-;/ ჯაგავ-ს /გა-;/ ჯაგნავ-ს /ა-;/ ჯარავ-ს /და-,მი-,მო-;/ ჯაჭვავ-ს /გა-,შე-,გადა-,შემო-;/ ჯეგავ-ს /გა-,გადა-;/ ჯგიმავ-ს /გა-/.

**გ) „ვამჩნევ“ ზმნათა ქვეჯგუფი:**

ამ ტიპის ზმნებს ეწარმოება ორპირიანი და ორვალენტიანი ი- ხმოვანპრეფიქსიანი და ორპირიანი და ორვალენტიანი ა- ხმოვანპრეფიქსიანი ყალიბი:

**პ.ნ. + ხ.პ. + R + T + ი (ვ-ი-მჩნ-ევ-ი მე);**

**პ.ნ. + ხ.პ. + R + T + ა (მ-ე-მჩნ-ევ-ა მე ის);**

**პ. ნ. + ხ. პ. + R + T (ვ-ი-მჩნ-ევ მე მას);**

**პ. ნ. + ხ. პ. R + T (ვ-ა- მჩნ-ევ მე მას).**

აბამ-ს /და-;/ აბნევ-ს1 /გა-,და-,მი-,მო-,ჩა-;/ აბნევ-ს2 /და-;/ აბნევ-ს /მი-,მო-;/ აზღვევ-ს /და-;/ ათევ-ს /გა-;/ ათრევ-ს /გა-,წა-;/ ათხევ-ს /და-;/ აკმევ-ს /მო-,და-;/ ალევ-ს1 /გამო-,გა-,და-;/ და-ლევ-ს2; ამზღვევ-ს /და-;/ ამზღვრევ-ს /ა-;/ ამთხვევ-ს1 /და-;/ ამთხვევ-ს2 /შე-;/ ამსხვრევ-ს /და-,მი-,მო-,ჩა-;/ ამტვრევ-ს /და-;/ ამქვლევ-ს /ჩა-;/ ამქრევ-ს /და-;/ ამღვრევ-ს /ა-,შე-;/ ამშევ-ს /და-,მო-;/ ამჩნევ-ს1 /და-;/ ამჩნევ-ს2 /შე-;/ ამცქვრევ-ს /მო-;/ ამწყვდევ-ს /და-,მი-,მო-;/ ამწყვრევ-ს /და-;/ ანგრევ-ს /და-,გა-,მი-;/ გამო-,ჩამო-,გადმო-;/ ანთხევ-ს /და-,გადმო-;/ ანჩქლევ-ს /ა-;/ ანჩქრევ-ს /შე-;/ ანძრევ-ს /გა-,შე-,და-;/ ანჯღრევ-ს /და-,გა-;/ აპნევ-ს /და-,მი-,მო-, გადა-;/ არბევ-ს /და-;/ ართმევ-ს1 /წა-,გამო-,ჩამო-;/ ართმევ-ს2 /მი-,მო-;/ ართხამ-ს /გა-;/ არკვევ-ს /გამო-, გა-;/ არქმევ-ს /და-;/ არღვევ-ს /და-,მო-;/ არყევ-ს /შე-,მო-;/ არჩევ-ს /და-,გა-,შე-,გადა-,გამო-;/ არწევ-ს /და-,გადა-;/ არწყევ-ს /-,და-,გადმო-,მი-,მო-;/ არხევ-ს /და-,შე-,გა-;/ ასევ-ს /და-,მი-,შე-,შემო-;/ აფრქვევ-ს /და-,გადა-,გადმო-;/ აქნევ-ს /და-,გა-,ჩა-,გამო-;/ აქშევ-ს /გა-,გამო-;/ აქცევ-ს1 /გა-,გამო-;/ აქცევ-ს2 /და-,გადო-, წა-,ჩა-;/ აქცევ-ს3 /მი-,მო-;/ აღწევ-ს /და-;/ აცმევ-ს /ჩა-;/ აძლევ-ს /-,შე-;/ აწვნევ-ს ; აკვლავ-ს /გა-,გამო-;/ იწვევ-ს /გამო-;/ /ურევ-ს1 /ა-,შე-,მო-,გამო-;/ ურევ-ს2 /ა-;/ უქსევ-ს /მი-;/ უქშევ-ს /გა-;/ ახვევ-ს /შე-,გა-,მო-,შემო-,გადა-,გამო-./

**წარმოდგენილ ქვეჯგუფში ერთიანდება პ. ნ. + ხ. პ. +R+ ევ/ამ ყალიბის მქონე ზმნები.**

**დ) „იბღვირება“ ტიპის ზმნათა ქვეჯგუფი:**

ამ ქვეჯგუფის ზმნებს დასახელებულ ყალიბთა გარდა ეწარმოება უ- ხმოვანპრეფიქსიანი ორპირიანი და ორვალენტიანი ყალიბი:

**პ. ნ. + ი + R + T + ი (ვ-ი- ბღვირ-ებ-ი მე);**

**პ. ნ. + ე + R + T + ი (ვ-ე-ბღვირ-ებ-ი მე მას);**

**პ. ნ. + უ + R (ვ-უ-ბღვერ მე მას).**

იბღვირება-ა /და-;/ იბწვინება-ა ; იგინება-ა /შე-;/ ივედრება-ა ; იზმუზნება-ა ; ითრიკება-ა ; იკბინება-ა; იკვრევირება-ა; იკორტნება-ა; იკოცნება-ა; ილანძღება-ა; ილოღნება-ა; ილოცება-ა; ილუკმება-ა; იმადღება-ა; იმზირება-ა; იმოდღვრება-ა ; იმტკიცება-ა; იმუქრება-ა; ირტყმევირება-ა; ირქინება-ა; ირწმუნება-ა; ისაყვედურება-ა; ისუსნება-ა ; ისწავლება-ა; იტყობინება-ა; იტყუება-ა; იუწყება-ა; იფიცება-ა; იფუთნება-ა; იფურთხება-ა; იღეჭება-ა ; იღმურძლება-ა; იღრინება-ა; იჩქმიტება-ა; იყეფება-ა; იყვედრება-ა; იყურება-ა; იშხამება-ა; იჩრუტნება-ა; იცოხნება-ა; იცუცნება-ა; იცქირება-ა; ი/ეწვალება-ა; იწერება-ა (ის მას); იწყევლება-ა /და-;/ ; იხვეწება-ა.

## 1.6.6. IV ჯგუფის ზმნები

მესამე ჯგუფის ზმნებია „მიყვარს“ ტიპის ზმნები, ამ ჯგუფში ვაერთიანებთ ძირითადად გრძნობა-აღქმის ზმნებს.

### ა) „მიყვარს“ ტიპის ზმნათა ქვეჯგუფი:

მეოთხე ჯგუფის ზმნათა პირველ ქვეჯგუფში ვაერთიანებთ „მიყვარს“ ტიპის ზმნებს, რომელთა ორპირიან და ორვალენტიან ყალიბს აწარმოებს ი- ხმოვანი პრეფიქსი და -დ სუფიქსი:

პ.ნ. + ხ.პ. + R + (მიყვარს მე ის);

პ.ნ. + ხ.პ. + R + დ + ებ +ა (მიყვარდება);

პ.ნ. + ხ.პ. + R +ებ (ვიყვარებ).

მ-ა-ყვარ-ებ-ს ; მ-ა-ძულ-ებ-ს; მ-ა-ნდომ-ებ-ს.

### ბ) „მაინტერესებს“ ზმნათა ქვეჯგუფი :

პ.ნ. + ხ.პ. + R +ებ (მ-ა-ინტერეს-ებ-ს მე ის);

პ.ნ. + R +დ-ებ-ი (ვ-ინტერეს-დ-ებ-ი მე).

მ-ა-ინტერესებ-ს\*/და-/ ვ-ინტერეს-დ-ებ-ი.

### გ) „მსურს“ ტიპის ზმნათა ქვეჯგუფი:

პ.ნ. + R +ს (მ-სურ-ს მე ის);

მსურს; მწამს.

### ო) „მაჯერებს“ ზმნათა ქვეჯგუფი:

პ.ნ. + R + ა (მჯერა მე ის);

პ.ნ. + ი + R +ებ (ვ-ი-ჯერ-ებ მე მას);

პ.ნ. + უ + R +ებ (ვ-უ-ჯერ-ებ მე მას).

მჯერა//მაჯერებს//ვ-უ-ჯერ-ებ//.

ქართული ზმნის ჯგუფები, რომლებიც წარმოვადგინეთ, დაგვეხმარება იმაში, დადგინდეს ზმნათა რამდენი ჯგუფი გვაქვს და ამა თუ იმ ჯგუფის ზმნას რა ყალიბები აწარმოებს, რათა ეს ყველაფერი გათვალისწინებულ იქნეს პროგრამირებისას. კომპიუტერს პროგრამისტის მიერ მიეწოდება ზმნათა ჯგუფები და ყალიბები, ის ჯგუფების მიხედვით გადაწყვეტს, რომელი ყალიბით აწარმოოს ესა თუ ის

კონკრეტული ფორმა. შესაბამისად, ვფიქრობთ, ზმნის პროგრამირებისას უნდა დავეყრდნობთ ისეთ ზმნურ პარადიგმას, რომელიც ორიენტირებულია ზმნურ ლექსიკურ ერთეულზე.

## II თავი

### ორპირიან და ორვალენტოვანი ზმნურ ყალიბთა ფორმაწარმოება

(სალიტერატურო ქართულსა და ქართველურ დიალექტებში)

ზმნის პირიანობასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევია ტ. ფუტკარაძის მოსაზრება: „ზმნა ორპირიანად ითვლება, თუკი სხვადასხვა რანგის პირის ნიშანი გამოვლინდება ერთი მწკრივის ფარგლებში ფორმაცვალებისას; მაგ.: მე ვ-წერ, შენ გ-წერ: ამ ორ ფორმაში რეალიზდა აგენსისა (პირველი) და ადრესატის (მეორე) პირის ნიშნები; მწკრივის ფარგლებში არ ვლინდება პაციენსის შესაბამისი პირის ნიშანი“ (იხ. სქოლიოში ფუტკარაძე 2012: 205). ჩვენ ამ მოსაზრებას ვიზიარებთ. და ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ ზმნის პირიანობა უნდა დაადგინოს მოცემული მწკრივის სხვადასხვა ფორმაში გამოვლენილმა პირებმა. ამ პრინციპის მიხედვით, ზმნურ ფორმათა დიდი უმრავლესობა, რომელიც ჩათვლილი იყო ერთპირიანად, ორპირიანი იქნება. მაგალითად, ვხატავ, ვაკეთებ...

შდრ.: „არ უნდა ავრიოთ ერთმანეთში ზმნის სინტაქსური ვალენტობა, ანუ ზმნური ფორმის უნარი შეიწყოს წინადადების ბირთვში სუბიექტ-ობიექტურ მიმართება გამომხატველი სახელების გარკვეული რაოდენობა, და ზმნის პირიანობა, ანუ ზმნურ ფორმაში ამ სახელთა პირის გამომხატველი მორფოლოგიური ნიშნის წარმოდგენა... ამას ემყარება ქართული ზმნის დახასიათება როგორც „მრავალპირიანი“ (ორ, სამ და ოთხპირიანი) ზმნისა: მაგ.: ვაძლევ მე მას მას, ამ თვალსაზრისით რომელიმე რუსული - - - даю, ან გერმანული - - - gebe სტრუქტურები, რომელთა სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სამი ნაცვალსახელი შეეწყობა, დახასიათდებოდა აგრეთვე როგორც „მრავალპირიანი“. საქმე ისაა, რომ ყველა ეს ზმნური ფორმა სამვალენტოვანია, მაგრამ ერთპირიანი (ზმნურ ფორმაში პირის ნიშანთა გამოვლენის თვალსაზრისით) (გამყრელიძე 2000:141).

**ზმნური ფორმის ვალენტობა გვესახება შემდეგნაირად** - ესაა ზმნის შესაძლებლობა სინტაქსურ დონეზე დაიკავშიროს გარკვეული რაოდენობა სახელებისა.

მაგრამ აქვე დგას ზმნასთან შესიტყვებაში არსებული აუცილებელი ირიბი და თანდებულიანი ბრუნვებს საკითხიც (მით უმეტეს, რომ მათი აქტანტიანობის საკითხი დგას ენათმეცნიერებაში - იხ. ზევით.). ამასთან დაკავშირებით ა. შანიძე წერს: „ქართულ ზმნაში უცნაურად არის გადაწულ-გადახლართული მორფოლოგიური და სინტაქსური ხასიათის მოვლენები, ამიტომ... ქართული ზმნის ფორმა ზოგჯერ მთელ ვრცელ წინადადებას შეიცავს ხოლმე: ქვემდებართა, შემასმენლთა და ორი დამატებით“ (შანიძე 1920: 21). მიუხედავად ზემო თქმულისა, ჩვენთვის ცხადია, რომ ფართო გაგებით, ვალენტობა სინტაქსის კვლევის სფეროა<sup>24</sup>. ამიტომ ტერმინ „ვალენტობას“ ვიყენებთ „ადგილიანობის“ ნაცვლად (იხ. ზევით, გვ. 52).

ზმნის პარადიგმის აგების დროს აუცილებელია გავარკვიოთ მისი შინაარსობრივი მხარე, ვინაიდან კონკრეტული ზმნური ფორმა კონტექსტიდან ამოგლეჯილი ხშირად არასწორი უღლების საფუძველი შეიძლება გახდეს, მაგალითად, ჩვენ მეტყველების დროს ხშირად გამოვიყენებთ ზმნურ ფორმას „მწერს“ – (ჩემი მეგობარი წერილს მწერს), მაგრამ პოეზიაში გვაქვს ასეთი შესიტყვება „ლექსი თვითონ მწერს“. ეს ორი „მწერს“ ვალენტობით ერთმანეთისაგან განსხვავდება, პირველი სამვალენტოანია, უკანასკნელი ორვალენტოანი, შესაბამისად, უღლების პარადიგმის სხვადასხვაობას ამ შემთხვევაში განსხვავებული ვალენტობა ქმნის. სწორედ, ასეთი მაგალითების (ზმნური ფორმების) არსებობა ენაში გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვალენტობის მიხედვით დავაჯგუფოთ ზმნური ფორმები.

**შდრ:**

**ორპირიანი და ორვალენტოანი**

მწერს ის მე

მწერდა ის მე

მწერდეს ის მე

დამწერს ის მე

დამწერდა ის მე

დამწერდეს ის მე

**ორპირიანი და სამვალენტოანი**

მწერს ის მე მას

მწერდა ის მე მას

მწერდეს ის მე მას

მომწერს ის მე მას

მომწერდა ის მე მას

მომწერდეს ის მე მას

<sup>24</sup>ვრცლად იხ. ზევით, გვ. 55-56

დამწერა მან მე

მომწერა მან მე ის

დამწეროს მან მე

მომწეროს მან მე ის

ჩვენი კონკრეტული მიზნისთვის, ორპირიან და ორვალენტიან ზმნურ ფორმათა სრული პარადიგმის აგებისთვის (რომელსაც დანართში წარმოვადგენთ), პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ის, რომ განსხვავებით ტრადიციული გრამატიკული შეხედულებისა, ჩვენთვის, ზმნის კონკრეტული ფორმა შეიძლება იყოს ერთპირიანი და ორპირიანი, ისე როგორც ორვალენტიანი და სამვალენტიანი და არა ორპირიანი ზმნა ან ორვალენტიანი ზმნა და ა. შ.. მაგალითად ხატვა ზმნას აქვს როგორც ერთპირიანი (ვხატები მე), ისე ორპირიანი (ვხატავ) ყალიბი (ფორმა), როგორც ორვალენტიანი (ვხატავ მე მას), ისე სამვალენტიანი (ვუხატავ მე მას მას)... მაშასადამე, გვაქვს არა, ვთქვათ, ორპირიანი და სამვალენტიანი ზმნა, არამედ ორპირიანი და სამვალენტიანი ზმნური ყალიბი (იგივე ფორმა). ამოსავალი ყალიბის სხვადასხვა ვალენტობა განაპირობებს სწორედ ზმნურ ფორმათა სხვადასხვაობას, ამაში თავისი წვლილი შეაქვს ზმნისწინსაც. თუმცა ზმნისწინიანი ფორმები ცალკე განხილვის საგანიცაა თავისთავად, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ზმნისწინის ერთ-ერთი ფუნქცია ზმნის მნიშვნელობის შეცვლაა.

## **2.1. ორპირიანი და ორვალენტიანი ზმნური ყალიბები სამწიგნობრო**

### **ქართულში**

სხვადასხვა (რამდენიმე ასეული) ზმნური ძირის (ლექსიკური ერთეულის) გაანალიზების შედეგად მივიღეთ შემდეგი სურათი: თითოეული ზმნური ძირი (თუ ფუძე) შეიცავს სხვადასხვა ერთპირიან და ერთვალენტიან, ორპირიან და ორვალენტიან, ორპირიან და სამვალენტიან ყალიბს. ამათგან უფრო მეტია ზმნის ორპირიანი და ორვალენტიანი ყალიბი. მაგალითად: „კეთებ“ ზმნურ ფუძეს აქვს შემდეგი ყალიბები: აკეთებს, უკეთებს, იკეთებს, კეთდება, აკეთებინებს, უკეთდება, გაკეთებულა, გაუკეთებია, ეკეთებინება... აქედან მხოლოდ უკეთებს და აკეთებინებს არის ორპირიანი



და სამვალენტიანი, ხოლო აკეთებს, იკეთებს, უკეთდება, გაუკეთებია და ეკეთებინება - ორპირიანი და ორვალენტია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზმნის ე. წ. პირველი თურმეობითის ფორმა არის ორპირიანი და ორვალენტია, შესაბამისად, მხოლოდ ეს ფორმები იქნება ამ მხრივ გამონაკლისები, ვინაიდან, როგორ აღვნიშნეთ, ამ ფორმებს ჩვენ ცალკე განვიხილავთ - ყალიბების პარადიგმაში, ცალკე საუბლებელ ფორმად, ესენი მწკრივნიაკლი ფორმებია, აქვთ მხოლოდ პირითა და რიცხვით განსხვავებული 28-28 (მიკეთებია 28; გამიკეთებია 28) ფორმა, მაგალ.: მიკეთებია, გიკეთებია, უკეთებია... გამიკეთებია, გაგიკეთებია, გაუკეთებია... შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მხოლოდ ამ ტიპის ორპირიან და ორვალენტია ზმნურ ყალიბს (ფორმებს) აქვთ 56 ფორმა, დანარჩენი ორპირიანი და ორვალენტია ზმნური ყალიბები ფორმათა მრავალრიცხოვნობით უპირისპირდება მათ. აღსანიშნავია, რომ ორპირიანი და ორვალენტია ზმნური ყალიბი მოიცავს 700 ფორმას.

რაც შეეხება ორპირიან და ორვალენტია ზმნურ ყალიბთა ტიპებს, შეიძლება გამოიყოს შემდეგი ტიპები: **უხმოვანპრეფიქსო, ა-, ი-, ე-, უ- ხმოვანპრეფიქსიანი და უ- — -დ კონფიქსიანი ფორმები.** ცალკე იქნება გაუკეთებია ტიპის ფორმები /ზმნისწინიანი ვარიანტებით/ (თუ ზმნისწინი სემანტიკას არ უცვლის ზმნას).

**აკეთებს - ის მას /** ეს ყალიბი თავის მხრივ იუღლება მწკრივების მიხედვით, აქვს 10 ფორმა დრო-კილოთი და ასპექტით განსხვავებული. ათივე ფორმა იუღლება პირისა და რიცხვის მიხედვით - თითოეულს აქვს 28 განსხვავებული ფორმა/.

**იკეთებს ის მას /** ეს ყალიბი თავის მხრივ იუღლება მწკრივების მიხედვით, აქვს 10 ფორმა დრო-კილოთი და ასპექტით განსხვავებული. ათივე ფორმა იუღლება პირისა და რიცხვის მიხედვით - თითოეულს აქვს 28 განსხვავებული ფორმა/.

**უკეთდება ის მას /** ეს ყალიბი თავის მხრივ იუღლება მწკრივების მიხედვით, აქვს 10 ფორმა დრო-კილოთი და ასპექტით განსხვავებული. ათივე ფორმა იუღლება პირისა და რიცხვის მიხედვით - თითოეულს აქვს 28 განსხვავებული ფორმა/.

**ეკეთებინება ის მას /** ეს ყალიბი თავის მხრივ იუღლება მწკრივების მიხედვით, აქვს 10 ფორმა დრო-კილოთი და ასპექტით განსხვავებული. ათივე ფორმა იუღლება პირისა და რიცხვის მიხედვით - თითოეულს აქვს 28 განსხვავებული ფორმა/.

გაუკეთებია მას ის - მწკრივნაკლი ზმნური ყალიბია (აქვს მხოლოდ 2 მწკრივი - წყვეტილი უსრული და წყვეტილი სრული), თითოეული მწკრივისთვის აქვს პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებული 28 ფორმა.

განსახილველია, აგრეთვე, ორპირიანი და ორვალენტიანი ზმნური ფუძის (ყალიბის) აგებულების საკითხიც.

თავდაპირველად შევეხებით ე. წ. პირველი თურმეობითის ფორმას. როგორც აღვნიშნეთ, ამ ფორმებს ჩვენ არ განვიხილავთ მწკრივების პარადიგმაში, ვინაიდან მესამე სერიის გამოყოფა, არალოგიკურად მიგვაჩნია, დარღვეულია საყრდენი ფუძის პრინციპი და ამასთან ერთად ვფიქრობთ, მაგალითად, ზმნის ფორმა „გამიკეთებია“ სხვა პარადიგმის ნაწილია და არა „ვაკეთებ“ ფორმის გაგრძელება, შესაბამისად, ამ ტიპის ზმნური ფორმები მოვაქციეთ ყალიბების პარადიგმაში.

ზმნურ ყალიბებს (იგულისხმება პირველი დონის ზმნური ფორმები - ნაკვთები) საერთო აქვთ მოქმედი და აღმქმელი პირების ბრუნვები, ვალენტობა-პირიანობა, მოქმედების მიმართულება, კაუზატივი, ნებელობა...

ორპირიანი და ორვალენტიანი ზმნური ყალიბები (ფორმები) მრავალფეროვანი აგებულებით გამოირჩევიან; ამგვარი ყალიბის აგებაში მონაწილეობს როგორც მოქმედი და აღმქმელი პირის ნიშნები, ისე ხმოვანი პრეფიქსები, ფუძე, სუფიქსები და არაიშვიათად ზმნისწინიც კი:

1. ვ/მ+ძირი+ავ: ვხატავ...
2. ვ/მ+ძირი+დ+ებ+ი: ვწყინდები, მწყურდება, ვჭირდები...
3. ვ/მ+ი+ძირი+ავ: ვინახავ, ვიხატავ...
4. ვ+უ+ძირი: ვუცქერ, ვუყვირი, ვუღიმი...
5. ვ+უ+ძირი+დ+ებ+ი: ვუყვარდები, ვუკეთდები...
6. (და) მ+ი+ძირი+ავ+ხარ დამიხატავხარ...
7. ვ/მ+ა+ძირი+ებ ვათენებ, ვალამებ, ვატყუებ...
8. ვ+ა+ძირი+ი+ვარ ვახტივარ...
9. ვ+ე+ძირი+ებ+ი: ვეხატები, ვეციცინები, ვეხვეწები...
10. (გა) მ+ი+ძირი+ი+ა: გამიკეთებია...
11. ვ/მ+ე+ძირი+ინ+ებ: ვეხატვინები...
12. (ნეტავ) (და) მ+ა+წერ-ინ-ა მე ის...

### 2.1.1. ორპირიან და ორვალენტთან ზმნურ ყალიბთა მწკრივის ფორმები

მწკრივები ერთმანეთისგან განსხვავდებიან არა მხოლოდ სემანტიკურად, არამედ ფორმოზოლოგიურად. ზმნისწინი, თემის ნიშანი და ზოგ შემთხვევაში, კიდევ სხვა ნიშანი (მწკრივის ფუძის სავრცობი თუ ე. წ. მწკრივის ნიშანი), არის მწკრივთა სხვადასხვაობის ფორმოზოლოგიური მხარე (სემანტიკაზე ქვევით გვექნება საუბარი).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ სხვადასხვა მწკრივს სხვადასხვა ფუძე უნდა ჰქონდეს; მწკრივის ფუძეში მეცნიერთა ნაწილი ზმნისწინს განიხილავს, ნაწილი არა, თუმცა, მწკრივთა ტრადიციულ დაყოფას თუ გავიხსენებთ, პირველ სერიაში ზმნის უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმები სხვადასხვა მწკრივებია, მეორე სერიაში იმავე პრინციპი გატარებული არაა, ვფიქრობთ ზმნისწინი არ უნდა შევიდეს მწკრივის ფუძეში, შესაბამისად, პირველი სერიის მსგავსად მეორე სერიაშიც ცალ-ცალკე მწკრივის ფორმებად უნდა ჩაითვალოს უზმნისწინო და ზმნისწინიანი ზმნური ფორმები. აქვე აღვნიშნავთ, რომ ერთი და იმავე ცნების აღსანიშნავად სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინი გამოიყენება, ზმნაში ასეთი ტერმინებია: მწკრივი და ნაკვთი, უწყვეტელი და ნამყო უსრული, წყვეტილი და ნამყო ძირითადი და სხვ.

ზმნურ ყალიბებს ვაუღლებთ შემდეგი მწკრივების მიხედვით:

აწმყო	ვ-ა-კეთ-ებ
უწყვეტელი	ვ-ა-კეთ-ებ-დ-ი
აწმყოს კავშირებითი	ვ-ა-კეთ-ებ-დ-ე
მყოფადი	გა-ვ-ა-კეთ-ებ
ხოლმეობითი	გა-ვ-ა-კეთ-ებ-დ-ი
მყოფადის კავშირებითი	გა-ვ-ა-კეთ-ებ-დ-ე
წყვეტილი უსრული	ვ-კეთ-დ-ი

II კავშირებითი უსრული	ვ-კეთ-დ-ე
წყვეტილი სრული	გა-ვ-კეთ-დ-ი
II კავშირებითი სრული	გა-ვ-კეთ-დ-ე

ვიზიარებთ ტ. ფუტკარაძის მოსაზრებას და მწკრივთა რიგში არ განვიხილავთ ე. წ. მესამე სერიის ფორმებს. „ქართული ზმნის მწკრივების რიგში არ უნდა შევიდეს პირველი თურმეობითი (გა-მ-ი-კეთ-ებ-ი-ა); იგი უნდა განვიხილოთ ცალკე ყალიბად, კერძოდ, მწკრივნაკლ ნაკვთად, რომელსაც მხოლოდ ნამყო უსრულისა და ნამყო სრულის ფორმები გააჩნია (მიკეთებია, მიკეთებხარ... გამიკეთებია, გამიკეთებხარ...). რაც შეეხება ნ. მარის მიერ გამოყოფილ ე.წ. მესამე სერიის სხვა მწკრივებს:

მეორე თურმეობითი (გა-მ-ე-კეთ-ებ-ინ-ა) და ე.წ. მესამე კავშირებითი (გა-მ-ე-კეთ-ებ-ინ-ო-ს) განხილულ უნდა იქნას მ-ე-კეთ-ებ-ინ-ებ-ა ფორმის მეორე სერიის ფორმებად (და არა - ვ-ა-კეთ-ებ ფორმის პარადიგმის გაგრძელებად):

(გა)-მ-ე-კეთ-ებ-ინ-ა - ჩემდა უნებურად რაღაც (გა)ვაკეთე: მე გამეკეთებინა საჭმელი; რომ (გა)-მ-ე-კეთ-ებ-ინ-ა - წარსულში რაღაცის გაკეთება შემემძლო, მაგრამ არ შემისრულებია: მე საჭმელი რომ გამეკეთებინა... რომ კავშირი თუ სხვა მოდალური ელემენტები მწკრივის სემანტიკას სხვა შემთხვევებშიც ცვლიან (ამის შესახებ სხვაგან გვექნება მსჯელობა):

დავწერდი --- რამე რომ იყოს, დავწერდი

შდრ.: ე.წ. მესამე სერიის ფორმები (გამიკეთებია, გამეკეთებინა, გამეკეთებინოს...), არაიშვიათად, ვალენტობითაც სხვაობენ პირველი და მეორე სერიის ფორმებთან: ვუკეთებ, გავუკეთე: გამიკეთებია (ფუტკარაძე 2012: 205).

ამგვარი ფორმები (იგულისხმება პირველი თურმეობითები) განხილული გვაქვს ზმნის პირველი დონის ფორმებში. შესაბამისად, ტრადიციული გრამატიკების (მოყოლებული ნ. მარიდან - ხაზგასმა ჩვენია) მესამე სერიის ფორმებს არ განვიხილავთ მწკრივთა რაოდენობაში.

ორპირიანი და ორვალენტიანი ზმნური ფორმები მწკრივთა წარმოების თვალსაზრისით არ არის ერთგვაროვანი. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ მიერ გამოყოფილი ზმნათა ჯგუფები სწორედ ყალიბთა ქონა-არქონის მიხედვით გვაქვს გამოყოფილი, შესაბამისად, ზმნათა ზოგ ჯგუფს სხვა ყალიბები (მათ შორის ორპირიანი და ორვალენტიანიც) ეწარმოება და ზმნათა სხვა ჯგუფს — სხვა ყალიბები. ამიტომ ჩვენთვის მოსალოდნელიც იყო ის სხვაობანი, რაც უღვლილების დროს იჩენს თავს.

მაგალითად, სხვაგვარად იუღლება „მიყვარს“ ტიპის ორპირიანი და ორვალენტიანი ზმნური ფორმები, განსხვავებით სხვა დანარჩენისაგან.

„მიყვარს“ ყალიბს ეწარმოება მხოლოდ I სერიის აწმყოს წრის მწკრივები.

„ვეყვარები“ ყალიბს არ ეწარმოება როგორც I სერიის აწმყოს წრის, ისე II სერიის მწკრივები.

„მიკეთება“ ყალიბს აქვს მხოლოდ II სერიის ნამყო უსრული და ნამყო სრული.

„ვემეფობ“ ყალიბს არა აქვს II სერიის ნამყო უსრული და ნამყო კავშირებითი უსრული, ზოგადად, ამ ზმნის ყალიბებს თითქმის არ ეწარმოებათ ეს 2 მწკრივი, გარდა „ვემეფები“ და „ვაემეფებინებ“-ისა.

„მიჭმია“ ყალიბს არა აქვს I სერიის მყოფადის წრის მწკრივები, აგრეთვე II სერიის ნამყო უსრული და ნამყო უსრული კავშირებითი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენ მიერ აქ ჩამოთვლილი რამდენიმე ყალიბის გარდა, სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია იმაზე, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში არსებობს მწკრივნაკლი ზმნები. მაგალითად, ქეგლ-ში მწკრივნაკლად მიჩნეულია საკმაოდ ბევრი ფორმა, თუმცა საინტერესოა, ის ფაქტიც, რომ ეს ფორმები დღეს შეიძლება ვაუღლოთ. ამგვარ ფორმებთან დაკავშირებით მ. სუხიშვილი მიუთითებს, რომ „იდენტური შინაარსის ბევრ ფორმათაგან ერთი იუღლება, მეორე კი - არა: ფარისევლობს - პირმოთნეობს, ვაჟკაცობს - გულადობს, ცხოვრობს - ბუდობს...“ (სუხიშვილი 1999 : 35).

ისეთ ზმნურ ფორმებთან დაკავშირებით, რომელთაც მყოფადსა და მეორე სერიაში „ი“ ხმოვანპრეფიქსი აქვთ, როგორცაა მაგალითად „იმეფა“, „ილაღადა“, გამოთქმულია შემდეგი მოსაზრება, რომ „ი- პრეფიქსი თავიდანვე კი არ ჰქონდა ამ ზმნებს აწმყო-წყვეტილში და მერე კი არ დაიკარგა აწმყოში, არამედ გამოყენებულ იქნა მყოფადის (ასევე II სერიის) მწკრივების საწარმოებლად. ის კი შეიძლება

ვივარაუდოთ, რომ შემდგომში ამ ფორმათა ყალიბი აქტივის ხმოვანპრეფიქსიანი ზმნების მიხედვით შეიქმნა. ის, რომ 30- ზეა დამოკიდებული ზმნისწინიანი მყოფადის წარმოების შესაძლებლობა, დასტურდება საშუალის ზოგი ფორმის უღლებით. საერთო წესიდან გადახვევით მყოფადს ზმნისწინით აწარმოებს რამდენიმე ზმნა...“ (ჯორბენაძე 2006: 9). ასეთ მაგალითებად მოსაზრების ავტორი ასახელებს შემდეგ ფორმებს: „ცურ-ავ-ს = ი-ცურ-ებ-ს მაგრამ ცურ-ავ-ს = გა-ცურ-ავ-ს; სუნთქავს = ისუნთქებს, მაგრამ სუნთქავს - დასუნთქავს... (იქვე)“. ამგვარ ფორმებთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებაც არსებობს; კერძოდ, დ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ ძველ ქართულ ტექსტებში მოიპოვება დიდი რაოდენობა მაგალითებისა, სადაც ამ ტიპის ზმნებს აწმყოს ჯგუფშიც აქვთ ეს პრეფიქსი (ხიტყვ, ხიტყვან, ხიმარხავს...), თანამედროვე ქართულშიც 50-მდე ზმნა: იბანაკებს, ითენებს, იბოდიშებს, იბუდებს... და მეგრულ-ჭანურისა და სვანურის მასალა, სადაც ამ ტიპის ზმნების დიდ ნაწილს აწმყოში, როგორც წესი, ი- პრეფიქსი დღესაც შენარჩუნებული აქვს. ყოველივე ზემოთქმული მკვლევარს შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას აძლევს: „...ისტორიულად აწმყოს ი- პრეფიქსიანი ფორმები პირველადია და ამოსავალია ამ ტიპის ზმნებისათვის. აქედან კი იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ეს პრეფიქსი ნასესხები კი არა, არამედ ამ ზმნების საკუთარი, ორგანული პრეფიქსია, რომელიც მყოფადის ჩამოყალიბების პროცესში აწმყოს ფორმებმა დაკარგეს“.

მაშასადამე, ზმნური ყალიბის ფორმაწარმოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლია მწკრივი. სწორედ მწკრივთა წარმოების მიხედვით გამოიყოფა ზმნის უღლების ტიპები (ზმნური ჯგუფები). თვითონ მწკრივის ფარგლებში კი, გვაქვს ზმნურ ფორმათა სხვადასხვა რაოდენობა. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენპირიანია ზმნის კონკრეტული ყალიბი.

## 2.1.2. ორპირიან და ორვალენტოვანი ზმნური ყალიბთა პირისა და რიცხვის

### ფორმები ერთი მწკრივის ფარგლებში

ერთი მწკრივის ფარგლებში ორპირიანი და ორვალენტოვანი ზმნური ფორმები პირისა და რიცხვის მიხედვით ცვლილებისას სხვადასხვა ვითარებას აჩვენებს. ყალიბთა უმრავლესობას აქვს 28 განსხვავებული ფორმა. მართალია, ცხრილში რამდენიმე მათგანი ფორმით ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ თითოეულ მათგანს თავისი სემანტიკა აქვს, შესაბამისად, ისინი სხვადასხვა ფორმებია.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ზმნის ზოგიერთი ყალიბი მწკრივნაკლია. ასევე შეიძლება პირნაკლი ან რიცხვნაკლი იყოს ზმნის ამა თუ იმ ყალიბის ზოგი მწკრივის ფორმა. მაგალითად, ორპირიან და ორვალენტოვან „ვიკეთებ“ ყალიბს ყველა მწკრივში მხოლოდ 12-12 ფორმა აქვს...

ვინაიდან ფუძემონაცვლე ზმნათა უღვლილება მაინც განსხვავებულია სხვა დანარჩენ ზმნათაგან ფორმოზრივად, ამიტომ პირნაკლი ზმნების ჯგუფში შეიძლება მოთავსდეს რიცხვში მონაცვლე ზმნური ფორმებიც, მაგალითად: ჩააგდო მან ის - ჩაყარა მან ისინი; დასვა - დასხა; მოიბა - მოისხა; მოკლა - დახოცა და ა. შ.

**ვ-ი-კეთ-ებ მე მას (სახლს):**

	I	II	III	I მრ.	II მრ.	III მრ.
I	-----	-----	ვ-ი-კეთ-ებ	-----	-----	ვ-ი-კეთ-ებ
II	-----	-----	ი-კეთ-ებ	-----	-----	ი-კეთ-ებ
III	-----	-----	ი-კეთ-ებ-ს	-----	-----	ი-კეთ-ებ-ს
I მრ.	-----	-----	ვ-ი-კეთ-ებ-თ	-----	-----	ვ-ი-კეთ-ებ-თ
II მრ.	-----	-----	ი-კეთ-ებ-თ	-----	-----	ი-კეთ-ებ-თ
III მრ.	-----	-----	ი-კეთ-ებ-ენ	-----	-----	ი-კეთ-ებ-ენ

## 2.2. ზმნურ ყალიბთა ფორმაწარმოება იმერულ კილოში (განსხვავებული ყალიბები)

სალიტერატურო ქართული ენის მსგავსად დიალექტებშიც გვხვდება ზმნათა ის ფორმები, რომელთა შესახებაც ზევით უკვე ვისაუბრეთ. მაგრამ, განსხვავებით სალიტერატურო ენისგან, დიალექტები ზმნური ფორმების მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. ქართული ენის მრავალი დიალექტიდან ყურადღება შევაჩერეთ იმერულ და მეგრულ დიალექტებზე, ვინაიდან ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი ითვალისწინებს არა მხოლოდ ქართული სალიტერატურო ენის მონაცემების ჩვენებას, არამედ დიალექტებისაც.

ზმნური ფორმების წარმოება კიდევ უფრო, მრავალფეროვანია დიალექტებში, ამ მხრივ, საინტერესო ჩანს ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეუნიშნავი არ დარჩენია თვით ანტონ კათალიკოსსაც კი. ესაა ორმაგკაუზატივიანი ფორმები ზმნისა, რომლებიც დღეს დიალექტთა უმეტესობაშია წარმოდგენილი და რომელთაც ანტონ პირველი მჩობლ-სხმით-გარდასვლვოს უწოდებს. ანტონი კაუზატივის კატეგორიაზე საუბრისას საგანგებოდ მიუთითებს იმაზე, რომ მჩობლ-სხმით-გარდასვლვოს აქვს საკუთარი -ინებინებ, ორმაგი -ინებ სუფიქსიანი წარმოება. „...სხმით-გარდასვლითი, ანუ სხმით-გარდასვლით იქმნების, ანუ მჩობლ-სხმით-გარდასვლითი. მაგალითებრ: ვასუამ, ესე სხმით-გარდასვლითი არს და ვასხმევიანებ-ესე მჩობლ-სხმით-გარდასვლითი-არს, ა აქუს მაკეთად ზმნასა სხმით-გარდასვლითსა, რომელი განყოფს პირველ სახისაგან ზმნისა... რომელთა განვასხმევიანებ, ვინაიცა მჩობლ-სხმით-გარდასვლითისა მაკეთი მარცვალი ინებ დასჭირებიეს მაკეთად სხმით-გარდასვლითად და წარმოდგომილ-არს ესრეთ“ (ანტონი 1885: 38). „... ვგუჭმ - ვ-ა-გუჭმ-ინებ - ვ-ა-გუჭმ-ინებინებ; ვწერ - ვ-ა-წერ-ინ-ებ - ვ-ა-წერ-ინებინებ...“ (იქვე).

ანტონ კათალიკოსის მიერ მჩობლ-სხმით-გარდასვლვოს მაგალითების (ვაწერინებინებ, ვაჭრევიანებინებ...) შესახებ აკ. შანიძე აღნიშნავს, რომ ასეთი ფორმები „ბუნებრივად არ არსებობს ქართულში, ესენი ხელოვნური ფორმებია“ (შანიძე 1973: 369).

შუალობითი კონტაქტის წარმოება ქართულ დიალექტებში შესწავლილი აქვს ო. კახაძეს. როგორც მეცნიერი აღნიშნავს, დიალექტებში შუალობითი კონტაქტის წარმოებაში თავს იჩენს თავისებურებანი. ერთ-ერთ თავისებურებად ჩათვლილია



(დანარჩენი ყველა თავისებურება ძირითადად ფონეტიკური ხასიათისაა - ხაზგასმა ჩვენია - ს. ა.) კაუზატივის ორმაგი წარმოება, რომელიც უცხო არ არის იმერულისთვის. ო. კახაძეს შემდეგი მაგალითები აქვს მოყვანილი: „კოლიას ვაკეთებ-ინ-ებ-ი-ებ ამ საათს, საათს თვითონ კოლია კი არ მიკეთებს, მას ვატან, რომ მან სხვას (მაგალითად მესაათეს) გააკეთებინოს“, აგრეთვე, „ვინტოკით წყერებს ნაკლ-ევნ-ებ-ი-ება“, „ვალ-ევნ-ებ-ი-ებ, ვაჭრ-ევნ-ებ-ი-ეფ, ვათეთრებ-ნ-ებ-ი-ეფ და სხვა...“ (კახაძე 1971: 58).

კაუზატიურ ფორმათა ამგვარი წარმოებისთვის, ო. კახაძის აზრით, ამოსავალია ცალმაგი წარმოება. „საექვო არაა, რომ ორმაგი წარმოება ემყარება ცალმაგს, ე.ი. ჯერ უნდა ყოფილიყო ვაკეთებ-ინ-ებ, შემდეგ აქედან ვაკეთებ-ინ-ებ-ინ-ებ. ამას ხელი უნდა შეეწყოს ორი ერთგვარი ასოითი შემადგენლობის მაწარმოებლის (ინ-ინ) განსხვავებისათვის, ერთში დაიკარგა ხმოვანი (ი), მეორეში თანხმოვანი (ნ). ფონეტიკური ცვლილება საფუძვლად დაედო მორფოლოგიურად განსხვავების საკითხს ერთი და იმავე წარმოშობის სუფიქსში...“ (კახაძე 1971: 58).

ზმნის ამ (ორმაგკაუზატივიან) ფორმებთან დაკავშირებით ვრცელი მსჯელობა აქვს თ. უთურგაიძეს. ავტორი იმოწმებს რა დიალექტურ მასალას, მიუთითებს: „შეაყვარა, შეაყვარებინა ფორმებს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც“ ადასტურებს. ოღონდ აქ ისინი ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება, რაც, მოხდა იმიტომ, რომ შეაყვარებინა ფორმას აქ დაუკარგავს უბრალო ობიექტი და მისი ფუნქცია გადასულა ირიბ ობიექტზე, სამპირიან კაუზატივთა კვალობაზე (შეაყვარა მან მას ის). სწორედ ამ პროცესმა შეუშალა ხელი აკეთებინებინებს და აყვარებინებინებს ფორმების დამკვიდრებას სალიტერატურო ქართულში, როცა აკეთებინებინებს ფორმამ იგივე მნიშვნელობა მიიღო, რაც უკვე ჰქონდა აკეთებინებს ფორმას, ოთხვალენტიანი აკეთებინებინებს გამოვიდა ხმარებიდან. იგი აქა-იქდა შემორჩა ქართულს“ (უთურგაიძე 1999: 218). ავტორი აქვე გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეს ოთხვალენტიანი ფორმები შესაძლოა გვიან გაჩნდა და მალევე დაიწყო სემანტიკური გადასვლა სამპირიანი კაუზატივის ფორმებზე, რომელთაც ბოლოს სრული გავრცელება პოვეს სალიტერატურო ენაში.

აშენებინებინებს, აყვარებინებინებს, აკეთებინებინებს... ორორგანიზატორიანი ფორმები თ. უთურგაიძეს დაუდასტურებია ქართულშიც, რომელთაც მთქმელი ასე

განმარტავს - „როცა ვინმე სხვისი დავალებით აკეთებინებს რამეს“ (იხ. უთურგაიძე 1999: 218).

მსჯელობის დასასრულს თ. უთურგაიძე ასკვნის, რომ „ქართული ენის როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ დიალექტებში დასტურდება ორორგანიზატორიანი ფორმები სწორედ იმ ფორმითა და მნიშვნელობით, როგორც ანტონი იძლევა მათ ქართულ დრამატიკაში“ (იქვე).

ჩვენი აზრით, ამგვარი ოთხვალენტური ფორმების არსებობა დიალექტებში და არა მხოლოდ დიალექტებში (აღსანიშნავია, რომ სხვა ოთხვალენტური რამდენიმე ფორმა სალიტერატურო ენაშიც დასტურდება, მაგალითად: **მიჭმია...**) მიუთითებს იმაზე, რომ ქართული ენის ზმნა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამის კარგ მაგალითად გამოდგება იმერული და მეგრული ზმნის მეოთხე სერიის ფორმებიც<sup>25</sup>. ამგვარი ფორმები გვაქვს იმერული დიალექტის ქვემოიმერულ კილოკავში. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ მეოთხე სერიის ფორმები დადასტურებულ იქნა ქართული ენის სხვა დიალექტებშიც. კერძოდ, როგორც ო. კახაძე მიუთითებს, **მინავალა** ფორმა დადასტურებულა ფშაურში, ხოლო **მინავლებულა** ბორჯომის რაიონის სოფელში, თუმცა ამგვარ ფაქტებს ო. კახაძე კონტამინაციით ხსნით. „როგორია მეოთხე სერიის მწკრივთა გავრცელების არე? ... იგი ჩვეულებრივი ყოფილა იმერულის, რაჭულისა და ლეჩხუმურისათვის. რასაკვირველია იმერულის წარმომადგენელთა ლიტერატურულად მეტყველების შემთხვევაში სისტემურად იჩენს თავს IV სერიის მწკრივები. მაგრამ მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ მინავალა ფორმა ნ. უთურგაიძეს ფშაურშიც ჩაუწერია, ამ სიტყვების ავტორს კი მინავლებულა შეხვდა ბორჯომის რაიონის სოფელში ტექსტების ჩაწერისას, რაც კონტამინაციის ნიშნად ჩანს“ (კახაძე 1972: 66). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ე. წ. IV სერიის IV თურმეობითის წარმოების მხრივ, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, „ქვემოიმერულის თქმებში გარკვეული სხვაობა შეინიშნება (კერძოდ, ვანურსა და სამტრედიულში, აგრეთვე აბაშის რაიონის იმერეთის საზღვრისპირა სოფლებში); ძირითადად იკარგება ი (სამივე პირში) და ვ (I – II პირში): მივნავალ-ყაი, მინავალ-ყაი, მინავალ-ყო, ხოლო ვანურ, ქუთაისურ-წყალტუბურ და ხონურ თქმებში მეშველი ზმნა სრულადაა წარმოდგენილი: მივნავალ-იყავი, მინავალ-იყავი, მინავალ-იყო“ (კახაძე 1972: 65).

<sup>25</sup>სრულყოფილი მსჯელობისთვის იხ. ე. დადიანი მეგრული ზმნის პარადიგმა, ქუთაისი, 2014.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსად ტრადიციული III სერიის I თურმეობითისა, რომელსაც ჩვენ ცალკე ყალიბად განვიხილავთ (მსჯელობა იხ. ზევით, გვ. 102), ასევე ცალკე ყალიბად განვიხილავთ მეგრულისა თუ იმერულისთვის დამახასიათებელ „ნა//ნო“ პრეფიქსიან IV სერიის III თურმეობითის მწკრივსაც.

